ხანგრძლივი პროცესის ახალი ეტაპი

A3

აგორა

A5

ქართველი მხატვარი და გერმანული არტ-ბაზარი

A8

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 13 ივნისი, 2006 წელი. №129 (1281)

ფასი 50 თეთრი

24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

"საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას გამოსაყენებელი საკონტროლო სალარო აპარატების სახელმწიფო რეესტრში" დამატებით შეტანილია ფისკალური პრინტერის საკონტროლო სალარო აპარატების შემდეგი მოდელები:

"SLP-01F", "კასბი-02ფ" და "მერკური-180ფ"

(საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 2 მაისის №610-ს და 7 ივნისის №887-ს ბრძანებები).

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი

ამბები

დაუდგენელი ინფექცია ბავშვებში

ინფექციის წყარო უცნობია, როგორც ექიმებისთვის, ისე - ბავშვების ახლობლებისთვის. მშობლები ჰყვებიან, რომ ლეხაინდრაოს სკოლის მე-2 სკოლაში 19 ბავშვი სწავლობს და ათი მათგანი ერთდროულიად ერთნაირი სიმპტომებით გახდა ავად.

A2

სამართალი

მკვლელობაში ეჭვმიტანილები ავსტრიის სასამართლომ გაათავისუფლა

A4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

ამინდი

	13/06	14/06
თბილისი	30	32
ბათუმი	28	34
ქუთაისი	26	28
დმანისი	25	30
გორი	26	31
ონი	21	29
ზუგდიდი	31	33
ახმეტა	29	32
გაგრა	25	25
სამტრედია	32	35

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7856
ევრო	2.2529
ბრიტანეთის სტერლ.	3.2955
რუბლი	0.0661

ამბები	A 2
პოლიტიკა	A 3
სამართალი	A 4
აგორა	A 5
რევიუ	A 6
ტენდერი	A 7
რევიუ	A 8

შეხვედრა ოპტიმისტური მოლოდინის გარეშე

დღეს სანკტ-პეტერბურგში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რუს კოლეგას ვლადიმირ პუტინს შეხვდება. საქართველოს პრეზიდენტი რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებისკენ ნაბიჯის გადადგმას კიდევ ერთხელ შეეცდება, თუმცა, რიგორც თავად აცხადებს, არა ქვეყნის ინტერესების ხარჯზე. საქართველოში პოლიტიკოსთა და ექსპერტთა უმრავლესობა ამ შეხვედრისგან მნიშვნელოვან შედეგებს არ მოელის.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის გიგა ბოკერიას განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება მზად არის, რუსეთთან ურთიერთობა "სუფთა ფურცლიდან" დაიწყოს. ბოკერიას განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან საკუთარი ინტერესების დათმობის ხარჯზე ვერანაირ კომპრომისს ვერ განიხილავს.

"მაგრამ არის სხვა სფეროები, სადაც დაინტერესებული ვართ, განხორციელდეს კომპრომისები, რათა საქართველო-რუსეთის ურთიერთობა ნორმალურ ჩარჩოებში მოექცეს," - აღნიშნა გიგა ბოკერიამ.

ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრიდან ბევრს არაფერს მოელის. მისი თქმით, საქართველოსა და რუსეთს შორის იმდენი საკამათო საკითხი დაგროვდა, რომ სანკტ-პეტერბურგში ერთი შეხვედრით მათი გადაჭრა ვერ მოხერხდება. **"მსურს, ამ შეხვედრის შედეგად ცხინვალის რეგიონში არსებული დაძაბულობა შემცირდეს და იმედი მაქვს, რომ ეს ასე იქნება,"** - აცხადებს მამუკა არეშიძე.

მისი თქმით, თუ სანკტ-პეტერბურგში გამართულ შეხვედრაზე დაგროვილი პრობლემების მოგვარებისთვის მოხერხდება საფუძვლის ჩაყრა, ძალიან კარგი იქნება. **"თუმცა, ამის დიდი იმედი არ მაქვს,"** - დასძინა ექსპერტმა.

ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წევრი ლევან ბერძენიშვილიც აცხადებს, რომ ორი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრისაგან კონკრეტულს არაფერს ელის.

გაგრძელება A3 გვერდზე

"ნარინჯისფერი" კოალიცია საფრთხეშია

უკრაინა კვლავ მთავრობის გარეშე რჩება

სოფო ბუკია

უკრაინელ "ნარინჯისფერებს" სულ უფრო უჭირთ საერთო ენის გამონახვა. საპარლამენტო კოალიციის შექმნის თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებათა პროცესი ჩიხშია. მოლაპარაკებებს გამოეთიშა ვიქტორ იუშენკოს პარტია "ნაშა უკრაინა". მიზეზი უკრაინელი სოციალისტების ულტიმატუმი გახდა, რომლებიც პარლამენტის თავმჯდომარის პოსტს ითხოვენ.

იუშჩენკო კოალიციის ფორმირებას თავად უწევს მეურვეობას, თუმცა ჭერჭერობით უშედეგოდ.

19 მარტის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, უკრაინის ახლად არჩეული პარლამენტის პირველივე სხდომაზე უკრაინის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თავად გაუწევს მეურვეობას საპარლამენტო კოალიციის შექმნის თაობაზე გამართულ მოლაპარაკებებს და ყველაფერს იღონებს, რათა ეს კოალიცია რაც შეიძლება მალე შედგეს.

დღეს, როდესაც "ნარინჯისფერი კოალიციის" შექმნის იდეა ჩიხშია, ვიქტორ იუშენკოს ამ დანაპირების ციტირება აქტუალური გახდა.

19 მარტის საპარლამენტო არჩევნებში საპარლამენტო უმრავლესობის ჩამოსაყალიბებლად საჭირო ხმების რაოდენობა ვერც ერთმა პარტიამ ვერ დააგროვა. დიდი პოლიტიკური ბატალიების შემდეგ გადაწყდა, რომ საპარლამენტო უმრავლესობის ჩამოყალიბებას არჩევნებში გამარჯვებული სამი "ნარინჯისფერი" პარტია შეეცდება (იულია ტიმოშენკოს ბლოკი - 22,29 პროცენტი, ვიქტორ იუშენკოს "ნაშა უკრაინა" - 13,95 პროცენტი და სოციალისტური პარტია - 5,69 პროცენტი).

იულია ტიმოშენკოს ამბიციები იმთავითვე ცნობილია - "ნარინჯისფერი პრინცესა" პრემიერ-მინისტრის ჩამორთმეული პორტფელის დაბრუნებას შეეცდება.

გაგრძელება A3 გვერდზე

ავტოფარეხიდან რაკეტაში

სილიკონის ველის ნოვატორი Hewlett-Packard-ი

70 წლის წინ სტენფორდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა დეივ პაკარდმა და ბილ ჰიულეტმა საკუთარი ბიზნესის წამოწყება გადაწყვიტეს. მაგრამ ენერგიულმა ყმაწვილებმა მხოლოდ ის იცოდნენ, რომ ერთად მუშაობა სურდათ, კონკრეტული იდეა კი არ გააჩნდათ. მთელი დღეების განმავლობაში მეგობრები ავტოფარეხში ისხდნენ, გულმოდგინედ ფიქრობდნენ და ჩხირკედელაობდნენ.

დიდი ისტერიის მოლოდინში

თორნიკე შარაშენიძე

"Вступила бы в НАТО Украина. А спятила бы от этого - Россия...

Представляю себе безумных теток, которые брызгали слюной вокруг несчастных американских военных, наверное, совершенно обалдевших от всего этого "крымского курорта". Умножаю "биомассу теток" на 1.000.000 - и получаю ВНУТРИРОССИЙСКИЙ эффект от возможного вступления Украины в НАТО."

ეს პასაჟი ცნობილი რუსი მიმომხილველის, ლეონიდ რადზიხოვსკის სტატიიდან გახლავთ ამოღებული. მასში კარგად არის დაჭერილი ის უმთავრესი პრობლემა, რომელსაც ნატო-ს გაფართოების პოლიტიკა რუსეთში აწყდება. ეს პრობლემა უპირველესად ფსიქოლოგიური ხასიათისაა.

რუსეთი თავად თანამშრომლობს ნატოსთან. უკვე რამდენიმე წელია, არსებობს ნატო-რუსეთის საბჭო. ორიოდე კვირის წინ ნატო-ს ექსპერტები რუსეთს ეწვივნენ და ერთობლივი ღონისძიებებიც გაიმართა. მოსკოვში ამას არანაირი პროტესტი არ გამოუწვევია.

მაგრამ, როცა ნატო-ს ხომალდები ყირიმს მიუახლოვდა, რუსეთში ნამდვილმა ისტერიამ იფეთქა. დუმამ გამაფრთხილებელი განცხადებით მიმართა "მოძმე ხალხს", რომლის დედააზრიც ასეთი იყო: თქვენთვის ნატო-ში არ შეიძლება.

რადზიხოვსკი ახლანდელი ისტერიის ფონზე - რისი მიზეზიც მხოლოდ ყირიმის სანაპიროზე ნატო-ს ხომალდების გამოჩენაა - გვთავაზობს გავიაზროთ, რა ატყდება რუსეთში, როცა უკრაინა ნატო-ში შევა. თუმცა, საამისო წარმოსახვა, ალბათ, არც ამ ავტორს გააჩნია, მიუხედავად იმისა, რომ წარმოსახვა მას არ აკლია.

გაგრძელება A3 გვერდზე

გახმაურებული დანაშაულის გამოუძიებელი ვერსიები

ახმეტის პოლიციის თაროებზე არაერთი გაუხსნელი საქმე დევს. ერთერთი მათგანია 1995 წელს სოფელ დედისფერულში მომხდარი მკვლელობა. სამართალდამცველები ამასთან დაკავშირებით კომენტარს ახლა იმ მიზეზის გამო არ აკეთებენ, რომ საქმე მოძველებულია.

ზვიად რუაძე
კახეთიდან

1995 წლის 22 აპრილს პანკისის ხეობის სოფელ დედისფერულის მოსახლეობა მომხდარმა შემთხვევამ შეძრა. ტყეში სანადიროდ წასული ახალგაზრდები - ზალიკო ალხანაშვილი, რაფიელ ქეშიკაშვილი და ღვთისო ჯველაური ჯერ დახოცეს, შემდეგ კი მკვლელმა, კვალის დაფარვის მიზნით, სამივე მათგანი სხვადასხვა მდინარეში გადაყარა. მომხდარის შესახებ სოფელმა მას შემდეგ შეიტყო, რაც მდინარე ალაზანმა ერთ-ერთი მათგანის ცხედარი სოფელ ჯოყოლოში გამორიყა.

"ჩემი მეუღლე და მისი მეგობრები ტყეში სანადიროდ ოთხი დღის წასულები იყვნენ. ვიცოდი, რომ იქვე ქეიფს აპირებდნენ, მაგრამ ოთხი დღის შემდეგ სოფელში ვიღაც ქისტი ამოვიდა და თქვა, რომ მდინარე ალაზანმა მათ სოფელში ახალგაზრდა კაცის ცხედარი გამორიყა. მიცვალებული ჩემი მეუღლის ძმაკაცი - ღვთისო ჯველაური აღმოჩნდა. ნახევარ საათში კი ჩემი მეუღლის ცხედარი მდინარე ბაწარულაში აღმოაჩინეს," - ასე იხსენებს მომხდარს ზალიკო ალხანიშვილის მეუღლე ნუნუ ალხანიშვილი.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით რაიონულ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. გამოძიების მიერ მოკვლეული მასალიდან გაირკვა, რომ მკვლელობა გაურკვეველ ვითარებაში იყო ჩადენილი. ღვთისო ჯველაური და ზალიკო ალხანიშვილი საკუთარი სანადირო თოფებით იყვნენ მოკლულები. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ცნობილი გახდა, რომ მიცვალებულები მკვლელობის პერიოდში ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ. იმ დროს გაურკვეველი იყო მათი მესამე მეგობრის - რაფიელ ქეშიკაშვილის ბედი, რასაც სოფელში მითქმა-მოთქმა მოჰყვა.

გაგრძელება A4 გვერდზე

სალომე გიორგაძის სიცოცხლე და სიკვდილი

გზა ტრადიციული საზოგადოებიდან სამოქალაქო საზოგადოებამდე

ია ანთაძე

2006 წლის 15 მაისს თერჯოლის რაიონის სოფელ საზანოში თავი მოიკლა 14 წლის გოგონამ - სალომე გიორგაძემ. ეს ამბავი ყველა საინფორმაციო პროგრამამ გააშუქა, თუმცა, რაიმე საზოგადოებრივი რეზონანსი მერვეკლასელი გოგონას თვითმკვლელობის ფაქტს არ მოჰყოლია. ეს იმას ნიშნავს, რომ სალომე გიორგაძის ნებისმიერი თანატოლი, საქართველოს ნებისმიერ ქალაქსა თუ სოფელში, ხვალაც და ზეგაც დაუცველი აღმოჩნდება მორალის მოდარაჯეთა პირისპირ.

გლობალიზაციის ეპოქას ბუნებრივად ახლავს თან ღირებულებების გადაფასება, განსაკუთრებით - ისეთ ქვეყნებში, სადაც ტრადიციული საზოგადოება ძლიერია. ახალი ღირებულებების ღერძი გადის ადამიანზე, მის უფლებებსა და მოვალეობებზე, მისი პირადი ცხოვრების ხელშეუვალობაზე, პიროვნებებს შორის ჰორიზონტალური ურთიერთობების დანერგვაზე, თავისუფლების სულისკვეთების გაღვივებაზე.

ტრადიციული საზოგადოების გარდაქმნა სამოქალაქო საზოგადოებად ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესია. დაწყებით სკოლაშივე ისწავლება ბავშვთა უფლებები, თუმცა მშობლებს მხოლოდ ეცინებათ, როდესაც მათი შვილები საკუთარ უფლებებზე საუბრობენ; ერთიმეორის მიყოლებით იქმნება არასამთავრობო ორგანიზაციები, თუმცა, გარემო ტრადიციული, იერარქიული ეთიკით არის გაჟღენთილი; 15 წელია, სამოქალაქო საზოგადოებაზე ვსაუბრობთ, თუმცა, ცხოვრებას ტრადიციულ საზოგადოებაში ვაგრძელებთ.

ღირებულებათა ამ კონფლიქტს შეეწირა 14 წლის გოგონა - სალომე გიორგაძე. იგი იყო წარჩინებული მოსწავლე - როგორც იტყვიან, "სკოლის და სოფლის თვალი" - რომელსაც თავისი ასაკისთვის სრულიად ბუნებრივი ბედნიერება ეწვია - შეუყვარდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

სალომე გიორგაძის სიცოცხლე და სიკვდილი

სამოქალაქო საზოგადოებაში 14 წლის გოგონების პირადი ცხოვრება მათივე საქმეა, ტრადიციულ საზოგადოებაში კი - ყველასი, ვინც ტრადიციული მორალით არის შეკრულ-შედუღაბებული. როგორც სახალხო დამცველის ოფისის თანამშრომლები ამბობენ, სალომეს კარგად სცოდნია თავისი უფლებები და დედამისისთვის ბავშვთა უფლებების კონვენციიდან ცალკეული მუხლებიც წაუკითხავს. მაგრამ მის ირგვლივ აღმოჩდნენ ადამიანები, რომელთა თვალში ამ გოგონამ - სანიმუშომ და სამაგალითომ - ოჯახისა და სკოლის ღირსება შელახა, თანაც, ორმაგად: ჯერ ერთი, იმით, რომ მისთვის შეუფერებელი ვაჟი შეიყვარა, მეორე კი იმით, რომ არც უცდია თავისი გრძნობის დამალვა.

ტრადიციულ საზოგადოებაში არ არსებობს უფრო მძიმე დანაშაული, ვიდრე საყოველთაოდ აღიარებული, საუკუნეების განმავლობაში გამობრძმედილი მორალური ნორმების დარღვევა. განსაკუთრებით მიუტევებელია, როდესაც ამგვარ დანაშაულს ჩადის სხვებისთვის სამაგალითო ადამიანი. შესაბამისად, იგი სანიმუშოდ და სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს. თერჯოლის რაიონის სოფელ საზანოს საზოგადოებამ თავისი გაიტანა, სამართალი აღადგინა და, ალბათ, არც უნდა ვიფიქროთ, რომ გოგონას თვითმკვლელობამ ადგილობრივ ტრადიციულ ეთიკას, თუნდაც, საფუძველი შეურყია. ამის დასტური ისიცაა, რომ სალომე გიორგაძის მშობლებს დღემდე უჭირთ აღიარება, რას შეეწირა მათი შვილი. სიკვდილიც კი არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ გოგონას სიყვარულის უფლება მოეპოვებინა.

მაგრამ ამ უბედურ ამბავს უცნაური გაგრძელება მოჰყვა. სოფელ საზანოს საშუალო სკოლის უფროსკლასელებმა სერიოზული ამბოხი მოაწყეს და ბოლო ზარის დღეს მასწავლებლები სკოლის შენობაში არ შეუშვეს. ამით მათ მხარდაჭერა გამოუცხადეს გარდაცვლილ მეგობარს და ტრადიციული საზოგადოების მორალს დაუპირისპირდნენ. ახალგაზრდები დადგნენ ადამიანის უფლებების მხარეს, პირადი ცხოვრების ხელშეუვალობის მხარეს, სამოქალაქო საზოგადოების მხარეს. ფაქტობრივად, სოფელ საზანოს საშუალო სკოლის უფროსკლასელები, რომლებიც სალომე გიორგაძის სიცოცხლეში ტრადიციული საზოგადოების წევრები იყვნენ, მისი გარდაცვალების შემდეგ მეყსეულად გარდაიქმნენ სამოქალაქო საზოგადოების წევრებად. არა მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი უფლებები გაიცნობიერეს, არამედ, პირველ რიგში, იმის გამო, რომ დაიწყეს მათ ირგვლივ არსებული გარემოს გარდაქმნა.

ქართული საინფორმაციო საშუალებები, სამწუხაროდ, ხშირად ერთნაირად აშუქებენ მნიშვნელოვანსა და საინტერესოს. სოფელ საზანოში მომხდარი ტრაგედია გაშუქდა როგორც ცუდი, მაგრამ საინტერესო ამბავი. მის მნიშვნელობაზე არავინ შეჩერებულა. მაგრამ თუ საქართველოს სახელმწიფო მართლაც ევროპის ნაწილია, თუ XXI საუკუნის საქართველოში არსებობს საზოგადოება, რომელიც პატივს სცემს საკუთარ მომავალს, სალომე გიორგაძის სიცოცხლისა და სიკვდილის ამბავი მნიშვნელოვანი ამბავია. ვიდრე მორალის მოდარაჯეებს შეუძლიათ, თვითმკვლელობამდე მიიყვანონ მოზარდი, რომლისთვისაც პროტესტის ყველაზე ხელმისაწვდომი ფორმა საკუთარი სიცოცხლის ხელყოფაა, ამაზე მნიშვნელოვანი ამბავი თანამედროვე ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, უბრალოდ, არ არსებობს.

მასალა გამოქვეყნებულია "რადიო თავისუფლების" ეთერით

პარლამენტარები - დონორები და პაციენტები

გიორგი ასანიშვილი

უახლოეს მომავალში, პარლამენტს, საკონსტიტუციო ცვლილებებთან ერთად, საკადრო საკითხების განხილვაც მოუწევს. ნინო ელუაშვილის ფოტო

ქვეყანას პარლამენტარების სისხლი დასჭირდა, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით. როგორც ირკვევა, სისხლის გადასხმის სადგურებში უფასო დონორები თითქმის აღარ დადიან. ამიტომ, დეპუტატებმა გადაწყვიტეს, ეს ფუნქცია თავის თავზე აიღონ. ამ ინიციატივამ, რომელიც პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს გიგი წერეთელს უკუთვნის, ბიუროს გუშინდელ სხდომაზე დიდი დაინტერესება გამოიწვია.

"რაც სისხლი გვაქვს, სულ უნდა ჩავაბაროთ?" - შეშინდა ერთ-ერთი კანონმდებელი.

"მოდით, სისხლი მხოლოდ ოპოზიციას ჩავაბარებინოთ!" - გონება გაუნათდა ბესო ჯუღელს. ბევრ დეპუტატს კი ეეჭვება, რომ ყველა მისი კოლეგის სისხლი გამოსადეგია.

ასეა თუ ისე, ხვალ თერთმეტ საათზე პარლამენტარები, გიგი წერეთლის წინამძღოლობით, სისხლის გადასხმის ცენტრალურ სადგურში გამოცხადდებიან.

ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის აქტიურობა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება: გიგი წერეთელი, პარალელურად, "ფსიქიატრიის შესახებ" კანონპროექტსაც ამზადებს.

"საშური კანონპროექტია," - ჩუმად ეცინება ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანს. გიგი წერეთელი მას, რა თქმა უნდა, მთლიანად ეთანხმება.

"მასში ისეთი მუხლებიც არის, თქვენ რომ გჭირდებათ," - პაციენტებად აღიქვამს წერეთელი ზოგიერთ დეპუტატს.

ბიუროს გუშინდელ სხდომაზე, ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარესთან ერთად, ყურადღების ცენტრში იყო გივი თარგამაძეც. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ყველა ულოცავდა ქალიშვილის შეძენას, რომელსაც ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი, "უფრო ზუსტად" კი, ნატო დაარქვეს.

საოჯახო საზრუნავთან ერთად, გივი თარგამაძეს საზოგადო საფიქრალიც აქვს: იგი საკონსტიტუციო ცვლილებების სახალხო განხილვის კოორდინირების კომისიის ხელმძღვანელიც არის. თუმცა, ამ მხრივ იგი ძალიან არ დატვირთულა: განხილვის ერთთვიანი ვადა ისე ამოიწურა, რომ კომისიაში არც ერთი შენიშვნა არ შესულა.

რაც შეეხება თავად საკონსტიტუციო ცვლილებებს, ის ქვეყნის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის რეორგანიზაციას და გაერთიანებულ შტაბად მის გარდაქმნას ითვალისწინებს, რაც ასევე ნატო-ს სტანდარტებთან დაახლობის სურვილით არის ნაკარნახევი.

"გენშტაბის დღევანდელი მოდელი რუსული არმიის სტრუქტურას წარმოადგენს. იგი ცალკე მუშაობს და მხოლოდ გარკვეული პერიოდულობით ხდება შეიარაღებული ძალების სახეობების (სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო) შტაბების წამომადგენელთა მოწვევა და მოსმენა. გაერთიანებული შტაბი კი მუდმივმოქმედი, ერთიანი სტრუქტურა იქნება, რომლის მუშაობაშიც ყველა სახეობის შტაბი მთლიანად ჩაერთვება. ამდენად, საჭირო ინფორმაციის მიღება და გადამუშავება ყოველდღიურ რეჟიმში მოხდება და არა ცალკეულ შემთხვევებში, როგორც დღეს არის," - აცხადებს გივი თარგამაძე.

უახლოეს მომავალში, პარლამენტს, საკონსტიტუციო ცვლილებებთან ერთად, საკადრო საკითხების განხილვაც მოუწევს: პრეზიდენტ სააკაშვილის წარდგინების საფუძველზე, პრეზიდენტის თანაშემწე კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში ირაკლი ალასანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად დაინიშნება, რომელიც ამ თანამდებობაზე რევაზ ადამიას შეცვლის. ამასთან, როგორც საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი აცხადებს, ირაკლი ალასანია პრეზიდენტის თანაშემწის პოსტსაც შეინარჩუნებს. რევაზ ადამიას გათავისუფლებაში კი დეპუტატები რაიმე განსაკუთრებულს ვერ ხედავენ და პრეზიდენტის გადაწყვეტილებას იმით ხსნიან, რომ ადამიას როტაციის ვადა ამოიწურა...

მეორე საკადრო საკითხი უფრო საჩოთიროა: სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს მიმართა წერილით, რომელშიც დეპუტატ ბადრი ნანეტაშვილის სამეწარმეო საქმიანობაზეა საუბარი. იმასთან დაკავშირებით, რომ ნანეტაშვილი რეგიონული ტელეკომპანია "თრიალეთის" ერთ-ერთი ხელმძღვანელია, სახალხო დამცველმა საგანგებო მოკვლევა ჩაატარა და ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია პარლამენტის თავმჯდომარეს გადასცა. ნინო ბურჯანაძემ საკითხის მომზადება საპროცედურო საკითხებისა და წესების კომიტეტის თავმჯდომარეს ხათუნა გოგორიშვილს დაავალა. თუ პარლამენტის ხელმძღვანელობის გუშინდელი განწყობის მიხედვით ვიმსჯელებთ, ბადრი ნანეტაშვილს უახლოეს ხანში შეუწყდება სადეპუტატო უფლებამოსილება.

დაუდგენელი ინფექცია ბავშვებში

მაია მეჭხვარიშვილი
ქუთაისიდან

მარტვილის რაიონის სოფელ ლეხაინდრაოს საჯარო სკოლის მე-2 კლასის სამი მოსწავლე ქუთაისში, დასავლეთ საქართველოს ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრში იმყოფება.

"ლეხაინდრაოს სკოლიდან ბავშვები ადგილობრივი პედიატრის მომართვის საფუძველზე მივიღეთ. მათ აღენიშნებოდათ მაღალი ტემპერატურა, ძლიერი გულისრევის შეგრძნება და სისუსტე. ბავშვებს ზოგადი ინტოქსიკაციით მიმდინარე მწვავე ვირუსული ინფექცია დაუდგინდათ და ადგილზე უტარდებათ სტაციონარული მკურნალობა.

დღეს ექიმთა კონსილიუმი გადაწყვეტს, რა ტიპის მკურნალობა გაუგრძელდებათ," - აცხადებს ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრის მკურნალი ექიმი.

ინფექციის წყარო უცნობია, როგორც ექიმებისთვის, ისე - ბავშვების ახლობლებისთვის. მშობლები ჰყვებიან, რომ ლეხაინდრაოს სკოლის მე-2 სკოლაში 19 ბავშვი სწავლობს და ათი მათგანი ერთდროულიად ერთნაირი სიმპტომებით გახდა ავად.

ბავშვებს პირველადი დახმარება ადგილობრივი ამბულატორიის პედიატრმა გაუწია.

თუმცა, სამი მათგანის მდგომარეობა გართულდა და ისინი ქუთაისში, დასავლეთ საქართველოს ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრში გადაიყვანეს. გავრცელებული ინფორმაციით, ინფექციის წყარო სასმელი წყალია, რომელსაც, სავარაუდოდ, ფეკალური მასები ერევა.

ყოველი წამი სიამოვნებაა

ზოგჯერ სიამოვნება იზომება დროით
მაგთისთან დრო ყოველთვის წამებში იზომება

დაზოგეთ ყოველი წამი

საქართველოს მოგილური ოპერატორებიდან
მხოლოდ მაგთი აღრიცხავს და ანგარიშობს
თქვენს ნალაპარაკებ დროს 1 წამის სიზუსტით.

არავითარი დამრგვალება!

ილაპარაკეთ მეტი!

25 11 11 25 00 00 525
www.magticom.ge

მაგთი magti

მოკლედ

აეროდრომის დასახლების მოსახლეობამ შესაძლოა, თბილწყალკანალს უჩივლოს

თბილისის აეროდრომის დასახლების (ვარკეთილი) მოსახლეობა "თბილწყალკანალის" ხელმძღვანელობის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს. ვარკეთილში მცხოვრები მოქალაქეები სახელმწიფოს წყალსადენის მილების შეცვლას სთხოვენ. თბილწყალკანალმა ცენტრალურ ქუჩებზე წყლის მილების შეცვლა რამდენიმე დღის წინ დაიწყო. აეროდრომის დასახლების ერთ-ერთი ქუჩის მაცხოვრებლები ამბობენ, რომ გარკვეული მიზეზების გამო მათ მილების შეცვლა საკუთარი ხარჯებით ურჩიეს.

"30 წლის განმავლობაში ჩვენი ქუჩის ყველა მაცხოვრებელი წყლის გადასახადს იხდის. ახლა "თბილწყალკანალში" გვეუბნებიან, რომ ჩვენი დასახლება იმ გეგმაში არ შედის, რომელიც წყლის მილების შეცვლას სახელმწიფო ხარჯით ითვალისწინებს. მოგვხედოს ვინმემ სერიოზულად, წინააღმდეგ შემთხვევაში გადავკეტავთ გზებს და მივმართავთ სასამართლოს. თუ ამ წლების განმავლობაში გადასახადის ქვითარი მოგვდიოდა, ახლა რატომ უნდა აღმოვჩენილიყავით გეგმური ნახაზის მიღმა", - აცხადებენ აეროდრომის დასახლების მე-13 ქუჩის მაცხოვრებლები.

როგორც "მედიანიუსს" თბილწყალკანალის პრესსამსახურში განუმარტეს, წყალსადენი მილების რეაბილიტაციის პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობს. "პირველ ეტაპზე ის წყალსადენი მილები შეიცვლება, რომლებიც ყველაზე მეტად არის ამორტიზებული. მიმდინარე წელს ასეთი 150 კილომეტრის სიგრძის მილი გამოიცვლება. აეროდრომის დასახლებაში ამჟამად მე-10 და მე-11 ქუჩებზე მიმდინარეობს სამუშაოები. ვინაიდან მე-13 ქუჩაზე შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, იქ მილების გამოცვლა 2007 წელს არის დაგეგმილი. ხოლო მე-13 ქუჩის მაცხოვრებელთა ნათქვამი, რომ თბილწყალკანალის თანამშრომლებმა მილების გამოცვლა საკუთარი ხარჯებით ურჩიეს, სიმართლეს არ შეესაბამება" - აცხადებენ თბილწყალკანალში. **მედიანიუსი**

მასწავლებლებს 47-დღიანი შვებულება უნდა ეკუთვნოდეთ

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტი პედაგოგებისთვის 47-დღიანი შვებულების აღდგენას მოითხოვს.

აღნიშნული განცხადება გუშინ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე განათლების კომიტეტის თავმჯდომარემ ნოდარ გრიგალაშვილმა გააკეთა.

მისი თქმით, ახალი კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მასწავლებლებს მხოლოდ 30-დღიანი შვებულება ეძლევათ. თუმცა, კომიტეტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ საზაფხულო არდადეგების დროს, მასწავლებლებიც უნდა ისვენებდნენ. მისივე თქმით, ძველი კანონმდებლობით გათვალისწინებული 47-დღიანი შვებულება აბსოლუტურად სამართლიანი იყო.

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ ნოდარ გრიგალაშვილს საკითხის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გარკვევა დაავალა. იგი ეთანხმება მოსაზრებას, რომ მასწავლებლებს 47-დღიანი შვებულება უნდა ეკუთვნოდეთ.

ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ საუკეთესო გამოსავალი იქნება კანონის აღნიშნული მუხლის ამოქმედება 2007 წლის 1 იანვრამდე გადავადდეს. იანვრისთვის კი საქართველოს პარლამენტი შესაბამის ცვლილებებს მოამზადებს. **ინტერპრესნიუსი**

ექსპერტები 24 წლის ახალგაზრდის გარდაცვალების მიზეზების შესწავლას განაგრძობენ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს სპეციალური კომისია 27 მაისს გარდაცვლილი 24 წლის ლაშა დანელიას სიკვდილის მიზეზების შესწავლას განაგრძობს.

კომისიის წევრებმა ფოთის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში საკითხის შესწავლა დაახლოებით ორი კვირის წინ დაიწყეს. ლაშა დანელიას თავლის ოპერაცია სწორედ ფოთის კლინიკაში ჩაუტარდა, რის შემდეგაც მისი მდგომარეობა გაუარესდა და გარდაიცვალა.

ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ფოთში მივლინებული სპეციალური კომისია ლაშა დანელიას სამედიცინო ისტორიას და გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხს შეისწავლის.

"ფოთის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში მუშაობის დასრულების შემდეგ, საკითხის სიღრმისეულად შესასწავლად ექსპერტები ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოს და თბილისის ე.წ. მიხეილის საავადმყოფოს ეწვევიან. სამეგრელოში ოპერაციის გაკეთების შემდეგ ლაშა დანელია აღნიშნულ კლინიკებშიც მკურნალობდა. თუკი საკითხის შესწავლის შედეგად შეინიშნება ექიმის პროფესიული გადაცდომის შემთხვევა, ექიმის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას გვერდს ვერ ავუვლით. ამას შესწავლის შედეგები დაედება საფუძვლად", - უთხრა "მედიანიუსს" ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსმა გია თვალავაძემ. **მედიანიუსი**

თავისუფალი სიტყვა

FM ცნობა 92.0

*ახალი მედიაპროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ მაია ჭალაგანიძეს. გადაცემის სტუმრები არიან რუსეთში საქართველოს ყოფილი ელჩი ზურაბ აბაშიძე და გაზეთ "24 საათის" მიმომხილველი დიმიტრი ავალიანი, გადაცემაში მოსკოვიდან ტელეფონით ერთვება პოლიტიკური და სამხედრო ექსპერტი **პაველ ფელგენგაუერი**.*

მაია ჭალაგანიძე: ბ-ნო ზურაბ, თვალი გადავავლოთ მოლაპარაკებების ისტორიას ბოლო წლების განმავლობაში. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თქვენ ელჩი იყავით. რა დაგამახსოვრდათ, რა იყო ყველაზე მთავარი მიღწევა მთელი ამ ურთიერთობის მანძილზე.

ზურაბ აბაშიძე: უპირველეს ყოვლისა, მინდა მივესალმო პუტინისა და სააკაშვილის შეხვედრას. იმედია, ეს შეხვედრა მნიშვნელოვან ცვლილებას შეიტანს ჩვენს ურთიერთობებში, რომელიც ამ ბოლო დროს დაძაბულია. საერთოდ, თუ პრეზიდენტები ვერ გამონახავენ საერთო ენას, მაშინ ქვეყნებსაც გაუჭირდებათ ურთიერთობა. ეს მიდგომა განსაკუთრებით რუსეთზე ვრცელდება, რადგან იქ იმდენად ვერტიკალური სისტემაა შექმნილი ძალაუფლებისა, რომ პრეზიდენტის პოზიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მე უშუალოდ ვარ მომსწრე იმისა, თუ რამდენად შეიცვალა ვითარება მას შემდეგ, რაც პრეზიდენტები ერთმანეთს შეხვდნენ. თუნდაც სააკაშვილის ვიზიტი გავიხსენოთ 2004 წლის თებერვალში, როდესაც ვითარება რადიკალურად შეიცვალა უკეთესობისკენ. ზოგადად, ჩემი ოთხწლიანი მოღვაწეობის მანძილზე, დაძაბული ვითარება იყო.

მაია ჭალაგანიძე: თქვენი აზრით, როგორ უნდა დავანტერესოთ რუსეთი, რომ შემხვედრ ნაბიჯებზე წამოვიდეს?

ზურაბ აბაშიძე: ეს უნდა წამოვიდეს უმაღლესი დონიდან, ანუ პრეზიდენტების შეხვედრამ სისტემატური ხასიათი უნდა მიიღოს. კარგია, თუკი იქნება დიალოგი, დისკუსიები პოლიტიკოსებს შორის. აუცილებლად უნდა აღდგეს ურთიერთობა სამხედროებს, მესაზღვრეებს შორის. როდესაც მე რუს კოლეგებს ვესაუბრები, აღვნიშნავთ, რომ ჩვენს შორის მოუგვარებელი პრობლემა არ არსებობს. რუსეთში პირად ურთიერთობებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ხანდახან ეს ურთიერთობები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ შესაძლოა, გადაწონოს კიდეც რაღაცები. დღევანდელ ხელისუფლებასთან მიმართებაში შემიძლია ვთქვა, რომ მეტი დიალოგი უნდა იყოს, რაც არის, არასაკმარისია. ემოციურობაა ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა.

მაია ჭალაგანიძე: სატელეფონო ხაზზეა რუსი სამხედრო-პოლიტიკური ექსპერტი პაველ ფელგენგაუერი. ქართველი ექსპერტები ამ შეხვედრისაგან განსაკუთრებულ შედეგებს არ მოელიან. როგორ აფასებთ ორი პრეზიდენტის შეხვედრას, და რა გახდება ახალი ვაჭრობის საგანი?

პაველ ფელგენგაუერი: ჩვენთანაც არავინ ელის განსაკუთრებულ გარღვევებს. სკეპტიკური დამოკიდებულებაა. განსაკუთრებით კრემლთან დაახლოებულ სტრუქტურებში. მართლაც ძალიან ძნელია, ველოდოთ გარღვევებს, რადგანაც პოზიციები ძალიან განსხვავდება, შეთანხმება რთული იქნება. საერთოდ, სააკაშვილი და პუტინი პირველად არ ხვდებიან ერთმანეთს, ადრეც იყო რაღაც მოლოდინი, საბოლოოდ კი შეხვედრები უშედეგოდ მთავრდებოდა.

მაია ჭალაგანიძე: საერთო ფონი დღეს ალბათ ძალიან დაძაბულია...

პაველ ფელგენგაუერი: სიტუაცია, რა თქმა უნდა, ძალიან დაძაბულია. მიმაჩნია, რომ ეს ბოლო მცდელობაა, შეჩერდეს დაძაბულობის ზრდა სამხრეთ ოსეთში, რასაც ნამდვილი ომისკენ ან სერიოზული კონფლიქტისკენ მივყავართ. ყველაფერი ამ მიმართულებით მიდის - ეკონომიკური ბლოკადა, პოლიტიკური უთანხმოება, მუქარის ნოტები, მოსკოვში იგორ გაიორგაძის, როგორც საქართველოს ალტერნატიული ლიდერის, ლეგალიზაცია. საბოლოოდ ეს შეიძლება შეიარაღებული კონფლიქტით დასრულდეს.

დიმიტრი ავალიანი: რუსული და ქართული მხარეები, მხედველობაში მაქვს ექსპერტები და ჟურნალისტები, მიიჩნევენ, რომ ამ შეხვედრისგან სერიოზულ შედეგებს არ უნდა ველოდოთ. როგორ მოხდა, რომ ეს შეხვედრა მაინც შედგება? ეს იყო საქართველოს მხარის ინიციატივა, რუსეთის თუ დასავლეთის? ვინ უფრო დაინტერესებულია შეხვედრის ფაქტით?

პაველ ფელგენგაუერი: მოსკოვში საუბრობენ, რომ ეს საქართველოს ინიციატივაა, რომ ჩვენი კეთილი პრეზიდენტი დათანხმდა. იმასაც ამბობენ, რომ საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლა აშშ-მ განახორციელა. როგორც ჩემთვისაა ცნობილი, აშშ ძალიან შეშფოთებულია და ძალზე სერიოზულად ეკიდება სიტუაციის განვითარებას რუსეთსა და საქართველოს შორის. მათ მიაჩნიათ, რომ მისი უკიდურესობამდე მიყვანა საშიშია. შესაძლოა, ინიციატივა მართლაც დასავლეთიდან მოდის. ჩვენი პრეზიდენტი ძალიან ფრთხილი კაცია. და მასაც სურს გამოიყენოს ბოლო შესაძლებლობა, რათა კონფლიქტი თავიდან აიცილოს. თუმცა, "ომის პარტია" არსებობს როგორც მოსკოვში, ასევე თბილისში.

დიმიტრი ავალიანი: შეიძლება ითქვას, რომ ნატო-ს საკითხი რუსეთსა და საქართველოს შორის დღესდღეობით ძირითადი გამაღიზიანებელი ფაქტორია?

პაველ ფელგენგაუერი: დიახ. რუსეთი ნატო-ს გაფართოებას პოსტსაბჭოთა სივრცეზე მთელი ძალებით ეწინააღმდეგება. შეგახსენებთ, ორიოდე წლის წინ კონფლიქტი გვქონდა აფხაზეთის ხელისუფლებასთან. ძალიან არ მოგვწონდა, რომ ბაგაფში აირჩიეს. აქაც იყო ეკონომიკური ბლოკადა, ძალის გამოყენების მუქარა. საბოლოოდ შევთანხმდით იმაზე, რომ აფხაზეთი გაატარებს პრორუსულ პოლიტიკას, და ხელმძღვანელობაში გარკვეულ პოსტებზე ის ხალხი დაინიშნება, ვისაც რუსეთი დაასახელებს. ვფიქრობ, საქართველოსთანაც იგივე პირობებით შეთანხმება შეიძლებოდა. ანუ პრორუსულ პოლიტიკაზე და, მაგალითად, გიორგაძის დანიშვნაზე. ანუ დასავლეთის გადნევნა და პრომოსკოვური კადრების დანიშვნა ხელმძღვანელობაში იქნებოდა იმის გარანტია, რომ მოსკოვი შეიცვლიდა თავის დამოკიდებულებას. მაგალითად, შემოუშვებდა "ბორჯომს".

დიმიტრი ავალიანი: და მეტი არაფერი?

პაველ ფელგენგაუერი: არ ვიცი, ამ მოლაპარაკებებში არ ვმონაწილეობ.

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

"ნარინჯისფერი" კოალიცია საფრთხეშია

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲓᲐᲜ

"ნაშა უკრაინა" არაოფიციალურად უკვე შეეგუა აზრს, რომ ქვეყნის პრემიერი იულია ტიმოშენკო გახდება, რაც უკრაინელი ექსპერტებისა და "ნაშა უკრაინას" გულშემატკივრების აზრით, ქვეყნისთვის "დამღუპველი იქნება".

კოალიციის შექმნის თაობაზე მოლაპარაკებათა პროცესში თავმდაბლობით არ გამოირჩევიან არც სოციალისტები, რომელთა ლიდერი ალექსანდრ მოროზი უკრაინის უმაღლესი რადას სპიკერობის სურვილს გამოთქვამს.

მოროზის ეს სურვილი მოლაპარაკებათა პროცესის ჩიხში შეყვანის მიზეზი გახდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ამტკიცებენ "ნაშა უკრაინას" წევრები.

უკრაინის სახელისუფლებო პარტიამ "ნაშა უკრაინამ" გუშინ გაავრცელა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ "ნაშა უკრაინა" უპერსპექტივოდ მიიჩნევს საპარლამენტო კოალიციის შექმნას იულია ტიმოშენკოს ბლოკთან და უკრაინელ სოციალისტებთან.

"სამწუხაროა, რომ მოროზის პირადმა ამბიციებმა კოალიციის შექმნის თაობაზე მოლაპარაკებათა პროცესი ჩიხში შეიყვანა. ეს უკრაინელი ხალხის მიმართ უპასუხისმგებლო საქციელია," - აღნიშნულია "ნაშა უკრაინას" განცხადებაში.

"ნაშა უკრაინას" მიაჩნია, რომ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარისა და ქვეყნის პრემიერის პოსტები საპარლამენტო არჩევნებში პირველ და მეორე ადგილებზე გასულმა პარტიებმა უნდა გაინაწილონ.

"ჩვენი რეაქცია საკმაოდ მშვიდია. ჩვენ, უბრალოდ, ვუთანაგრძნობთ "ნაშა უკრაინას", რომელსაც დაავიწყდა, რამდენი შრომა გასწია ალექსანდრ მოროზმა იმისათვის, რომ დღეს "ნაშა უკრაინა" ყოფილიყო იქ, სადაც არის," - ასეთი კომენტარი გააკეთა სოციალისტების ერთერთმა ლიდერმა იოსიფ ვინსკიმ. მან აქვე განმარტა, რომ მას მხედველობაში აქვს 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, რომელთა დროსაც მოროზი იუშენკოს უჭერდა მხარს.

მომავალი კოალიციის კიდევ ერთი შესაძლო სუბიექტი - იულია ტიმოშენკო და მისივე სახელობის ბლოკი, მოლაპარაკებათა პროცესის გაჭიანურებას ვიქტორ იუშენკოსა და "ნაშა უკრაინას" აბრალებს.

"მოლაპარაკებათა პროცესი დიდმა ფულმა და იმ ადამიანებმა ჩაშალეს, რომლებიც "ნაშა უკრაინაში" მეხუთე კოლონას წარმოადგენენ," - აცხადებს უკრაინის ყოფილი პრემიერი იულია ტიმოშენკო. მისი თქმით, სპიკერის თანამდებობა "ნაშა უკრაინასთვის" საბაბი გახდა, რათა საპარლამენტო კოალიციის ფორმირება სულ სხვა მიმართულებით დაიწყოს. ტიმოშენკო მიიჩნევს, რომ "ნაშა უკრაინა" "ნარინჯისფერებთან" მოლაპარაკებას თავს დაანებებს და "ნარინჯისფერი რევოლუციის" ანტიგმირის ვიქტორ იანუკოვიჩის "რეგიონების პარტიას" დაუმეგობრდება. **"თუ ეს ასე მოხდა, იულია ტიმოშენკოს ბლოკი ოპოზიციაში გადავა,"** - დაიმუქრა "ლედი იუ".

თავად პრეზიდენტმა იუშენკომ უკანასკნელ რადიოინტერვიუში კოალიციის შექმნის გაჭიანურების გამო შეშფოთება გამოთქვა.

მან განაცხადა, რომ კოალიცია არჩევნების შედეგების გათვალისწინებით უნდა შეიქმნას. **"ეს ნიშნავს იმას, რომ პირველ ადგილზე გასულ ტიმოშენკოს ბლოკს უფლება აქვს, პრემიერობის ან პარლამენტის თავმჯდომარეობის მისთვის სასურველი კანდიდატი დაასახელოს, შემდეგ მეორე ადგილზე გასული "ნაშა უკრაინა" მისთვის საინტერესო თანამდებობას და შესაბამის კანდიდატურას დაასახელებს, შემდეგ კი სოციალისტების ჯერია,"** - განაცხადა იუშენკომ.

ამასთან იუშენკომ აღნიშნა, რომ ის არ დაუშვებს ვაჭრობას იმ თანამდებობების გარშემო, რომელთა ხელმძღვანელებსაც, კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი ნიშნავს. **"ასეთებია ძალოვანი მინისტრები, საგარეო საქმეთა მინისტრი, უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, სამხარეო და რაიონული ადმინისტრაციების ხელმძღვანელები,"** - განმარტა იუშენკომ.

შეხვედრა ოპტიმისტური მოლოდინის გარეშე

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲓᲐᲜ

"თუ სააკაშვილს ეყოფა ძალა, რათა უთხრას რუსეთის პრეზიდენტს, რომ საქართველო დსთ-ს ტოვებს და საქართველოს ეროვნული ინტერესების ხარჯზე არავითარი დათმობა არ იქნება, მაშინ ეს შეხვედრა მნიშვნელოვანი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგები არ იქნება და საქართველოს მოსახლეობა ისეთივე მწვავე მდგომარეობაში იქნება, როგორც ახლაა," - განაცხადა ბერძენიშვილმა.

დეპუტატის თქმით, ორივე ქვეყნის პრეზიდენტები ვალდებული არიან, სიბრძნე გამოიჩინონ და ორ ქვეყანას შორის გაფუჭებულ ურთიერთობაში პოზიტივი შეიტანონ. **"თუ ისინი ერთმანეთზე ცუდს მაინც აღარ იტყვიან, ესეც გარკვეული შედეგი იქნება,"** - განაცხადა ბერძენიშვილმა.

საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა სასიკეთოს ვერაფერს მოგვიტანს, - მიაჩნია საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირის წევრს გუბაზ სანიკიძეს. მისი ვარაუდით, პუტინი საქართველოს ნატო-ში შესვლისა და უცხო ქვეყნების ბაზების საქართველოში შემოსვლის გამო თავის უარყოფით პოზიციას სააკაშვილს ულტიმატუმის სახით აუცილებლად წაუყენებს, საქართველოს პრეზიდენტი კი ამგვარ დათმობაზე ვერ წავა; ასე რომ, შეხვედრა უშედეგოდ დამთავრდება.

როგორც გუბაზ სანიკიძემ აღნიშნა, რუსეთისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ძალა არ შემოვიდეს. მისივე თქმით, წარსულშიც საქართველოსა და რუსეთის ყოფილი პრეზიდენტების შეხვედრები **"უღიმღამო პრეზიდენტების უღიმღამო შეხვედრები"** იყო.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა აცხადებს, რომ რუსეთი საკუთარი პოლიტიკური და გეოსტრატეგიული ინტერესების შესაბამისად მოქმედებს.

"იმის მოლოდინი, რომ რუსეთის პოლიტიკა ქარის მიმართულებით შეიცვლება, არარეალურია. შეიძლება შეიცვალოს რუსეთის ხელისუფლება, მაგრამ ინტერესი არა," - აღნიშნავს შამბა.

მისივე თქმით, რუსეთი ძველი დიდებისა და გავლენის აღდგენას ცდილობს და როცა საქმე მის ინტერესებს ეხება, პოზიციას არასოდეს იცვლის.

"რუსეთი შეთანხმებას ასრულებს, საქართველოდან ბაზები გაჰყავს. საქართველომ კი რა შეიძლება კიდევ მოსთხოვოს - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ლანგრით მირთმევა?" - სვამს კითხვას შამბა და დარწმუნებულია, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობასა და მის მომავალზე თავად აფხაზებთან მოუწევს ყველას საუბარი. **24 საათი**

დიდი ისტერიის მოლოდინში

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲓᲐᲜ

ისტერიას ინტელექტუალურად უმაგრებენ ზურგს ტრადიციონალისტი რუსი გეოპოლიტიკოსები, რომლებიც რუსეთს ტრადიციულად "მტრებით ალყაშემორტყმულს" ხედავენ და ნატო-ს გაფართოებაში მხოლოდ ამ ალყის დასრულებას მოელიან. დღევანდელი ალყის მთავარ ავტორად ამ გეოპოლიტიკოსებს აშშ-ს ყოფილი ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ზბიგნევ ბჟეზინსკი მიაჩნიათ, რომელიც 90-იანი წლების მეორე ნახევარში ალაპარაკდა უკრაინისა და კასპიის ზღვის ნავთობის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე. მათი თქმით, ახლა სწორედ ბჟეზინსკის გეგმა ხორციელდება - უკრაინა დასავლეთის გავლენის ქვეშ გადადის, კასპიის ნავთობი კი რუსეთის გვერდის ავლით გადის მსოფლიო ბაზარზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მეშვეობით.

უფრო ზომიერი რუსი მიმომხილველები აცხადებენ, რომ ნატო-ში შესვლა თავად უკრაინის ინტერესებში არ შედის, რადგან ეს უკანასკნელი ეკონომიკური თვალსაზრისით მჭიდროდაა მიბმული რუსეთთან და მკვეთრი საზღვრის გავლება რუსეთსა და უკრაინას შორის ორივე მხარისთვის წამგებიანი იქნება. ეს არგუმენტიც საკმაოდ ისტერიულად ჟღერს. გასაგებია, რომ ნატო-ს გაფართოება ფსიქოლოგიური მიზეზების გამო რუსეთის მხრიდან გარკვეულ სანქციებს (უპირველესად ეკონომიკური ხასიათის) გამოიწვევს. მაგრამ,. ამავე დროს, თავად რუსეთი ცდილობს, მაქსიმალურად მოიკიდოს ფეხი ევროპის ენერგობაზარზე, რაც დასავლეთთან ეკონომიკურ ინტეგრაციას ნიშნავს. ახლახან ევროკომისიის ექსპერტებმა შეიმუშავეს ვრცელი დოკუმენტი სახელწოდებით "საგარეო პოლიტიკა ენერგეტიკის სფეროში ევროკავშირის ინტერესების დაცვისათვის", რომელიც 15 ივნისს ევროპის სამიტზე იქნება წარდგენილი. დოკუმენტში გამოყოფილია რამდენიმე უმნიშვნელოვანესი მიმართულება, რომელთაგან უპირველესი რუსეთისა და ევროკავშირის ენერგობაზრების გაერთიანებაა. ეს გაერთიანება ნიშნავს რუსული კომპანიების (უპირველესად "გაზპრომის") დაშვებას ევროპის ენერგოგამანაწილებელ ბაზარზე და ამავე დროს დასავლური კომპანიების დაშვებას მდიდარი რუსული ენერგორესურსების ასათვისებლად და ადგილობრივი მილსადენების გამოსაყენებლად. დადებით სიგნალებს ამ მხრივ, ბოლო დროს, რუსული მხარეც იძლევა.

თუკი ეს განხორციელდა (არადა, სხვა გზა ალბათ არ არსებობს) და რუსეთი ამგვარად დასავლეთს დაუახლოვდა, უკრაინის წინააღმდეგ სანქციების გატარება საკმაოდ გაჭირდება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ისტერიის საფრთხესაც შეამცირებს.

ხანგრძლივი პროცესის ახალი ეტაპი

თურქეთმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ევროკავშირში გაერთიანებისკენ

თეა მაისურაძე

ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით, ევროპა თურქეთთან გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებებს უფრო აქტიურად გააგრძელებს. ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთა ამგვარი შეთანხმება კვირას ღამით და ორშაბათს კვიპროსსა და ევროკავშირს შორის მოლაპარაკებების შემდეგ იქნა მიღწეული. საყურადღებოა, რომ კვიპროსი ევროკავშირისაგან მოითხოვს თურქეთთან კვიპროსის აღიარების თაობაზე მოლაპარაკებების წარმოებას.

შეგახსენებთ, რომ კვიპროსი ევროკავშირს 2004 წლის მაისში შეუერთდა, მიუხედავად იმისა, რომ კუნძულის მთლიანობა 1974 წლიდან დარღვეულია, რასაც საფუძვლად დაედო თურქეთის მიერ ამ კუნძულის ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილის მესამედის ოკუპაცია.

თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებული პროგრამის ინტენსიურობას მხარი დაუჭირეს უნგრეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, პორტუგალიამ, ესპანეთმა, საბერძნეთმა, გერმანიამ, საფრანგეთმა, კვიპროსმა და ავსტრიამ.

ევროკავშირის მიერ შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც თურქეთის გაწევრიანების პროცესს უფრო აჩქარებს და ინტენსიურს ხდის, ამ უკანასკნელს კიდევ ერთხელ ახსენებს ნაკისრი მოვალეობების შერულების აუცილებლობას, დოკუმენტში აღნიშნულია: **"დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობა საერთო ჯამში უარყოფით გავლენას იქონიებს მოლაპარაკებების პროგრესზე."**

ევროპული საბჭოს შეთანხმებით, თურქეთმა უნდა დაიწყოს ევროკავშირის პოლიტიკის მოთხოვნების 35 თავიდან პირველის შესრულება, რომელიც საჭიროა გაწევრიანებისათვის მოლაპარაკებებში პროგრესის მისაღწევად. საყურადღებოა, რომ პირველი თავი მოიცავს გარკვეული ნაბიჯების გადადგმას მეცნიერებასა და ტექნოლოგიის სფეროში.

ისევე როგორც ევროპის ლიდერები, ასევე თურქეთის სახელმწიფო წარმომადგენლები მიესალმებიან და დადებითად აფასებენ თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებისათვის ოფიციალური მოლაპარაკებების დაწყებას. საყურადღებოა, რომ თურქეთმა ევროკავშირში გაწევრიანებაზე თავისი მოთხოვნა ჯერ კიდევ 40 წლის წინ გააკეთა.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, აბდულა გულის განცხადებით, შეთანხმება, რომელიც ევროკავშირის წევრთა შორის 24 საათიანი მოლაპარაკებების შედეგად იქნა მიღწეული, არის ისტორიული მომენტი, თუმცა ევროპული საბჭოს ამგვარ გადაწყვეტილებას ევროპაში ერთსულოვანი სიხარული არ მოჰყოლია.

ექსპერტთა გადაწყვეტილებით, თურქეთის გაწევრიანების საკითხის განხილვისას საჭიროა ასევე მის მეზობელთან, ხორვატიასთან მოლაპარაკებების გამართვა.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯეკ სტროუ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ლუქსემბურგში გულთბილად შეხვდა. ინგლისელი დიპლომატის განცხადებით, ეს ნამდვილად ისტორიული დღეა ევროპისათვის და ასევე მთელი საერთაშორისო საზოგადოებისათვის. მისივე თქმით, თურქეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით დაწყებული მოლაპარაკებები დიდხანს გაგრძელდება, შესაძლოა ამ პორცესმა მთელი ათწლეულიც კი მოიცვას, თუმცა, **"მე იმედი მაქვს, რომ თუ თურქეთის მიღება ევროკავშირში არის მნიშვნელოვანი, შესაბამისად ამისათვის ბრძოლა ღირს,"** - აღნიშნა ჯეკ სტროუმ.

თურქეთს ევროპისკენ კიდევ გრძელი გზა აქვს გასავლელი.

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა თურქეთს მოუწოდა, უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს სამხედრო და სასამართლო რეფორმებს და გამოასწოროს მდგომარეობა ქვეყნის ქურთებით დასახლებულ ნაწილებში.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით, ევროკავშირის ამგვარმა ნაბიჯმა თურქეთი გლობალურ მოთამაშედ აქცია, რომელიც თავის როლს მსოფლიო დონეზე შეასრულებს.

მისივე თქმით: **"მსოფლიომ კარი გაუღო ახალ ერას, სადაც აღმოსავლეთი, დასავლეთი და ისლამი ადგას გაერთიანების და არა კონფრონტაციის გზას, ეს მსოფლიოსათვის დიდი საჩუქარია"**.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება ორივე მხარისათვის დიდი შანსია. თურქეთის გაწევრიანების საკითხის უფრო გააქტიურებას დადებითად აფასებს ევროკომისიის პრეზიდენტი ხოსე მანუელ ბაროზუც.

სკეპტიკოსების აზრით, თურქეთის ზომა, ეკონომიკური მდგომარეობა და რაც მთავარია, რელიგია - არის ძირითადი მიზეზი, რაც მის გაწევრიანებას ევროკავშირში ძალიან აფერხებს.

თურქეთის წარმომადგენლები ხშირად ადანაშაულებენ ევროკავშირს იმაში, რომ ეს უკანასკნელი ქრისტიანულ კლუბს წარმოადგენს, სადაც მუსლიმური სახელმწიფოს გაწევრიანება მათ ინტერესებში არ შედის.

თვითგამოცხადებული რესპუბლიკების პრეზიდენტთა შეხვედრა სოხუმში

დღეს, 13 ივნისს, სოხუმში ერთმანეთს სამი თვითგამოცხადებული "რესპუბლიკის პრეზიდენტი" სერგეი ბაგაფში, ედუარდ კოკოითი და იგორ სმირნოვი შეხვდებიან. ხოლო 14 ივნისს "პრეზიდენტები" ერთობლივ შეთანხმებას მოაწერენ ხელს.

გუშინ სოხუმში ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი მიმდინარეობდა, რომელშიც სერგეი შამბა (ბაგაფშის მთავრობა), მურატ ჯიოევი (კოკოითის მთავრობა) და ვალერია ლიცკაია (დნესტრისპირეთის მოლდავეთის ე.წ. რესპუბლიკა) მონაწილეობდნენ.

აღნიშნული შეხვედრა, მონაწილეთა განმარტებით წარმოდგენილი ქვეყნების სამი "პრეზიდენტის" შეხვედრისთვის საფუძვლის მომზადებას ისახავდა მიზნად. **ჯი-ეიჩ-ენი**

რუსეთის პრეზიდენტმა მონტენეგროს დამოუკიდებლობა აღიარა

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა "მონტენეგროს რესპუბლიკის ცნობის შესახებ" ბრძანებულება გამოსცა.

ბრძანებულებაში აღნიშნულია, რომ 2006 წლის 21 მაისს ჩერნოგორიაში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად, ამ რესპუბლიკის პარლამენტმა 2006 წლის 3 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება ჩერნოგორიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესახებ და დეკლარაცია ჩერნოგორიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესახებ, ცნობილ იქნეს ჩერნოგორიის რესპუბლიკა როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო". პუტინი ბრძანებულებაში ავალებს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოლაპარაკებების დაწყებას დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების მიზნით. **ჯი-ეიჩ-ენი**

ევროსაბჭოს ელჩები ადამიანის უფლებების საკითხებით დაინტერესდნენ

ევროსაბჭოს ელჩებმა და საპარლამენტო ოპოზიციამ საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე დახურულ კარს მიღმა იმსჯელეს. საკანონმდებლო ორგანოში გამართული შეხვედრა 40 წუთი მიმდინარეობდა.

ოპოზიციის ლიდერების თქმით, ევროსაბჭოს ელჩებთან ქვეყანაში არსებულ პრობლემატურ საკითხებზე იმსჯელეს. მემარჯვენეების წარმომადგენლის, ფიქრია ჩიხრაძის განცხადებით, ელჩების სასამართლო ხელისუფლებაში არსებული ვითარებითა და საკუთრებისა და ადამიანის უფლებების საკითხებით დაინტერესდნენ. მისივე თქმით, დელეგაციამ დიდი ინტერესი ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებზე გამოხატა. "შეკითხვები დაისვა სანდრო გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით. თემა საქართველოს მასშტაბებს გასცდა. შეძლებისდაგვარად შევეცადეთ მათთვის საინტერესო ყველა საკითხზე დეტალური ინფორმაცია მიგვეწოდებინა", - განაცხადა ჩიხრაძემ.

მრეწველების ლიდერის, ზურაბ ტყემალაძის თქმით, საუბარი შეეხო ასევე ოპოზიციის ბოიკოტის თემას. ელჩები გაეცნენ მემორანდუმის პირობებს, რომელიც ოპოზიციის ბოიკოტის საფუძველი გახდა. "აღსანიშნავია, რომ ჩვენი მხრიდან დასმული არც ერთი პრობლემური საკითხი ევროსაბჭოსათვის უცხო არ ყოფილა", - განაცხადა ტყემალაძემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

აშშ და ეთიოპია სომალში შეჭრას გეგმავენ?

"ისლამ ონლაინის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აშშ და ეთიოპია სომალში შეჭრას გეგმავენ. გამომცემლობის დაკონკრეტებით, ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ იქნა მიღებული, რაც მოგადიშოში (დედაქალაქი) შარიათის სასამართლო კავშირის ხელისუფლება დამყარდა.

"შეგახსენებთ, - წერს სააგენტო, - რომ ეს პრომაერიკული საველე მეთაურების ალიანსის მოწინააღმდეგე კავშირია. ალიანსი აშშ-მ მიმდინარე წლის თებერვალში შარიათის 11 მოსამართლის გავლენის გაძლიერების შესაფერხებლად შექმნა. შტატები ამ ძალებს ალ-ქაიდას ტერორისტებთან კავშირში სდებენ ბრალს".

მათი ინფორმაციით, ეთიოპიამ საკუთარი შეიარაღებული ძალები სომალთან საზღვრის მთელ პერიმეტრზე განალაგა. მათი მიზანი კი ქვეყნის ტერიტორიაზე შეჭრა და სომალელი მოჯახედების განადგურებაა. მასალაში ნახსენებია ისიც, რომ ამერიკელებს სომალელთა მიმართ 12 წლის წინანდელი ბოღმა აწუხებთ, ამიტომაც ამ რეგიონში გავლენის აღდგენას ამჟამად გეგმავენ.

პრეზიდენტმა ბუშმა სომალში ისლამური ძალების გაძლიერების თაობაზე შეშფოთება გამოთქვა. მისი თქმით, ამერიკა საპასუხო მოქმედებებისთვის მზადაა და არ დაუშვებს, რომ ამ აფრიკულ სახელმწიფოში მუსლიმანმა ტერორისტებმა დაიდონ ბინა.

"ამერიკის პირველი ამოცანა ყველა ღონის მიღებაა, რათა ეს ქვეყანა ალ-ქაიდას თავშესაფრად არ იქცეს. ჩვენ ვღელავთ ყოველთვის, როდესაც მსოფლიოს რომელიმე წერტილში მდგომარეობა იძაბება," - გაუცხადა ბუშმა ჟურნალისტებს, რომლებიც მას საზღვრისპირა შტატებში მოგზაურობისას ახლდნენ თან.

"მიუხედავად ყველაფრისა, სომალში შარიათის მბრძანებლობა ბევრს არ აწყობს. პირველ რიგში კი აშშ-ს. ამან კი შესაძლოა, განმეორებით ინტერვენციამდე და სისხლისღვრამდე მიგვიყვანოს ამ ომითა და შიმშილით გაწამებულ ქვეყანაში," - წერს "ისლამ ონლაინი". **ჯი-ეიჩ-ენი**

გახმაურებული დანაშაულის გამოუძიებელი ვერსიები

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"ზალიკოს და ღვთისოს დაღუპვიდან სამი დღის შემდეგ სოფელში ქისტებმა ამბავი მოიტანეს, - რაფო ქეშიკაშვილი ვნახეთ ბარგაკიდებული და ამბობდა, როგორმე საზღვარზე უნდა მივაღწიო და საქართველოდან გავიქცეო," - იხსენებს ქეშიკაშვილის ერთ-ერთი მეზობელი, რომელიც სიფრთხილის მიზნით ვინაობას არ ამხელს.

სწორედ გავრცელებული ინფორმაციიდან გამომდინარე, ღვთისო ჯველაურის და ზალიკო ალხანიშვილის მკვლელობა რაფიელ ქეშიკაშვილს დაბრალდა, რის გამოც, ახმეტის რაიონის პოლიციამ მასზე ძებნა გამოაცხადა.

ალხანაშვილისა და ჯველაურის დაკრძალვიდან ორი თვის შემდეგ კი პოლიციამ ქეშიკაშვილის ცხედარიც იპოვა - არხში აღმოაჩინა.

"ორი თვის შემდეგ რაფო ქეშიკაშვილის ცხედარიც იპოვეს, თუმცა ის საშინლად იყო დასახიჩრებული. მკვლელმა, მდინარეში ჩაძირვის მიზნით, მოკლულს სიმძიმე დაჰკიდა, რის გამოც, წყალმა სხეულს თავი და ფეხები წააცალა," - ამბობს ნუნუ ალხანიშვილი.

ალხანიშვილისა და ჯველაურისგან განსხვავებით, ქეშიკაშვილს წამების კვალი ეტყობოდა. ექსპერტის დასკვნაში მითითებულია, რომ სამივე მკვლელობა დროის ერთ მონაკვეთში იყო ჩადენილი. თუმცა, დამნაშავის ანაბეჭდის გარკვევა შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან წყალმა მოკლულთა სხეულიდან კვალი გადარეცხა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ რაფიელ ქეშიკაშვილი, საკუთარი სანადირო თოფით კი არა, უცხო იარაღით იყო მოკლული.

ახმეტის რაიონის პოლიციამ ვერც ამ საქმის ძიებას გაართვა თავი; მოკვლეული მასალები გამოსაძიებლად სამხარეო პოლიციას გადაეცა, თუმცა - უშედეგოდ.

მოკლულთა ოჯახის წევრები მკვლელობას თავის დროზე ქართველების მიერ მოკლული ქისტების ახლობლებს აბრალებენ. საუბარია სისხლის აღების ტრადიციაზე, რომლის თვითმხილველებიც ზალიკო ალხანიშვილი, რაფიელ ქეშიკაშვილი და ღვთისო ჯველაური იყვნენ.

"ზუსტად იმ პერიოდში ხეობაში, ბაბურის გორაზე ვიღაც ქართველებმა სამი ქისტი მოკლეს. ჩემი ქმარიც და მისი ძმაკაცებიც ამ ფაქტს შეეწირნენ. მოგვიანებით, მათ მკვლელობით სისხლი აიღეს," - აცხადებს ზალიკო ალხანიშვილის ცოლი და ოჯახის სხვა წევრები, რომლებიც ამბობენ: **"ბიჭები ქისტების დახოცილები არიან, მაგაში ეჭვიც არ გვეპარება. ჯერ ერთი, რომ მსგავსი სახის მკვლელობაში ეგ ხალხი კარგად არის დახელოვნებული, მეორეც - ჩვენც და ღვთისოს ოჯახმაც რაფიელზე ეჭვი მას შემდეგ მივიტანეთ, რაც მათ ჭორი გაავრცელეს, თითქოს ის ცოცხალი ნახეს; და მესამე - იმ ტყეში, სადაც ისინი დახოცეს, ქისტების გარეშე, ვერც ერთი ქართველი ვერ გაივლიდა."**

დაზარალებულებისვე თქმით, იმ დროს არსებობდა მკვლელობის თვითმხილველიც, რომელმაც მოგვიანებით უარყო ნანახი.

"იყო მკვლელობის თვითმხილველიც, რომელმაც ჩემს შვილს პირადად უთხრა, - ვიცი მამაშენი ვინც მოკლაო, - მაგრამ, პირზე რომ დავადექით, გამომძიებლის წინაშე ყველაფერი უარყო. როგორც ჩანს, ამ საკითხზე იმდენი ილაპარაკა, რომ დააშინეს," - ფიქრობს ალხანაშვილის მეუღლე.

დიდი მცდელობის მიუხედავად, პოლიციის მაშინდელ უფროსთან - რევაზ კახნიაურთან, რომელიც ამჟამად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შს სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსანია - დაკავშირება ვერ მოვახერხეთ. რაიონის ამჟამინდელი პოლიციის უფროსი კი ამბობს, რომ მკვლელობა დიდი ხნის წინათ მოხდა და მას ამ ინფორმაციის შესახებ კომენტარის გაკეთება უჭირს. სოფელ ჯოყოლოს მოსახლეობა ამ საკითხზე ღიად არ საუბრობს. თუმცა, ამბობენ, რომ ქისტების მისამართით გაკეთებული განცხადებები აბსურდულია - მათ წლების წინათ მომხდარ გახმაურებულ მკვლელობაში არანაირი ბრალი არ მიუძღვით.

მოკლულთა ოჯახის წევრები მომხდარის გამოძიებასა და დანაშავეთა დასჯას წლების შემდეგ, ახლაც ითხოვდნენ, თუმცა - უშედეგოდ. გამოძიება, საქმის გაუხსნელობის მოტივით, ამჯერად, ალბათ, საბოლოოდ შეწყდა.

ყოფილი "კანონიერი ქურდი" დაკითხეს

მიუხედავად იმისა, რომ სოზარ სუბარის მიერ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე ე.წ. "კანონიერი ქურდის" პლატონ მამარდაშვილის აღიარებითი ჩანაწერის გამოქვეყნებას საზოგადოებაში სერიოზული სკანდალი მოჰყვა, ამ ფაქტს სამართლებრივი შეფასება ჯერ კიდევ არ მისცემია. მეტიც, პროკურატურის წარმომადგენლები მნიშვნელოვანი მოწმის დასაკითხად მხოლოდ გუშინ მივიდნენ.

ომბუდსმენისთვის მიცემული ახსნა-განმარტების მიხედვით, მამარდაშვილი აცხადებს, რომ თებერვლის თვეში რამდენჯერმე იმყოფებოდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბაჩო ახალაიას კაბინეტში, სადაც მას დაავალეს იმ ჩანაწერის ორგანიზება, რომელშიც შემდგომ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ინფორმაციით, 27 მარტის ბუნტის დაგეგმვაზეა საუბარი.

სამართალდამცველები ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ყოფილი "კანონიერი ქურდის" პლატონ მამარდაშვილის დასაკითხად მხოლოდ მას შემდეგ მივიდნენ, რაც მისი დაკითხვის გაჭიანურება სახალხო დამცველმა გააპროტესტა. მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა მამარდაშვილის დაკითხვა ჯერ კიდევ 6 ივნისს მოითხოვა, პროკურატურის წარმომადგენლები მამარდაშვილის დაკითხვისგან აქამდე თავს გაურკვეველი მიზეზით იკავებდნენ.

გუშინ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფებოდნენ სახალხო დამცველის წარმომადგენლები, რომლებიც დაკითხვას არ დასწრებიან, თუმცა ისინი, უკვე ერთი კვირაა, მამარდაშვილთან მორიგეობენ, რათა მასზე ზეწოლა არ განხორციელდეს.

სოზარ სუბარი მამარდაშვილის საკანში ვიდეოთვალის დაყენებითაც უკმაყოფილოა. ამის შესახებ ის სპეციალურ დასკვნაში აღნიშნავს, რომელსაც სოზარ სუბარი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში არსებული დარღვევების შესახებ ამზადებს.

ომბუდსმენის განცხადებით, ერთ-ერთი პატიმრის საკანში მათ წყლის გამაცხელებელი, ტელევიზორი და ვიდეომაგნიტოფონი აღმოაჩინეს, რაც კანონით აკრძალულია.

სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა 27 მარტს სასჯელაღსრულების დაწესებულების მე-5 საპყრობილეში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით ახალი სკანდალური მასალები გამოაქვეყნა.

24 საათი

მკვლელობაში ეჭვმიტანილები ავსტრიის სასამართლომ გაათავისუფლა

"ყოფილი დეპუტატის იური ჩიხრაძის ვაჟის მკვლელობაში ეჭვმიტანილები ავსტრიის სასამართლომ გაათავისუფლა," - განაცხადა ჩიხრაძეების ოჯახის ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ.

შეგახსენებთ, რომ 2003 წლის 19 ივლისს თბილისში, ვაჟა-ფშაველას მე-3 კვარტალში პარლამენტარ იური ჩიხრაძის ვაჟი 17 წლის ვატო ჩიხრაძე ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლეს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა.

ადვოკატის ინფორმაციით, 17 წლის ვახტანგ ჩიხრაძის მკვლელობისთვის ძებნილი ორი პიროვნება მიმდინარე წლის მაისში ავსტრიაში დააკავეს - ყაჩაღობისა და ქურდობის ფაქტზე. ესენი არიან - ნიკოლოზ ნიკოლაიშვილი და ამირან კალანდაძე.

3 მაისს ავსტრიის სასამართლოს გადაწყვეტილებით, აღნიშნული პირების საქართველოში ექსტრადიცია ვერ მოხდებოდა, ვინაიდან ავსტრიამ მიიჩნია, რომ საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევა ხორციელდებოდა. თუმცა, აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა და მოგვიანებით ავსტრიის სასამართლომ საქართველოს გენერალურ პროკურატურას სთხოვა, გადაეგზავნა მასალები და ის მტკიცებულებები, რომელთა თანახმად, ნიკოლაიშვილსა და კალანდაძეს ბრალი განზრახ მკვლელობაში ედებოდათ.

როგორც ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე აცხადებს, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ დროულად არ იზრუნა აღნიშნული დოკუმენტების გადაგზავნაზე, რის საფუძველზეც, ნიკოლაიშვილისა და კალანდაძის ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა და დაკავებულები წინასწარი პატიმრობიდან, გირაოს გადახდის სანაცვლოდ, გუშინ გაათავისუფლეს.

"მაშინ, როდესაც საქართველოს სამართალდამცველი უწყებები უცხო ქვეყნის, კონკრეტულად კი, უკრაინის მოქალაქის ტარიელ ფოცხვერაიას საქართველოში ექსტრადიციას ყოველგვარი ფორმალური ნიშნების დარღვევით სასწრაფოდ ახდენენ, დაუშვებელია განზრახ მკვლელობაში ეჭვმიტანილების ექსტრადაციაზე ამგვარი იგნორირება," - განაცხადა შალვა ხაჭაპურიძემ და იქვე დასძინა: "კალანდაძემ და ნიკოლაიშვილმა უკვე იციან, რომ არიან განზრახ მკვლელობაში ეჭვმიტანილები, ამიტომ, არსებობს საფუძვლიანი საფრთხე, რომ ისინი მიემალნონ გამოძიებას."

იური ჩიხრაძის მეუღლის ირმა შევარდნაძის განცხადებით, მან ავსტრიელი ადვოკატისგან გუშინ გაიგო, რომ საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ავსტრიის სასამართლოს დროულად არ მიაწოდა მისი შვილის ვატო ჩიხრაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილების ნიკოლოზ ნიკოლაიშვილისა და ამირან კალანდაძის საქმესთან არსებული მასალები, რის გამოც ისინი სასამართლოს დარბაზიდან გირაოს გადახდის სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

მისივე ინფორმაციით, რამდენჯერმე, ავსტრიის იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებს შორის აღნიშნული მასალების მიწოდების თაობაზე სატელეფონო საუბარი შედგა, თუმცა ქართულმა მხარემ აღნიშნული პროცედურა უსაფუძვლოდ გააჭიანურა.

"19 ივნისს, ვატოს გარდაცვალებიდან სამი წელი სრულდება. მის მკვლელობაში ეჭვმიტანილები დაკავებულები იყვნენ, თუმცა, გენერალურმა პროკურატურამ სიურპრიზი გამიკეთა. მივიჩნევ, რომ საქართველოში ეჭვმიტანილებს საკმაოდ გავლენიანი მფარველები ჰყავთ, ვინაიდან, ჩემი ინფორმაციით, კალანდაძე და ნიკოლაიშვილი შევარდნაძის პერიოდში საზღვრის დაცვის მაშინდელი თავმჯდომარის ვალერი ჩხეიძის შვილის ვატო ჩხეიძის უახლოესი მეგობრები არიან და ინფორმაცია მაქვს, რომ ეჭვმიტანილებმა საზღვარი სწორედ ჩხეიძეების დახმარებით გადაკვეთეს", - განაცხადა ირმა შევარდნაძემ.

მისივე თქმით, მან გენერალურ პროკურატურას მასალების მიწოდების თაობაზე რამდენჯერმე თხოვნით მიმართა, თუმცა გენერალური პროკურატურის არგუმენტებით პასუხისმგებელი პირები ხან მივლინებაში იმყოფებოდნენ, ხან ამისთვის დრო არ გააჩნდათ.

ინტერპრესნიუსი

მოკლედ

რეფორმის სტრატეგია

გუშინ სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის გეგმის პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებთან ერთად სახალხო დამცველისა და არასამთავრობო სექტორის წევრებიც ესწრებოდნენ. მმართველ ჯგუფს საქართველოს იუსტიციის მინისტრი ხელმძღვანელობდა. როგორც ჟურნალისტებთან საუბარში გია ქავთარაძემ განაცხადა, აღნიშნული გეგმა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ მისი მიხედვით განხორციელდება რეფორმები სასამართლოში, პროკურატურაში, საკანონმდებლო ორგანოში. გია ქავთარაძის თქმით, გეგმა სამართლებრივი რეფორმის საკოორდინაციო კომისიას გადაეცემა, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ხელმძღვანელობს.

როგორც ჟურნალისტებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კოტე კუბლაშვილმა განუცხადა, რეფორმის განხორციელება სწრაფი მართლმსაჯულების დამკვიდრებას შეუწყობს ხელს. ახალ საპროცესო კოდექსში შემცირებულია ვადები, რაც რადიკალურ ცვლილებებს ითვალისწინებს. თავის მხრივ, რეფორმის დროს მოხდება გაუსამართლებელ პატიმართა რიცხვის შემცირება. მისი თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება, რომელიც, სავარაუდოდ, 2008 წლისთვის ამოქმედდება.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, სამართლებრივი რეფორმა დადებით შედეგს ვერ მოიტანს, თუ სახელმწიფო პოლიტიკა სამართლიანობისკენ არ იქნება მიმართული. მათი თქმით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაზე დახვეწილი კანონმდებლობაც კი მხოლოდ გარეგნული ეფექტის შემცველი იქნება. **ინტერპრესნიუსი**

ვალერი გელაშვილის საქმე - საკონსტიტუციო სასამართლოში

საკონსტიტუციო სასამართლოში ვალერი გელაშვილის საქმის არსებითი განხილვა დაიწყო. მოსარჩელეების - ოპოზიციური პარტიების ინფორმაციით, უნდა გაუქმდეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე 31 მარტს მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც ხაშურის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს ვალერი გელაშვილს სადეპუტატო უფლებამოსილება მოუხსნეს. როგორც "საქართველოს რესპუბლიკური პარტიის" თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა განაცხადა, მოსარჩელეები ძირითად აქცენტს სამართლებრივ საკითხებზე გაამახვილებენ, რის საფუძველზეც, დეპუტატისთვის უფლებამოსილების აღდგენას შეეცდებიან. ყოფილი პარლამენტარის ინტერესებს სასამართლოში ზურაბ მარაქველიძე და კახა კუკავა წარმოადგენენ.

შეგახსენებთ, რომ 31 მარტს საქართველოს პარლამენტმა კენჭისყრით, 124 ხმით ნულის წინააღმდეგ, ხაშურის მაჟორიტარ დეპუტატს ვალერი გელაშვილს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყვიტა. საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული გადაწყვეტილება საპროცედურო საკითხთა კომიტეტის მიერ ვალერი გელაშვილის ბიზნეს-საქმიანობის შესწავლის შემდეგ მისი დასკვნის საფუძველზე მიიღო. როგორც საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომის დასკვნაში იყო აღნიშნული, ვალერი გელაშვილი სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდა, რაც "პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ" კანონთან შეუთავსებელი საქმიანობაა. საპარლამენტო ოპოზიციამ, ამის გამო, პროტესტის ნიშნად, დატოვა პარლამენტის პლენარული სხდომა. **ინტერპრესნიუსი**

კიდევ ერთი გარდაცვლილი პატიმარი

პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში 26 წლის პატიმარი ვალოდია მარტინოვი გარდაიცვალა. ოფიციალური ინფორმაციით, დაკავებული ტუბერკულოზით იყო დაავადებული, რაც გარდაცვლების მიზეზი გახდა. გარდაცვლილი პატიმრის ოჯახის წევრების ინფორმაციით კი, პატიმარი მოკლეს. როგორც ჟურნალისტებთან საუბარში გარდაცვლილის დედამ ანასტასია მარტინოვამ განაცხადა, გუშინწინ მის შვილთან მისული იყო რძალი მარია მარტინოვა, რომელსაც სურდა მეუღლისთვის საკვების გადაცემა. თუმცა, როგორც მარტინოვა აცხადებს, მის რძალს სამართალდამცველებმა თითქოს ნარკოტიკები აღმოუჩინეს, რის გამოც, იგი დააკავეს.

გარდაცვლილი პატიმრის ოჯახის წევრთა ინფორმაციით, სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებმა მათ შვილთან წამლები არ შეატანინეს. როგორც ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში განუცხადეს, სამკურნალო საშუალებები მათაც აქვთ. პატიმრის დედის ინფორმაციით, მარტინოვს, მართალია, ჰქონდა ტუბერკულოზი, თუმცა არა სასიკვდილო ფორმით. აქედან გამომდინარე, ანასტასია მარტინოვა ირწმუნება, რომ მისი შვილი მოკლეს. როგორც იგი განმარტავს, მათ სხვადასხვა შეღავათის მინიჭებისთვის გარკვეული თანხა ჰქონდათ გადახდილი ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს თანამშრომლებისთვის, თუმცა "ვინადან შეღავათს ვეღარ ანიჭებდნენ ავადმყოფს, ამის გამო თავიდან მოიცილეს". ვალოდია მარტინოვი ერთი წლის წინ ნარკოდანაშაულზე და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვის ფაქტზე დააკავეს. სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ჯერჯერობით ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს. **24 საათი**

ეგვიპტეში ქართველი ტურისტი დააკავეს

ეგვიპტეში ერთი ქართველი და ერთი რუსი ტურისტი დააკავეს. მათ სასტუმროში ცნობილი ლიბიელი მომღერლის ნენსი აჯრამის ოთახი გაქურდეს. ახალგაზრდა ტურისტებმა მომღერლის ოთახში შეღწევა აივნიდან შეძლეს. მათ დიდი რაოდენობით სამკაული, ძვირფასი საათი, 5 ათასი დოლარი და საკრედიტო ბარათი წაიღეს. ქურდებმა საკრედიტო ბარათით ქალაქის სამ მაღაზიაში ისარგებლეს და ოქროს ნაკეთობები შეიძინეს. ეჭვმიტანილები შარმ ეშ-შეიხში მას შემდეგ დააკავეს, რაც აეროპორტში მათ ბარგში მომღერლის ძვირფასეულობა აღმოაჩინეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. **ინტერპრესნიუსი**

თანხების მითვისების ფაქტები

ფინანსური პოლიციის სამეგრელოს სამმართველომ ფონდ "ჰორიზონტის" მიერ გამოყოფილი თანხების მითვისების ფაქტზე გამოძიება დაიწყო. როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, ხობის რაიონის სოფელ თორსის სოციალ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის ფონდმა "ჰორიზონტმა" თანხები გამოყო. თუმცა, სამუშაოები მინიმალურად შესრულდა, თანხის ნაწილი კი ადგილობრივმა მმართველობამ მიითვისა. ფინანსური პოლიციის იმერეთის სამმართველომ წყალტუბოს რაიონის სოფელ გუმბარის საკრებულოს ხელმძღვანელ პირთა მიმართ "მითვისების" მუხლით დაიწყო წინასწარი გამოძიება. საქმე ეხება სახელმწიფოს მიერ სოფელში სამშენებლო სამუშაოების დაფინანსებას. როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, გამოძიების ინფორმაციით, სოფლის საკრებულოს ხელმძღვანელებმა სამშენებლო სამუშაოებისთვის განკუთვნილი თანხიდან ნაწილი მიისაკუთრეს. მითვისებული თანხის დასადგენად ამჯერად დეტალური შემოწმება მიმდინარეობს. ფინანსური პოლიცია ამოწმებს ფირმა შპს "ესკოვესტის" საქმიანობასაც. სახელმწიფო ტენდერში გამარჯვების შედეგად სამშენებლო ფირმა შპს "ესკოვესტს" ქედის რაიონის სოფლებში მინი-ფეხბურთის სტადიონები უნდა აეშენებინა. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ რეალურად შესრულებული სამუშაოები 12 ათასი ლარით ნაკლებია, ვიდრე შპს "ესკოვესტემ" თავის ანგარიშებში სახელმწიფოს უჩვენა. **24 საათი**

აგორა

აგორა ძველბერძნულად მოედანს ნიშნავს. მოგვიანებით მან სახალხო კრების მნიშვნელობა შეიძინა. ბერძნული მოედნები და მათი არქიტექტურა ცალკე მსჯელობის საგანია, მაგრამ აგორა, განსაკუთრებით ათენში, სხვა მიზეზით გახდა ცნობილი. იქ ხალხი იკრიბებოდა და მისთვის საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობდა. რაც მთავარია, ერთმანეთს ყურს უგდებდნენ და ჭკვიანი თანამოქალაქეების აზრებს ხელისუფალნიც ითვალისწინებდნენ. გონიერი ხალხი დღესაც ბევრი გვყავს, საკითხავია, ვინ როგორ ეკიდება მათ სიტყვებს. ჩვენი აგორა - გაზეთის ერთი მონაკვეთია. ვერ შეგპირდებით, რომ აქ ამოკითხულ მოსაზრებებს უკლებლივ ყველა გაიზიარებს, მაგრამ გპირდებით, სწორედ იმ ავტორებთან ვითანამშრომლებთ, ვისი აზრიც გასათვალისწინებელია. მაშ ასე, აგორაზე გეპატიჟებით.

დაგვიკავშირდით:
ელ-ფოსტით sophiotodua@yahoo.com

ნაომ ჩომსკი - მეცნიერი, ჰუმანისტი, მეცნიერი

პროფესორი ნაომ ჩომსკი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და სკანდალური ლინგვისტი და პოლიტოლოგია. მისი მოსაზრებები საზოგადოების განვითარებაში სახელმწიფოს მთავარ მექანიზმად მედიის გამოყენების შესახებ ბევრ ავტორიტეტულ წრეში მძაფრ პოლემიკას იწვევს. ჩომსკისთვის დემოკრატია ჩვეულებრივი, ფასადზე გამოტანილი მორიგი ფასეულობა კი არ არის, არამედ გადარჩენის წინაპირობაა. ვფიქრობ, ეს და სხვა საკითხები დღეს ქართული საზოგადოებისათვის ისევე აქტუალურია, როგორც იმ დასავლური სამყაროსათვის, რომლისკენაც ჩვენი სახელმწიფო მიისწრაფვის.

კონსტანტინე
ზ. გამსახურდია

ნაომ ჩომსკი (რუსული ტრანსკრიფციით ცნობილი, როგორც ხომსკი) თანამედროვე საგარეო ამერიკული პოლიტიკის და მასმედიების ყველაზე საფუძვლიანი და გავლენიანი კრიტიკოსია. თავისი პოლიტიკურ-მსოფლმხედველობრივი მრწამსით იგი მემარცხენე ინტელექტუალთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც განსაკუთრებით ვიეტნამის ომის შემდგომ გააქტიურდნენ. უკანასკნელ ხანებში ამავე წრიდან მოხდა გლობალიზაციის საწინააღმდეგოდ მიმართული მოძრაობების ინსპირირება და მათთვის გარკვეული იდეური საფუძვლების ჩამოყალიბება. ნაომ ჩომსკის სახელი კარგადაა ცნობილი არა მარტო აშშ-ში, არამედ ევროპის კონტინენტზეც. ინტერნეტის ერთ-ერთ საიტზე იგი ყველაზე ხშირად ციტირებად ავტორთა რიცხვს განეკუთვნება. იგი ცნობილია არა მხოლოდ როგორც მეცნიერი და ლინგვისტი, არამედ - როგორც პოლიტიკური ხასიათის ნაშრომების ავტორი. ამერიკის ოფიციალური რეზონის გამომხატველი მასმედია და კრიტიკა მას ან ტაბუს ადებს, ან თავს ლაფს ასხამს და სერიოზულ მოწინააღმდეგედ საერთოდ არ განიხილავს. 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ჩომსკიმ გამოსცა მთელი რიგი წიგნები, მაგალითად: "ინტელექტუალური თავდაცვის გზები, მედია, დემოკრატია და ფაბრიკაციის მეთოდები", "ნეოლიბერალიზმი და გლობალური მსოფლიო წესრიგი", "ახალი სამხედრო ჰუმანიზმი კოსოვოს ომის მაგალითზე", "პალესტინა-ისრაელის კონფლიქტი, როგორც ღია ჭრილობა", "შეტევა 11.09. 2001" და სხვა. იგი ბევრს მოგზაურობს და კითხულობს ლექციებს სხვადასხვა უნივერსიტეტში და აქტივისტთა ჯგუფებში.

ნაომ ავრამ ჩომსკი დაიბადა 1928 წელს ფილადელფიაში, აღმოსავლეთ ევროპიდან ემიგრირებული ებრაელების ოჯახში. მსგავს წრეებში - ვგულისხმობ აღმოსავლეთ ევროპიდან გამოსულ ებრაელობას, - რამდენადაც ისინი მემარცხენე სულისკვეთებით გამოირჩეოდნენ, ყოველთვის მიმდინარეობდა გამძაფრებული პოლემიკა როგორც სტალინსა და საბჭოთა კავშირზე, ისე - სიონიზმზე და მის შედეგებზე მახლობელ აღმოსავლეთში. სწორედ ამ საკითხებთან შეხებაში ჩამოყალიბდა ჩომსკი მოქალაქედ და მოაზროვნედ. მის მემარცხენეობას გამოკვეთილად ამერიკული ხასიათი აქვს, რაც, ალბათ, იმითაც აიხსნება, რომ იგი დაკავშირებულია ფილოსოფოს და პედაგოგ ჯონ დევის (1859-1952) შემოქმედებასთან. ჩომსკი იმავდროულად იყო ინგლისელი ფილოსოფოსის ბერტრან რასელის მემკვიდრეობის კარგი მცოდნე, რომლის ანალიტიკურ-ნომინალისტურ ფილოსოფიას აკრიტიკებდა, მაგრამ აფასებდა რასელს, როგორც მსოფლიო მოქალაქეს.

მიუხედავად მემარცხენეობისა, ჩომსკი არასოდეს ყოფილა მარქსისტი და ზოგიერთი მწერლისა და ინტელექტუალის მსგავსად, იქნებოდა ეს ჰერბერტ უელსი, ლუი არაგონი, რომენ როლანი და სხვები, არ სწამდა საბჭოთა კავშირის სასწაულისა. მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობის დახასიათება შეიძლება, როგორც ლიბერტისტული ანარქიზმისა. საინტერესოა, რომ ჩომსკი მძაფრად აკრიტიკებს რა ისრაელის პოლიტიკას და სიონისტურ კურსს, იმავდროულად, ძალზე დადებითად განიხილავს კიბუცების მოძრაობას ისრაელში. ამ მართლაცდა უჩვეულო სათემო მოძრაობას, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ 1900-იანი წლების პირველი ებრაელი მოახალშენეებიდან იღებს, იგი ანარქისტულ-ლიბერტისტული სოციალური ფორმების ერთგვარ განხორციელებად მიიჩნევს, მაგრამ არის რაღაც, რაც ჩომსკის ტიპური დასავლელი და აღმოსავლელი მემარცხენეებისაგან განასხვავებს. მას არასოდეს გაუზიარებია თუნდაც ევროპელი მარქსისტების რწმენა სახელმწიფოს მიმართ, არამედ ყოველთვის სამოქალაქო თავისუფლებას ქადაგებდა. მარქსისტებისაგან განსხვავებით, რომელთათვისაც ყოფიერება ანუ საწარმოო ურთიერთობები განსაზღვრავენ ცნობიერებას, ჩომსკი ცნობიერებაში მოსახდენ ცვლილებას სოციალურ და პოლიტიკურ სფეროებში ნამდვილი ცვლილებების წინაპირობად თვლის: "ნამდვილად რადიკალური კულტურა შესაძლოა, მიღწეულ იქნეს მხოლოდ ადამიანების დიდი რაოდენობის სულიერი ტრანსფორმირების შედეგად. ეს არის ყველა სოციალური რევოლუციის არსებითი ნიშანი, რომელსაც მიზნად დაუსახავს ადამიანური შემოქმედებითობის და თავისუფლების შესაძლებლობათა განვრცობა".

ჩომსკისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი დღევანდელ ეკონომიკურ ურთიერთობებში შრომის სამართლებრივი მხარეა. მას არაადამიანობად მიაჩნია ის აუცილებლობა, რომ ადამიანი იძულებულია, დღეს თავისი სამუშაო ძალა ვიღაცას მიჰყიდოს. "ადამიანები იძულებულნი არიან, გააქირაონ საკუთარი თავი, რომ გადარჩნენ," - წერს იგი. ეს საკითხი მე-19 და მე-20 საუკუნეების არაერთ გამოჩენილ მოაზროვნეს დაუყენებია. საქართველოში ასეთი იყო ილია ჭავჭავაძე, რომელიც სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ამ თანამდევ ფაქტორს აღნიშნავდა ტერმინით "შრომის დახსნა". გავიხსენოთ მისი სიმფონიური პოემა "აჩრდილი": "შრომისა დახსნა - ეს არის ტვირთი ძლევამოსილის ამ საუკუნის".

სახელმწიფოს როლის სრული იგნორირება და უკიდურესი დაკნინება, მეტადრე აშშ-ს შიდაპოლიტიკური კონტექსტებიდან გამომდინარე, ჩომსკის არასოდეს მიაჩნდა მისაღებად, რადგან ამ შემთხვევაში ადამიანების დიდი მასა შესაძლოა, იოლად გახდეს კერძო ინტერესების, ტრანსნაციონალური კონცერნების თუ ფინანსურ-ეკონომიკური დაჯგუფებების თვითნებობის მსხვერპლი. ამის გამო სახელმწიფო, როგორი ცუდი და უმსგავსიც არ უნდა იყოს, სოციალურად სუსტი და უმწეო ადამიანებისათვის ერთგვარ დაცვას წარმოადგენს. ამის გათვალსაჩინოებისათვის მას მოჰყავს შემდეგი მაგალითი: "წარმოიდგინეთ, რომ ზიხართ გალიაში, რომლის გარეთაც წინ და უკან დადის დამშეული ხმალკბილა ვეფხვი. გალია ერთხელაც აღებულ უნდა იქნეს, რაც სრულიად ბუნებრივია, მაგრამ იმის მტკიცება, რომ უპირველესი ზომა, რომელიც მიღებულ უნდა იქნეს, გალიის მოშორებაა, სრული სიგიჟე იქნებოდა".

რამდენადაც ჩომსკი თავდაპირველად ცნობილი გახდა, როგორც ენათმეცნიერი, მოკლედ შევეხებით მის კარიერას. მისი წვლილი ენათმეცნიერებაში - ეს არის გენერატიული გრამატიკის თეორიის განვითარება. აქ იგულისხმება გრამატიკული კანონები, რომლებიც კონკრეტულ ენობრივ ქმედებებში საყოველთაო სულიერ-გრამატიკული ფორმებიდან გამომდინარეობს. ამას მივყავართ უნივერსალური გრამატიკის აღიარებამდე, რაც სხვა არაფერია, თუ არა კაცობრიობის პირველადი სპირიტუალური ენა, რომელიც ცალკეულ ადამიანურ ენებსა და ენობრივ ოპერაციებში ვლინდება. ჩომსკი თვლის, რომ ეს პირველადი გრამატიკული ფორმები ადამიანს დაბადებიდან თანდაყოლილი აქვს, ამდენად, ბიოლოგიურ-გენეტიკურად წინასწარაა განსაზღვრული. იგი წერს: "მე იქიდან გამოვდივარ, რომ ეს პრინციპები ჩვენი გენეტიკური წყობის ნაწილია და მსგავსი იმ პრინციპებისა, რომელთა გავლენითაც ხელ-ფეხი გვეზრდება და არა ფრთები, ადამიანური თვალები გვაქვს და არა - მწერის თვალები". ამრიგად, უნივერსალგრამატიკული უნარები ადამიანს დაბადებიდან პირველივე წლებში უვითარდება და მოქმედია სრული გაგებით. დედაენა - ესაა სპეციფიკური სახეობა, რომელშიც ზემოხსენებული პირველადი საკაცობრიო ენა თავის ტრანსფორმაციას განიცდის.

მიუხედავად ბიოლოგიზმისა, ჩომსკი მიიჩნევს, რომ ადამიანი თავისუფალი არსებაა და ეს თავისუფლება ასევე თანდაყოლილია. აქედან გამომდინარეობს ურყევი რწმენა, რომ შეუძლებელია თავისუფლების სრულიად ამოძირკვა. მაშინაც კი, თუ მისი ადგილი აღარსად დარჩება, იგი მაინც მონახავს გზას, რომ ახლიდან აღმოცენდეს. ამგვარი პოზიციისათვის მეტად სიმპტომატურია, რომ მისი მოწინააღმდეგეები, საუნივერსიტეტო წრეებში ბიჰევიორისტები იყვნენ, ანუ მიმდევრები იმ თეორიისა, რომლის თანახმადაც ადამიანი განვრთნადი ცხოველია.

ჩომსკიმ თავისი ლინგვისტური თეორიით და შრომებით ენათმეცნიერებაში ერთგვარი რევოლუცია გამოიწვია. იგი დღემდე კითხულობს ლექციებს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში. სწორედ ასეთმა კარიერამ გახადა შესაძლებელი პოლიტიკის სფეროში მისი გადანაცვლება. რამდენადაც ძალაუფლების ტექნოლოგების მიერ შექმნილი სიცრუის ფასადების დარღვევა მისთვის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს, იგი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად დემოკრატიული საზოგადოების ინდოქტრინაციას განიხილავს. ფაქტობრივად, აქ იგულისხმება ტვინის მასიურად გამორეცხვა და მისი ჩამოყალიბება სახელმწიფო რეზონისათვის სასურველი მიმართულებით. ლაპარაკია ისეთ საზოგადოებაზე, სადაც ტოტალიტარული სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, არანაირი გაბატონებული იდეოლოგია არ არსებობს. ჩომსკი წერს: "ტრილატერალური კომისიის ერთ-ერთ გამოკვლევაში დემოკრატიის კრიზისის შესახებ ვკითხულობთ, რომ სკოლები და უნივერსიტეტები იმ ინსტიტუციებს განეკუთვნებიან, რომელთაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ ახალგაზრდობის ინდოქტრინაციაზე. ისინი, ვისაც ამ ინდოქტრინაციის გავლენა მაღალი ხარისხით შეეხო, მთელი სიცოცხლე რჩებიან მასმედიის, ჟურნალების, გასართობი თუ სამეცნიერო ლექციების გავლენის ქვეშ. მათზე ზემოქმედებას განაგრძობს ის ილუზიები, რომელთაც წარმოშობს ეს ინდოქტრინაცია. ამას გარდა, განათლებული ფენები არა მხოლოდ ინდოქტრინაციის ამ სისტემის ძირითადი ობიექტია, არამედ - მომუშავე სუბიექტიც; მათ პირადი ინტერესი აიძულებთ იმ პრინციპების გადაღებისკენ, რომელთა ქადაგებითაც ისინი მოერგებიან აღმზრდელების, ჟურნალისტებისა და "პასუხისმგებლობით აღსავსე ინტელექტუალების" როლს. ისინი ამგვარად პოულობენ თავის გზას პრივილეგიებისკენ, გავლენისა და სახელისკენ. უფრო მეტიც - ექსპლუატატორული სისტემით მოსარგებლეთა საპირისპიროდ, თავიანთი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, მსხვერპლებმა როგორღაც მოახერხეს, განევითარებინათ სინამდვილის ინტუიტიური წვდომა. ამიტომაც ჩვენში დანერგილი დისკურსის ბანალურობა, ზერელეობა და სიცარიელე არანაირად არ არის გასაკვირი".

ჩომსკი ერთმანეთისაგან 2 კლასს გამოყოფს. პირველია ის, რასაც პოლიტიკურ კლასს უწოდებენ. ეს შესაძლოა, იყოს მოსახლეობის 20%, რომელიც სხვებთან შედარებით განათლებულია. მის წარმომადგენლებს შეუძლიათ მკაფიოდ გამოხატონ საკუთარი მოსაზრება და საზოგადოებაში გარკვეული როლიც ითამაშონ, რამდენადაც ისინი არიან მწერლები, მასწავლებლები და ა.შ. მათგან მოელიან, რომ ისინი პოლიტიკურ-ეკონომიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაზე ზეგავლენას მოახდენენ. მათი კონსენსუსი გადამწყვეტია. ესაა ჯგუფი, რომელმაც სახელმწიფოს ინდოქტრინაცია უნდა მოახდინოს, ხოლო 80-90% მოსახლეობის ამოცანა ბრძანებების შესრულებაა. მან არაფერზე არ უნდა იზრუნოს და არაფერზე არ უნდა იფიქროს. ამიტომ ყველაზე მეტად მათ უნდევთ საფასურის გადახდა.

ჩომსკის დაკვირვებით, მილიტარისტულ ან ფეოდალურ ქვეყანაში, ასევე - ტოტალიტარულ სახელმწიფოში, მნიშვნელობა არა აქვს, თუ რას ფიქრობენ ადამიანები, რადგან მათი მოქმედება ხელკეტის საშუალებით კონტროლდება მოქცეული. იქ, სადაც მსგავსი მეთოდები სახელმწიფოს არ გააჩნია, შემოდის ის, რასაც შედარებით პატიოსან ხანებში "პროპაგანდას" უწოდებდნენ. ეს კონსენსუსის შეკონწიება და საჭირო ილუზიების შეთხზვაა. ჩომსკის თქმით, შედეგი ერთი და იგივეა - ან საზოგადოების მარგინალიზაცია, ანდა მისი გადაყვანა აპათიაში. ჩემდათავად, მიჩნდება კითხვა - იგივე ხომ არ სურს დღეს ჩვენს ხელისუფლებას და მის პრეზიდენტს? ვფიქრობ, ისინი ჯერჯერობით ამას წარმატებით ართმევენ თავს.

ამერიკის პოლიტიკურ დისკუსიაზე დაკვირვებისას არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ისინი, ვინც დემოკრატიულ და ე.წ. თავისუფალ სამყაროში ძალაუფლების ტექნოლოგიების დახვეწაზე მუშაობენ, პროფესიონალ ჩომსკის საჯარო გამოსვლებს, ლექციებს თუ წიგნებს რეაგირების გარეშე ტოვებენ. წლების მანძილზე მისთვის საკმაოდ ბევრი ჭუჭყი უსვრიათ, თავად ჩომსკის კი არასოდეს გაუცია პასუხი იგივე მეთოდებით. აი, რას წერს ის მსგავს კამპანიებზე: "არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, თუკი ვინმე შემომიტევს. რაც ნამდვილად მაწუხებს, ესაა სიცრუეები! ინტელექტუალებს შეუძლიათ, ბრწყინვალედ მოიტყუონ. ისინი ამ სფეროში პროფესიონალები არიან. ცილისწამება ფანტასტიკური ტყუილია, რადგან ამაზე რეაგირება თითქმის შეუძლებელია. აბა, რა უნდა ვთქვა, როდესაც ვინმე ანტისემიტს მიწოდებს? - რომ ანტისემიტი არა ვარ? ანდა, როცა მლანძღავენ რასისტს და ნაცისტს მიწოდებენ! ამით ხომ ისინი ყოველთვის უმოკლეს გზას ირჩევენ? თქვენ მსგავს შეტევებზე ვერაფერს უპასუხებთ, ამიტომაც ყოველთვის იგებს ის, ვინც ტალახი ისროლა".

სიტყვის და საკუთარი აზრის გამოხატვის თავისუფლება ჩომსკისთვის წმიდათაწმიდა რამაა. მიუხედავად იმისა, რომ ევროპულ და ჩრდილო-ამერიკულ ცივილიზაციაში ეს უფლება თითქოს კანონმდებლობით გარანტირებულია და პრაქტიკაშიც დანერგილია, პრობლემები მაინც ჩნდება თავს. ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც მანდატური ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების მოქმა დგანან, საკმაოდ ფხიზლად უყურებენ, რომ ესა თუ ის თავისუფლად გამოთქმული აზრი მათ კეთილდღეობას არ დაემუქროს. ჯორჯ ორუელის ფანტასმაგორიულ ტოტალიტარულ სახელმწიფოში, რომელსაც იდუმალებით მოსილი "უფროსი ძმა" მართავს, 3 პრინციპი ბატონობს: მშვიდობა - ეს ომია, თავისუფლება - ეს მონობაა, უმეცრება - ეს ძალაა. აქვე არის 4 სამინისტრო: მშვიდობის სამინისტრო, ანუ სამხედრო უწყება, სიმართლის სამინისტრო, ანუ სახელმწიფო პრესა, სიუხვის სამინისტრო, ანუ ეკონომიკური უწყება და სიყვარულის სამინისტრო, ანუ სახელმწიფო უშიშროების უწყება. ამიტომაც, - წერს ჩომსკი, - თვით შედარებით თავისუფალ საზოგადოებაშიც კი არსებობს უამრავი სტრატეგია იმ მიზნების მისაღწევად, რომლებიც ორუელმა აღწერა. ისევ საქართველოზე რომ გადმოვინაცვლოთ, თვალსაჩინო გახდება ერთი სამწუხარო რეალობა - ისე, რომ ქვეყანამ ვერც მოასწრო ნამდვილი დემოკრატიული ფაზის გავლა, უკვე შეიმჩნევა დემოკრატიული ფასადით ისეთი ტოტალიტარიზმის აღორძინების მცდელობები, როგორიც თვით საბჭოთა კავშირშიც კი არ ყოფილა. ამას მოწმობს თავისუფლების სახელით მოქმედი ინსტიტუტის წარმომადგენლების ძალისხმევა, რომლებიც ძალზე მნიშვნელოვან სახელისუფლებო ბერკეტებს ფლობენ.

ჩომსკი აქ ტოტალიტარიზმისა და დიქტატურისაკენ მოძრაობას გულისხმობს, რაც სიტყვის თავისუფლებას გამორიცხავს. ამასთან დაკავშირებით ჩომსკიმ შემდეგი რამ განაცხადა: "როდესაც გჯერათ სიტყვის თავისუფლებისა, ესაა იმ შეხედულების თავისუფლება, რომელიც შესაძლოა, ვინმეს არ მოსწონდეს" გებელსიც უჭერდა მხარს სიტყვის თავისუფლებას, მხოლოდ იმ შეხედულებებთან მიმართებაში, რომელიც მას აწყობდა, ასევე - სტალინიც! როდესაც თქვენ გამოდიხართ სიტყვის თავისუფლების მხარდასაჭერად, მაშინ ეს იმ აზრის გამოხატვის დაშვებას ნიშნავს, რომელსაც თქვენ მიუღებლად და აუტანლად მიიჩნევთ. სხვა შემთხვევაში თქვენ სიტყვის თავისუფლების მომხრე სულაც არ იქნებოდით".

60-იანი წლებიდან მოყოლებული, ჩომსკი ხდება ამერიკული საგარეო პოლიტიკის მძაფრი კრიტიკოსი. მიუხედავად იმისა, რომ იგი სამეცნიერო მუშაობას აგრძელებდა და პუბლიკაციებსაც აქვეყნებდა, პოლიტიკური შინაარსის წიგნების რიცხვი მათ აშკარად სჭარბობს. თავდაპირველად იგი შეეხო ვიეტნამის ომის თემას, შემდეგ კი - აშშ-ს პოლიტიკას ლათინური ამერიკის ქვეყნებში და ახლო აღმოსავლეთში. უკანასკნელ წლებში მან დაწერა წიგნები ისრაელ-პალესტინის კონფლიქტზე და კოსოვოში დასავლეთის ინტერვენციაზე. მისი მიზანი ამერიკული საგარეო პოლიტიკის არაადამიანური ასპექტის წარმოჩენა და მისი კრიტიკაა. ჩომსკი წვრილად აღწერს ამგვარი პოლიტიკის მსხვერპლთ, რომლებიც ამა თუ იმ მასობრივი ხოცვა-ჟლეტის ან საომარი მოქმედების შედეგად დაიღუპნენ. მას არ ავიწყდება ის ადამიანებიც, რომლებიც ამ პოლიტიკის შედეგად გაღატაკდნენ და ყოველგვარი ადამიანური ღირსება დაჰკარგეს. თუკი ჩომსკის პოლიტიკური ნაშრომების ზოგადპოლიტიკური კონცეფციის წარმოჩენას შევეცდებით, შემდეგ სურათს მივიღებთ: ამერიკულ საგარეო პოლიტიკას, როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკული ღონისძიებების მხრივ შორსმიმავალი ეკონომიური ინტერესები, ან უფრო ზუსტად - დიდი ეკონომიკური კონგლომერატები განსაზღვრავს. ეკონომიკის, პოლიტიკის და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ძალზე შეწყობილი თანამშრომლობა აქ ისეთ რამეს წარმოშობს, რასაც ჩომსკი აღნიშნავს ტერმინით "სისტემა".

ამის შემდეგ ეს გადამწყვეტი ზეგავლენა მასმედიებში გადადის და გაბატონებული აკადემიური დაწესებულებებიდან გარკვეულ იდეოლოგიად ჩამოყალიბდება. ამ იდეოლოგიისათვის დამახასიათებელია ისეთი ტერმინებით ოპერირება, როგორიცაა "თავისუფლება", "დემოკრატია", "ადამიანის უფლებები", "განვითარება", "უსაფრთხოება", "სტაბილიზაცია", "ანტიტერორისტული ოპერაციები" და ა.შ. სწორედ აკადემიურ დაწესებულებებში მომუშავე სპეციალურად შერჩეული ჯგუფები და მათთან მოთანამშრომლე რედაქტორები ამ მცნებებს სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა ნიუანსირებას ანიჭებენ. ისინი როგორც შიდა, ისე საგარეო პოლიტიკის სფეროში სისტემის იარაღები და ინსტრუმენტები ხდებიან.

ამ თვალსაზრისით როგორ ფუნქციონირებენ მასმედიები? ჩომსკი ამის შესახებ წერს: "თუკი ვინმეს უნდა გაიგოს, თუ როგორ ფუნქციონირებს ჩვენი ან სხვა რომელიმე საზოგადოებრივი სისტემა, პირველ რიგში საჭიროა იმის მოძებნა, თუ ვის რომელ პოსტზე შეუძლია გადაწყვეტილების მიღება... ჩვენს საზოგადოებაში არსებითი გადაწყვეტილებები, თუ რა უნდა მოხდეს აქ, ინვესტიციები, პროდუქტები, დისტრიბუცია და ასე შემდეგ, ხელთ უპყრია დიდი კონცერნების ქსელს, მულტინაციონალურ ორგანიზაციებს და ფინანსურ დაჯგუფებებს. იგივენი ნიშნავენ მნიშვნელოვან სახელმწიფო თანამდებობის პირებს, მათ ეკუთვნით მასმედიები, შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილებები, ხელში უჭირავთ უზარმაზარი ძალაუფლება და განაპირობებენ იმას, თუ რა უნდა მოხდეს საზოგადოებაში. ისინი ფლობენ ეკონომიკურ ცხოვრებას, როგორც ფაქტობრივად, ისე საკანონმდებლო თვალსაზრისით. რამდენადაც ისინი ყველა რესურსს აკონტროლებენ და სურთ ყველგან თავიანთი ინტერესების გატარება, ჩვენი პოლიტიკური და იდეოლოგიური სისტემა მეტად მკაცრ შეზღუდვებს ექვემდებარება".

აშშ-ს ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან განპირობებულია ამ სისტემის მისწრაფებებით - თავი იგრძნოს უსაფრთხოდ და, ამავე დროს, ყოველთვის მზად იყოს ექსპანსიისათვის. ამ სისტემაში მიიღებენ სხვა ქვეყნების გამოყენებად კომპონენტებს, ხოლო თავად იმ ქვეყნებს ისეთ მდგომარეობაში ამყოფებენ, რომ მაქსიმალურად სასარგებლონი იყვნენ ამერიკული სისტემისათვის. ამრიგად, მათი გამოყენება და ექსპლუატაცია მაღალ დონეზე ხდება. ჩომსკი წერს: "აშშ-ს საგარეო პოლიტიკა ემსახურება მიზანს, შექმნას და შეინარჩუნოს ისეთი საერთაშორისო წესრიგი, რომელშიც ფრთებს გაშლიან აშშ-დან წამოსული ეკონომიკური აქტივობები. ეს შესაძლებელია "ღია საზოგადოებების" მსოფლიოში, რომლებიც ღია არიან ამერიკული კონცერნებისა და მათი შვილობილი კონცერნებისათვის. მიისწრაფიან რა ხელში ჩაიგდონ მთელი მატერიალურ-ადამიანური რესურსები, ისინი ღია არიან აშშ-ს მხრიდან ეკონომიკური ზეგავლენისა და პოლიტიკური კონტროლისათვის".

ჩომსკის აინტერესებს არა მარტო ანალიტიკური მხარე, არამედ მისთვის უმთავრესია იმ ძირითადი სიცრუის მხილება, რომლითაც სისტემა მუშაობს, აგრეთვე ის ინტელექტუალები, რომლებიც უნივერსიტეტის და მასმედიის სფეროებში არიან დასაქმებულნი, თანამშრომლობენ რა ხსენებულ სისტემასთან და მის არაადამიანურ სტრატეგიებს სხვადასხვა გამართლებას უძებნიან ან მოხერხებულად ნიღბავენ. მის წიგნებში არის უამრავი სქოლიო, სადაც მოტანილია მრავალი ციტატა. ამით ჩომსკი მიზნად ისახავს რაც შეიძლება ნათლად აჩვენოს მასმედიის მიერ წარმოჩენილი ვერსიის შეპირისპირება რეალურად მომხდართან.

საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში მიმდინარე პროცესებმა ჩომსკის წიგნებში ნაკლებად ჰპოვა ასახვა, მიუხედავად იმ ფაქტის კონსტატაციისა, რომ აშშ-ს კვალობაზე რუსეთიც ცდილობს, გაამართლოს ექსპანსიური პოლიტიკა თავისი ზეგავლენის არეალში. მსოფლიოს სხვა რეგიონებთან ერთად ჩომსკის წიგნებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კარიბიკის ზღვაირთ კუნძულს და ლათინურ ამერიკას. ამასთანავე, მას არასოდეს გამოუხატავს რაიმე სიმპათია ფიდელ კასტროს დიქტატორული რეჟიმისათვის.

ლათინური ამერიკა ის კონტინენტია, რომელშიც აშშ-ს საგარეო პოლიტიკამ ყველაზე თანმიმდევრულად და დამანგრეველად გაშალა ფრთები. მე-20 საუკუნეში აქ ძალიან ბევრი აშკარა და ფარული ინტერვენცია მოხდა, რომელთა მიზანიც აქაურ ქვეყნებში აშშ-ზე დამოკიდებული და მის მიერ მართული ელიტების ჩამოყალიბება იყო. ვაშინგტონში მუდმივად იყო ლაპარაკი საფრთხეებზე, რომლებიც თითქოს სამხრეთიდან ემუქრებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს, ამიტომაც აქ მხარს უჭერდნენ დიქტატორებს, რომლებიც კომუნისტურ საფრთხესთან ბრძოლის საბაბით საშინელ დანაშაულობებს სჩადიოდნენ ხოლმე. სწორედ ასეთებს შეეხებოდათ პრეზიდენტის ფრთიანი გამოთქმა 40-იან წლებში: "მე ვიცი, რომ ის ძაღლისშვილია, მაგრამ ის ჩვენი ძაღლისშვილია!"

ჩომსკის შეფასებით, აშშ-ს საგარეო პოლიტიკა - ესაა მდიდრების პრევენტიული ომი მსოფლიოს ღარიბების წინააღმდეგ. "ღარიბების" მიმძა იგულისხმება ყველა, ვინც შეიძლება ზემოხსენებული მდიდართა კეთილდღეობას დაემუქროს. 1966 წელს პრეზიდენტმა ჯონსონმა შემდეგი გამართლება მოუძებნა ამ შიშს, რომელიც საფუძველში უდევს ამერიკის პოლიტიკურ კურსს: "მსოფლიოში ცხოვრობს 3 მილიარდი ადამიანი და ჩვენ მხოლოდ 200 მილიონი ვართ. სხვების უპირატესობა 1/50-ზეა. თუ ისინი თავის ძალას სწორად წარმართავენ, ისინი ამერიკის შეერთებულ შტატებს წალეკავენ და წაგვართმევენ ყველაფერს, რაც გაგვაჩნია. ჩვენ ვფლობთ ყოველივე იმას, რაც მათ სურთ". ასეთია აგრესიული და ავადმყოფური პოლიტიკის იდეოლოგიური საფუძველი, რომელიც ყველანაირად ეწინააღმდეგება სხვა ქვეყნებში ნამდვილი და არა მოჩვენებითი დემოკრატიის ჩამოყალიბებას, თავისუფალ საზოგადოებრივ განვითარებას, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას და სოციალურ სამართლიანობას.

Hyundai ხარისხის ლიდერია

ავტორიტეტულმა ამერიკულმა ორგანიზაციამ J.D. Power and Associates-მა ახალი ავტომანქანების ხარისხის შესახებ ყოველწლიური გამოკვლევების შედეგები გამოაქვეყნა. აღმოჩნდა, რომ ამერიკაში ყველაზე ხარისხიან და საიმედო ავტომანქანებს კომპანია Porsche ყიდის, რომელმაც წელს მეორე ადგილზე გასულ Lexus-ისა და მესამე ადგილზე გასულ Hyundai-ს გასწრება შეძლო. ლიდერების ხუთეულს კი Toyota და Jaguar ასრულებენ.

ამერიკის ყველაზე საიმედო მანქანები Lexus LS 430 და Porsche Cayman S-ია. ამ ავტომანქანების მფლობელები ყველაზე ნაკლებად ჩიოდნენ შენაძენის გაუმართაობის თაობაზე. გარდა ამისა, კომპანია Lexus უკვე 11 წელია, რაც ამერიკის ყველაზე საიმედო ავტომანქანების გამომშვებად მიიჩნევა.

ყველაზე მეტად სპეციალისტები იმ ფაქტმა გააოცა, რომ კორეულმა Hyundai-მ მესამე ადგილი დაიკავა, არადა შარშან ამ კომპანიას მხოლოდ მე-11 ადგილი ერგო. ამჯერად კი ამერიკაში ყველაზე პოპულარული შვიდი ავტომობილიდან ხუთი სწორედ ამ კომპანიის მიერაა გამოშვებული. Hyundai Tucson კი გაუვალი გზების გადასალახად საუკეთესო საშუალებად დაასახელეს.

ასევე საინტერესოა სტატისტიკური მონაცემები პრობლემებისა და გაუმართაობის თაობაზე. ამ მხრივ Hyundai-მ 102 უარყოფითი ხმა მიიღო, ხოლო Toyota-მ - 106 უარყოფითი.

სიის ყველაზე დაბალ საფეხურებზე Land Rover, Isuzu, Volkswagen, Hummer და Suzuki განთავსდნენ. მათმა მფლობელებმა ყველაზე მეტჯერ მიმართეს დილერებს ავტომანქანების გაუმართაობის შესახებ.

WISSOL

შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“
აცხადებს ვაკანსიას
ინჟინერ-მექანიკოსის თანამდებობაზე

მოთხოვნები:

1. უმაღლესი საინჟინრო განათლება
2. მექანიკის, ელექტრობის, ჰიდრავლიკის საკითხების ცოდნა
3. სპეციალობით მუშაობის გამოცდილება
4. ასაკი 25-40 წელი

დამატებითი მოთხოვნები: მოწესრიგებულობა, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, სიახლეთა ათვისების უნარი

დაინტერესებულმა პირებმა უნდა გამოაგზავნონ რეზიუმე (CV), ან ავტობიოგრაფია შემდეგ მისამართზე:vacancy@wissol.ge

ან ფაქსით შემდეგ ნომერზე: 33 38 07

საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 30 ივნისი

ლეგენდარული თაობა, დაუვიწყარი სახეები

ქართული ქორეოგრაფიის რომანტიკული ფოტომატიანე

სოფო კილასონია

ორი დღის წინ "ქარვასლაში" ანსამბლ სუხიშვილების ლეგენდარული თაობის წარმომადგენლის, თენგიზ უთმელიძის "რომანტიკული ფოტომატიანე" გამოიფინა. გამოფენა მეტად ფართო მასშტაბისაა და ორ საგამოფენო დარბაზს იკავებს. რომანტიკა გამოფენის გახსნას მართლაც არ აკლდა: ანსამბლის წარმატებულ 60-იან წლებს გვახსენებდა ექსპოზიცია და ასევე იმ დღეს "ქარვასლაში" მისული დამთვალიერებელიც, რადგანაც მათი უმეტესობა ქართული ცეკვის ცოცხალი ისტორიაა.

ამ ისტორიას არაერთი მთავარი როლის შემსრულებელი ჰყავს. ნინო რამიშვილი, ილიკო სუხიშვილი და კიდევ მრავალი შემსრულებელი. ფოტოებში კარგად ჩანს, რომ "სუხიშვილებში" ყველა, როგორც ერთი, განსაკუთრებული, თავისებური ხიბლისა და ღირსებების ხელოვანი იყო. სწორედ ხელოვანი, რადგანაც მათ შექმნეს არა უბრალოდ დიდი ხელოვნება, არამედ სახეები, მხატვრული სახე-ტიპები, რომლებიც პრაქტიკულად შეუცვლელ მიღწევებად რჩება ქართულ ქორეოგრაფიაში.

ბატონმა თენგიზ უთმელიძემ საკუთარი ფოტოარქივის საზოგადოების წინაშე გამოტანა 2000 წლიდან დაიწყო. მაშინ ჩვენ სუხიშვილების მოღვაწეობის ფოტოქრონიკა მხოლოდ მცირე ვერსიით ვიხილეთ, "ქარვასლაში" დღეს 200 ნამუშევარია, რომელიც უბრალოდ მუშაობის პროცესიდან დაწყებული ყველაფერს ასახავს - გასტროლებს, შეხვედრებს მსოფლიო დონის ვარსკვლავებთან და ა.შ, მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც ფოტოპორტრეტებია, სადაც კარგად ჩანს მოცეკვავეთა ყველა ის ნაკვთი და მოძრაობათა ოსტატობა, რომლის დანახვა მათ თანამედროვე კოლეგებთან, პირადად ჩვენ, ძალიან გვიჭირს.

ლადო ლატარიძის ფოტო

ახლანდელი გამოფენა ფოტონამუშევრების ავტორმა 11 ივნისს, ქართული ქორეოგრაფიის დღეს მიუძღვნა, თუმცა ექვსი წლის წინ მისი პირველი გამოსვლა საგამოფენო სივრცეში დაბადების დღის აღსანიშნავი საჩუქარი იყო ქალბატონ ნინო რამიშვილისთვის, რომელსაც მაშინ 90 წელი შეუსრულდა.

თენგიზ უთმელიძე: "პირველი გამოფენა 2000 წელს იყო, ის მივუძღვენი ქალბატონი ნინო რამიშვილის 90 წლისთავს. მაშინ იგი ცოცხალი იყო. გამოფენა ქართული ლიტერატურის მუზეუმში იყო გამართული. იმ გამოფენამ მოიარა ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, ოზურგეთი, ახალციხე, ბორჯომი, თელავი. გამოდის, რომ ეს ექსპოზიცია მეთორმეტეა, მაგრამ ყველაზე მასშტაბური. აქამდე დაახლოებით 30-40 ნამუშევარს ვფენდით, აქ კი 200 ფოტოა. მე კიდევ იმდენი მასალა მაქვს, რომ ერთი ასეთი ექსპოზიცია კიდევ გამომივა".

აქ დაფიქსირებულია "ოქროს ხანა", - ასე უწოდებენ ანსამბლის 60-იან წლებს. ინტენსიურ მოღვაწეობას, მოგზაურობებს, ამაღლებულ ხელოვნებას.

- რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდით, თავის დროზე, ამ თითოეული მომენტის აღბეჭდვას?

- რომ გითხრა, თავის დროზე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი ამ ფოტოებს-თქო, მოგატყუებთ, მაგრამ წლების შემდეგ, როცა დაგროვდა და როცა გადავხედე, უნიკალური კადრები დავინახე და, რაც მთავარია, ეს არის ისტორია, ეს არ არის მოგონილი, ეს ჩვენი წარსული რეალობაა. თანაც ყველაზე ფართოდ და თვალსაჩინოდ აღწერილი, რადგანაც ფილმები არის, მაგრამ ბევრი არა.

- რამდენად კრიტიკული ხართ "სუხიშვილების" დღევანდელობისადმი?

- ცეკვა ყოველთვის იცვლებოდა, 30-იან წლებში სხვაგვარად ცეკვავდნენ, ჩვენ სხვანაირად დავიწყეთ, შემოქმედება ისეთი რამაა, რომ იგი მუდამ ცვლის ფორმებს, მაგრამ მთავარია, არ დაიკარგოს სული, ქართული ფესვი. მე არ მომწონს ქალთა ცეკვების გათანაბრება, მათი გააქტიურება. ქალებს ყოველთვის ჰქონდათ ჩქარი ცეკვები, მაგრამ ახლა ზომაზე მეტია, მე ეს მიუღებლად მიმაჩნია, თუმცა შესრულებით, შესაძლოა, კარგადაც ასრულებდნენ.

ბატონი თენგიზ უთმელიძე დღეს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის თავჯდომარეა, სწორედ ამ კავშირის ინიციატივით დაწესდა: 11 ივნისი - ქართული ქორეოგრაფიის დღე. გასულ წელს პრეზიდენტმა ინიციატივა მოიწონა.

"ქართულმა ქორეოგრაფიამ მოიპოვა ავტორიტეტი მთელ მსოფლიოში და ის იყო ღირსი, რომ დღეც ჰქონოდა. სწორედ ამ დღეს ვუძღვნი ჩვენს გამოფენას".

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის "იაკობ გოგებაშვილი - საჯარო სკოლების რეაბილიტაცია" ფარგლებში გეოგრაფიისა და ისტორიის კაბინეტის თვალსაჩინოების შეძენის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი - საქართველოს 270 საჯარო სკოლებისთვის გეოგრაფიის და ისტორიის კაბინეტების თვალსაჩინოებების შეძენა

დაფინანსების წყარო - პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა "იაკობ გოგებაშვილი - საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია".

ლოტი	რუკების დასახელება	რაოდენობა	მასშტაბები
ლოტი I	**საქართველოს და მსოფლიო ისტორიული რუკები:**		
1	საქართველო უძველეს დროში	270	1:600 000
2	საქართველო ძვ.წ. VI-III სს.	270	1:800 000
3	საქართველო ძვ.წ. II- ახ.წ. III სს.	270	1:800 000
4	საქართველო ახ.წ. IV-VI სს.	270	1:750 000
5	აღრექრისტიანული საქართველო	270	1:750 000
6	საქართველო VII-VIII სს.	270	1:750 000
7	საქართველო IX-X სს.	270	1:800 000
8	საქართველო XI-XII სს.	270	1:800 000
9	საქართველო XIII ს. დამდეგს	270	1:800 000
10	საქართველო მონღოლთა შემოსევების დროს	270	1:800 000
11	საქართველო XV ს. ბოლოს	270	1:750 000
12	საქართველო XVIII ს. ბოლოს	270	1:800 000
13	საქართველო და სამხრეთ კავკასია XIX ს. I ნახევარი	270	1:800 000
14	საქართველო და სამხრეთ კავკასია XIX ს. II ნახევარი	270	1:800 000
15	საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921წწ.)	270	1:750 000
16	ძველი ეგვიპტე და შუამდინარეთი	270	1:800 000
17	ძველი სპარსეთის (აქემენიანთა) სახელმწიფო	270	1:4 000 000
18	ელინისტური სახელმწიფოები	270	1:4 000 000
19	რომისა და პართიის დაპყრობითი ომები	270	1:4 000 000
20	არაბთა დაპყრობითი ომები	270	1:4 000 000
21	ოურქ-სელჩუკები და ჯვაროსანთა ლაშქრობები	270	1:4 000 000
ლოტი II	**გეოგრაფიული რუკები**		
1	მსოფლიოს ფიზიკური რუკა	270	1:2 000 000
2	მსოფლიოს პოლიტიკური რუკა	270	1:8 000 000
3	მსოფლიოს ნახევარსფეროების რუკა	270	1:22 000 000
4	მსოფლიოს ზოოგეოგრაფიული რუკა	270	1:20 000 000
5	მსოფლიოს სასარგებლო წიაღისეულის რუკა	270	1:20 000 000
6	მსოფლიოს მოსახლეობა სიმჭიდროვე	270	1:20 000 000
7	მსოფლიოს ბუნებრივი ზონები	270	1:20 000 000
8	მსოფლიოს მცენარეულობის რუკა	270	1:20 000 000
9	ევრაზია ფიზიკური რუკა	270	1:8 000 000
10	ევრაზია პოლიტიკური რუკა	270	1:8 000 000
11	კავკასია ფიზიკური რუკა	270	1:1 000 000
12	საქართველოს პოლიტიკური რუკა	270	1:600 000
13	საქართველოს ფიზიკური რუკა	270	1:600 000
14	საქართველოს მცენარეულობის რუკა	270	1:600 000
15	საქართველოს ბუნებრივი ზონების რუკა	270	1:600 000
16	საქართველოს არქიტექ. ძეგლები	270	1:1 000 000
17	საქართველოს წიაღისეული ხოვლები	270	1:600 000
18	გლობუსი 320 მმ ფიზიკური	270	320 მმ
19	რელიეფური საქართველო 1:1 მლნ.	270	1:1 000 000

- მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი დ. უზნაძის ქ. N52

- მიწოდების სასურველი ვადები: 2006 წლის 10 სექტემბრისთვის.

აუცილებელი პირობა:

- რუკები უნდა იყოს ზომით არანაკლებ 72X100 სმ;
- რუკები დამზადებული უნდა იყოს ფერად ქრომერზაცის ქაღალდზე.
- წარმოდგენილი უნდა იქნას შესასყიდი საქონლის (სასკოლო რუკების) ნიმუშები;
- სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. გარანტიის პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.
- სასკოლო რუკას უნდა ჰქონდეს მსხვილი ჩარჩო;
- ჩარჩოს გარეთ უნდა იკითხებოდეს მასშტაბი მსხვილი შრიფტით;
- რუკის სათაური უნდა იკითხებოდეს საკლასო ოთახის ბოლო მერხიდანაც;
- რუკის პირობითი ნიშნები უნდა იყოს გამართული არსებული კარტოგრაფიული ნორმატივების შესაბამისად;
- სასწავლო რუკაზე დასახლებული პუნქტების, მდინარეების, ზღვებისა და სხვა გეოგრაფიული ობიექტების შრიფტი უნდა იყოს მსხვილი, თანახმად მიღებული ნორმატივებისა;
- სასწავლო გეოგრაფიული და ისტორიული რუკების თემატიკა უნდა პასუხობდეს სასკოლო პროგრამას
- სასწავლო ისტორიული რუკა სასურველია გაფორმებული იყოს ეპოქისათვის დამახასიათებელი ატრიბუტებით.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **ქართულ** ენაზე სამ ეგზემპლარად (ერთი დედანი, ორი ასლი), **2006 წლის 3 ივლისს 15.00 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. .N52 ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.**

წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2006 წლის 3 ივლისს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დამთავრებისთანავე, ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52 II სართულზე ოთახი N214.

დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა **(ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);**

როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია **(ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);**

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (**ცნობა სასამართლოდან);**

გ) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელსა და გვარს;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ**;**

- იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი, ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
- დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებამდე უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები - ერთიანი ანგარიში

მომსახურე ბანკი - საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკის კოდი - 220101107

საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი - 302003000

ა/ა N 200122900

საგადასახადო დავალების დამატებით ინფორმაციაში უნდა იყოს მითითებული: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ორგანიზაციული კოდი 2211, ტენდერის დასახელება.

- ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.
- სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან შემდეგ მისამართზე:

დ. ბარაბაძე, ნ. ბოჭორიშვილი, მ. ფალიაშვილი, მ. ბუზალაძე, ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ.N52 ტ. 95-65-91, ოთახი N218 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ატარებს ტენდერს 250 ვტ უმაღლესი ხარისხის 950 ცალი გარე განათების სანათების (ნათურებით) შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 წლის 1 სექტემბერი.

3. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 3 ივლისიდან 4 ივლისიის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი; ინგოროყვას N7

4. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა უნდა წარმოდგენილ იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია და სანაცია (ცნობა უნდა წარმოდგენილ იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ფიზიკური პირისათვის:

- ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
- ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

- ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მოწოდების შესახებ დამკვეთის მიერ ბეჭდით დადასტურებული.
- შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

5. პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ სანათების ნიმუში.

6. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

7. 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის ა**N200122900**, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი: 30200 3000; დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 3 ივლისამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი; ინგოროყვას N7.

8. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს მაღალრეიტინგული ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% ოდენობით.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: შორენა მამუკაშვილი, საკონტაქტო ტელეფონი: 93 47 39; 8 99 732878; მისამართზე: ქ. თბილისი, ინგოროყვას N7;

სატენდერო კომისია

განცხადება ორეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქობულეთის რაიონის გამგეობა აცხადებს ორეტაპიან ტენდერს ქობულეთის რაიონის სოფელ ზენითის წყალსადენის სისტემის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

2. შესყიდვის აღწერილობა:

ა) წყალგამტარი მაგისტრალის სათავეში წყალმიმღები და გამწმენდ ნაგებობათა კომპლექსის მოწყობა თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად;

ბ) წყლის რეზერვუარის მოწყობა;

გ) მაგისტრალური წყალგამტარი სისტემისა და შიდაქსელური მაგისტრალების რეაბილიტაცია.

3. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა ხელშეკრულების დადებიდან 1 (ერთი) თვე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები ღირებულების გარეშე (დალუქულ კონვერტში) ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი, ერთი ასლი), როგორც ფიზიკურმა, ასევე იურიდიულმა პირმა ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 3 ივლისის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141 (რაიონის გამგეობის აპარატის იურიდიულ განყოფილებაში. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 3 ივლისს 17 საათზე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. იურიდიული პირებისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან საბიუჯეტო დავალიანების შესახებ;

ე) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

5.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან საბიუჯეტო დავალიანების შესახებ.

5.3. როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ინფორმაციას უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ;

ბ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელი და ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:

1) პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ტენდერში მონაწილეობის მსურველის სრული დასახელება, რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) მომსახურების ზოგადი აღწერილობა;

გ) მომსახურების გაწევის ვადა;

დ) საკვალიფიკაციო მონაცემებს.

8. ტენდერის პირველი ეტაპის შედეგებს, პირველადი წინადადებების წარმომდგენ ყველა პირს სატენდერო კომისია აცნობებს გადაწყვეტილების მიღებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული პირველადი სატენდერო წინადადებებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს და იქნება მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიის დადებითი დასკვნა პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და შემოთავაზებულ პირველად სატენდერო წინადადებებზე.

9. ტენდერში მონაწილეობის მსურველებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ 2006 წლის 7 ივლისიდან 2006 წლის 14 ივლისამდე 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის („სახალხო ბანკი“-ს ქობულეთის ფილიალი, ბ/კ 220101468, ანგ. № 33060005) გადახდის შემდეგ მისამართზე: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141. დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად დაუბრუნებს წარმომდგენ პირებს.

10. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

11. სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის მიზნით პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1 პროცენტის ოდენობით.

12. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სახელშეკრულებლო ღირებულების 5 პროცენტის ოდენობით.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი №141, ტელეფონებზე: ;88236) 6-72-09, 6-72-11.

განჩინება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ

4 აპრილი 2006 წ. ქ. ახალციხე

ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ნელი ღონღაძემ სხდომის მდივნის მარეხ ჩიტაშვილის, განმცხადებელ ახალციხის საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენელ გიორგი დევნოსაძის, შპს „მაია“-ს დირექტორის კონსტანტინე კოპაძის მონაწილეობით განვიხილე სამოქალაქო საქმე საგადასახადო ინსპექციის განცხადების გამო შპს „მაია“-ს გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ.

აღწერილობითი ნაწილი

ახალციხის რაიონულ სასამართლოს განცხადებით მომართა ახალციხის საგადასახადო ინსპექციამ შპს „მაია“-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ. მან თავისი მოთხოვნა დაასაბუთა შემდეგნაირად:

შპს „მაია“ რეგისტრირებულია ახალციხის საგადასახადო ინსპექციაში გადასახადის გადამხდელად და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 224069308.

შპს „მაია“-ს სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე 2006 წლის 13 თებერვლის მდგომარეობით ერიცხება დავალიანება 91556,92 ლარი, მათ შორის ძირითადი 4257,00 ლარი და საურავი 17299,92 ლარი.

საგადასახადო ინსპექციამ ახალციხის რაიონულ სასამართლოში 2005 წლის 13 დეკემბერს შემოიტანა სარჩელი განცხადება № 01-6958, მოვალის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მოთხოვნით საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლის შესაბამისად. 2005 წლის 23 დეკემბერს სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და გადაწყვიტა: დაკმაყოფილდა ახალციხის საგადასახადო ინსპექციის მოთხოვნა და ნება დაერთო მოეხდინა დაყადაღებული ქონება-ბლოკის ცეხის შენობის რეალიზაცია აუქციონის წესით. საგადასახადო ინსპექციამ მყიდველის არარსებობის გამო ვერ მოახდინა მოვალის ქონების რეალიზაცია.

შპს „მაია“-ს დღეის მდგომარეობით ბალანსზე არიცხია: ბლოკის ცეხის შენობა შეფასებული 2000 ლარად, რასაც ადასტურებს აუდიტორიული დასკვნა.

აცალციხის საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენელი გიორგი დევნოსაძე სთხოვს სასამართლოს, რომ შპს „მაია“-ს მიმართ გაიხსნას გაკოტრების საქმის წარმოება.

შპს „მაია“-ს წარმომადგენელი კონსტანტინე კოპაძე სასამართლოს განუმარტავს, რომ მას არ არიცხია არანაირი ქონება, იგი არ ამუშავებს წლების განმავლობაში ბლოკის ცეხს. მისი ღირებულება არ იქნება 2000 ლარიც კი. რა წარმატებით უნდა ამუშავდეს ბლოკის ცეხი, რომ მან გადაიხადოს სახელმწიფო ბიუჯეტის დავალიანება 21000 ლარამდე.

სთხოვს სასამართლოს, რომ გაკოტრების საქმის გახსნის შესახებ განცხადება განიხილოს კანონის შესაბამისად და იმსჯელოს.

სამოტივაციო ნაწილი

განვიხილე რა საგადასახადო ინსპექციის განცხადება, ვთვლი, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ახალციხის საგადასახადო ინსპექციის შედარების აქტის მიხედვით 2006 წლის 12 თებერვლის მდგომარეობით შპს „მაია“-ს ნარჩენი ძირითადი თანხა შეადგენს 4257,00 ლარს, ხოლო საურავი 17299,92 ლარს.

აუდიტორიულ დასკვნის საფუძველზე შპს „მაია“-ს ქონება შეადგენს ბლოკის ცეხს ღირებულებით 2000 ლარს.

საზოგადოება დადგენილ ვადაში ვერ ასრულებს ვალდებულებათა შესრულებას და არც რაიმე პერსპექტივა შესრულების შესახებ არ გააჩნია ანუ საზოგადოება გადახდისუუნაროა.

საქართველოს კანონის „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმადაც „მოვალის გადახდის უუნარობა სახეზეა, როდესაც მას არ შეუძლია შეასრულოს ვადამოსული გადახდის ვალდებულებები“.

ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით „ზედავალიანება სახეზეა, როდესაც მოვალის ქონება (აქტივი) ვეღარ ფარავს მის ვალდებულებებს (პასივს)...“ ანუ საზოგადოება ზედავალიანებაშია.

შპს „მაია“-ს ქონება ფარავს მე-19 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სარეზოლუციო ნაწილი

ვიხელმძღვანელე რა საქართველოს კანონით „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ მე-2, 5, 6 1, მე-7, მე-8 მუხლებით

დავადგინე

დაკმაყოფილდეს ახალციხის საგადასახადო ინსპექციის მოთხოვნა და გაიხსნას შპს „მაია“-ს გაკოტრების საქმის წარმოება.

შპს „მაია“ გამოცხადდეს ვალაუვალად და აეკრძალოს თავისი ქონების განკარგვა.

შპს „მაია“-ს ქონების სამართავად დაინიშნოს გაკოტრების მმართველი ლიანა ბერიძე, რომლის ხელფასი განისაზღვროს 200 ლარით.

დაევალოს ახალციხის საგადასახადო ინსპექციას და შპს „მაია“-ს პარტნიორებს, ერთი თვის ვადაში წარუდგინონ სასამართლოს თავიანთი მოთხოვნები, შესაბამის ვალუტაში თანხისა და ვალის ჩვენებით. ეცნობოთ მათ, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ განაწილება მოხდება მათი მოთხოვნის გაუთვალისწინებლად.

საქმის წარმოების გახსნის დღედ გამოცხადდეს 2006 წლის 1 მაისი.

კრედიტორთა კრება დაინიშნოს 2006 წლის 5 მაისს 10 საათზე ახალციხის რაიონულ სასამართლოს შენობაში.

განჩინება გასაჩივრდება კერძო საჩივრით მისი გამოქვეყნებიდან 12 დღის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში.

ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნელი ღონღაძე

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
ინფორმაცია ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის და სხვა მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო აცხადებს აუქციონს ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მისაღებად ერთი წლის ვადით. საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან ორი კვირა. აუქციონზე „ბიჯი“ შეადგენს საწყისი ფასის 10 %-ს.

აუქციონზე გამოტანილი იქნება:

ოდიშის, თიანეთის, ამბროლაურის, ბაღდათის, ხაშური-ქარელის, ახალციხის, ზემო სვანეთის, საჩხერის, მარტვილის სატყეო მეურნეობის ტყეკაფები მთავარი და მოვლითი სახის ჭრებით.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა შემდეგი დოკუმენტაცია:

1) განცხადება სასურველი ტყეკაფის მითითებით (სატყეო, კვარტალი, უბანი)

2) იურიდიული პირის ან ინდ. მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას თან უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების ასლები

3) სალიცენზიო მოსაკრებლის (8 ლარი) გადახდის ქვითარი

სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ანგარიშია:

მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის **N200122900**, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი **220101107**, სახაზინო კოდი **300033050.**

4) „ბე“-ს გადახდის ქვითარი

„ბე“-ს გადახდის ანგარიშია:

მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის **N200122900**, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი **220101107**, სახაზინო კოდი **302003000.**

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებები მიიღება ა/წ 13 ივნისიდან 27 ივნისის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 13 ივლისს 11 საათზე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტს.

5). გამარჯვებული ასევე ვალდებულია ლიცენზიის მიღებამდე გადაიხადოს ტყეკაფის გამოყოფის ხარჯები შემდეგნაირად: პირწმინდა და პლანტაციური წჭრები 0.66 ლარი ერთ კუბ.მ ლიკვიდურ მერქანზე.

სხვა სახის ჭრებზე 2.70? ლარი ერთ. კუბ. მ ლიკვიდურ მერქანზე.

მისამართი: ქ. თბილისი (ორთაჭალა), გია გულუას ქუჩა N6.
T 27-57-60.
www.moe.gov.ge

№	სატყეო მეურნეობა	სატყეო	კვარტალი	უბანი	ჭრის სახე	ფართობი	ჯიში	სანიხრე	ს უ ლ მთავარი სარგებლობა, კმ			საწყისი ფასი	„ბე"	„ბიჯი" 10 %	ახალი გზის მშენებლობა(კმ)	
									სამასალე	ხაშეშე (ვარჯის ჩათვლით)	სულ (ლიკვიდი)				სამანქანო	სატრაქტორო
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
1	ოდიშის	მაგანი	1	3	მთავარი	18.0	თხმ.	IV	368	295	663	2 113	422	211	1.0	0.5
2		მაგანი	22	1	მთავარი	14.0	ფითლ	IV	704	605	1309	16 883	3376	1688	0.7	0.3
3		მაგანი	36	33ა	მთავარი	16.0	ფითლ	IV	480	389	869	11 450	2290	1145	0.8	0.5
4		მაგანი	17	6	მთავარი	7.0	ფითლ	IV	200	190	390	4 843	968	484	0.7	0.6
5		მაგანი	33	6	მთავარი	14.0	ფითლ	IV	402	324	726	9 584	1916	958	1.0	0.5
6		მაგანი	10	8	მთავარი	15.0	წიწვ.	IV	212	123	335	2 057	411	206	-	0.7
7		ხუდონი	30	2	მთავარი	18.0	ფითლ	IV	1096	787	1883	25 879	5175	2588	-	-
8		ხუდონი	9	14-16	მთავარი	13.0	თხმ.	IV	161	49	210	785	157	78	-	-
9		ჯგარი	47	6	მთავარი	14.0	ფითლ	IV	589	387	976	13 814	2762	1381	0.8	0.5
10	თიანეთის	ხიონი	36	33	მოვლითი	3.8	ფითლ	IV	74	138	212	1 969	393	197		0.4
11		ხიონი	51	7	მოვლითი	10.0	ფითლ	IV	227	343	570	5 830	1166	583		1.5
12		ხიონი	51	5	მოვლითი	10.0	ფითლ	IV	227	412	639	6 010	1202	601		1.0
13		ღულელები	21	6,7,8	მოვლითი	5.7	ფითლ	III	227	453	680	7 892	1578	789		1.0
14		ღულელები	52	15	მოვლითი	6.5	ფითლ	IV	95	147	242	2 449	489	245		1.5
15		ღულელები	21	10	მოვლითი	3.5	ფითლ	III	102	186	288	3 485	697	348		1.2
16		ბაჭორმა	25	9	მთავარი	3.0	ფითლ	IV	123	226	349	3 263	652	326		
17	ამბროლაური	თლუღი	41	4	მთავარი	12.0	წიწვ.	III	357	197	554	4 860	972	486		
18	ბაღდათი	ზეკანი	3ა	16	მთავარი	10.0	ფითლ.	IV	170	118	288	4 003	800	400		0.6
19		საირმე	60	6	მოვლითი	4.0	წიწვ.	IV	77	49	126	754	150	75		0.3
20		ლაშურა	31	11	მთავარი	8.0	ფითლ.	IV	82	58	140	2 548	509	255		0.7
							წიწვ.		63	38	101					
					სულ:				145	96	241					
21		ზეკანი	22	7	მთავარი	17.0	ფითლ.	IV	310	210	520	7 287	1457	729		0.5
22		საირმე	29	2	მოვლითი	6.9	წიწვ.	IV	168	119	287	1 668	333	167		0.7
23		საირმე	20	10	მთავარი	9.5	წიწვ	IV	251	165	416	2 556	511	256		0.8
							ფითლ.		3	8	11					
					სულ:				254	173	427					
24		ქერშაგეთი	9	10	მთავარი	6.0	ფითლ	IV	352	196	548	8 452	1690	845		
							წიწვ		32	6	38					
					სულ:				384	202	586					
25		საირმე	63	3	მოვლითი	7.0	ფითლ	IV	3	5	8	1 838	367	184		0.8
							წიწვ		176	132	308					
					სულ:				179	137	316					
26	ხაშური-ქარელის	ვაკერძინეთი	34	6-12	მოვლითი	23.0	წიწვ.	III	710	518	1228	9 995	1999	999		2.5
27		ძაძა	15	33	მოვლითი	3.2	წიწვ.	II	145	135	280	2 739	547	274	1.0	
28		ძაძა	15	36	მოვლითი	3.6	წიწვ.	II	141	138	279	2 687	537	269		1.0
29		ალი	35	11,12,13,14	მოვლითი	43.0	წიწვ.	II	180	452	632	4 390	878	439		
30		ძაძა	20	6	მოვლითი	10.0	წიწვ.	II	174	153	327	10 271	2054	1027		1.0
							ფითლ		178	158	336					
					სულ:				352	311	663					
31	ახალციხის	ძეძლი	6	25	მოვლითი	2.0	წიწვ.	III	6	24	30	135	27	14		
32		ასპინძა	13	6	მოვლითი	22.0	წიწვ.	III	670	704	1374	9 993	1998	999		
33		ძეძლი	11	4,6	მოვლითი	4.0	წიწვ.	III	11	33	44	220	44	22		
34		ძეძლი	6	23	მოვლითი	5.0	წიწვ.	III	4	41	45	155	31	156		
35		ძეძლი	5	9-12	მოვლითი	4.0	წიწვ.	III	6	56	62	219	43	22		
36		ურაველი	24	2.4.10.12.15	მოვლითი	12.0	წიწვ.	II	35	175	210	1 157	231	116		
37		ძეძლი	13	1	მოვლითი	13.0	წიწვ.	III	23	125	148	606	121	61		
38		ახალციხე	7	10	მოვლითი	2.0	წიწვ.	I	9	32	41	316	63	32	1.0	
							ვერხვ.		0	1	1					
					სულ:				9	33	42					
39		ახალციხე	23	5	მოვლითი	7.0	წიწვ.	II	22	77	99	612	122	61		
40		ვალე	19	14	მოვლითი	14.0	წიწვ.	II	113	157	270	2 315	463	231		
41		ახალციხე	17	3	მოვლითი	7.0	წიწვ.	II	15	47	62	398	79	40	1.5	
42		აწყური	32	3	მოვლითი	19.0	წიწვ.	I	121	154	275	2 993	598	299	2.0	
							ვერხვ.		0	2	2					
					სულ:				121	156	277					
43	ახალციხის	ვალე	18	8	მოვლითი	13.0	წიწვ.	II	146	170	316	2 981	596	298		
							ვერხვ.		0	30	30					
					სულ:				146	200	346					
44		ვალე	21	26	მოვლითი	10.0	წიწვ.	II	190	249	439	4 024	804	402		
							ვერხვ.		0	53	53					
					სულ:				190	302	492					
45	ზემო სვანეთის	ჯორკვალი	47	3	მთავარი	20.0	წიწვ.	IV	692	427	1119	6 760	1352	676	1.5	
46		ჯორკვალი	46	3-4	მთავარი	17.0	წიწვ.	IV	612	377	989	5 977	1195	598	2.6	
47		ჯორკვალი	14	3-4	მთავარი	16.0	წიწვ.	IV	712	437	1149	6 951	1390	695	1.0	
48		ჯორკვალი	43	13	მთავარი	12.0	წიწვ.	IV	656	375	1031	6 357	1271.	636	1.3	
49		ჯორკვალი	80	2	მთავარი	13.0	წიწვ.	IV	696	454	1150	7 485	1497	748	1.5	0.5
							ფითლ.		26	30	56					
					სულ:				722	484	1206					
50		ხუბერი	10	8	მთავარი	20.0	წიწვ.	IV	387	272	659	7 509	1501	751	2.4	
							ფითლ.		154	124	278					
					სულ:				541	396	937					
51		ხუბერი	106	3	მთავარი	19.0	წიწვ.	IV	352	281	633	8 591	1718	859	1.3	0.9
							ფითლ.		206	216	422					
					სულ:				558	497	1055					
52		ჭუბერი	74	6	მთავარი	8.0	ფითლ.	IV	233	217	450	8 887	1777	889		0.6
							წიწვ.		335	197	532					
					სულ:				568	414	982					
53		ჭუბერი	64	7	მთავარი	32.0	წიწვ.	IV	445	309	754	11 249	2249	1125		
							ფითლ.		285	248	533					
					სულ:				730	557	1287					
54		ჭუბერი	97	9	მთავარი	7.0	წიწვ.	IV	535	246	781	5 763	1152	576		0.5
							ფითლ.		29	20	49					
					სულ:				564	266	830					
55		ჭუბერი	55	1-8	მთავარი	21.0	წიწვ.	IV	443	340	783	4 443	888	444	0.8	
56		ჭუბერი	99	6	მთავარი	31.0	წიწვ.	IV	472	456	928	4 897	979	490	1.0	
57	ზემო სვანეთის	ხაიში	93	5	მთავარი	9.0	წიწვ.	IV	379	201	580	5 624	1124	562		0.5
							ფითლ.		83	67	150					
					სულ:				462	268	730					
58		ხაიში	94	5	მთავარი	17.0	წიწვ.	IV	473	238	711	8 637	1727	864		0.8
							ფითლ.		173	134	307					
					სულ:				646	372	1018					
59		ხაიში	7	4	მთავარი	23.0	წიწვ.	IV	1018	739	1757	10 137	2027	1014	2.0	
60		დახამელა	59	4	მთავარი	8.0	წიწვ.	IV	167	102	269	11 068	2213	1107		
							ფითლ.		396	318	714					
					სულ:				563	420	983					
61		დახამელა	50	4	მთავარი	10.0	წიწვ.	IV	350	184	534	3 504	700	350	0.8	
							ფითლ.		6	4	10					
					სულ:				356	188	544					
62		ორმყლეთი	46	4	მთავარი	8.0	წიწვ.	IV	347	207	554	8 582	1716	858		1.2
							ფითლ.		219	170	389					
					სულ:				566	377	943					
63		ორმყლეთი	35	4	მთავარი	10.0	წიწვ.	IV	474	295	769	7 293	1458	729		0.5
							ფითლ.		114	69	183					
					სულ:				588	364	952					
64		ორმყლეთი	26	5	მთავარი	11.0	წიწვ.	IV	655	362	1017	8 483	1696	848		1.0
							ფითლ.		91	69	160					
					სულ:				746	431	1177					
65		ორმყლეთი	22	10	მთავარი	8.0	წიწვ.	IV	615	337	952	6 072	1214	607		0.8
							ფითლ.		6	3	9					
					სულ:				621	340	961					
66		ორმყლეთი	70	3	მთავარი	9.0	წიწვ.	IV	630	337	967	9 018	1803	902		1.0
							ფითლ.		124	99	223					
					სულ:				754	436	1190					
67		ორმყლეთი	97	4	მთავარი	7.0	წიწვ.	IV	261	186	447	7 043	1408	704	0.4	1.0
							ფითლ.		186	156	342					
					სულ:				447	342	789					
68	საჩხერე	მოხვი	1	17	მთავარი	8.0	ფითლ.	II	117	215	332	5 191	1038	519		
69		მოხვი	1	36	მთავარი	9.0	ფითლ.	II	284	325	609	11 574	2315	1157		
70		მოხვი	1	16	მთავარი	23.0	ფითლ.	II	337	576	913	14 727	2945	1473		

მარჯანიშვილის თეატრი

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ დრამატულ თეატრში სარემონტო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. აქ თეატრალური სეზონის გახსნა ივლისის დასაწყისისთვის იგეგმება. როგორც თეატრის პრესსამსახურში განაცხადეს, სეზონი რეჟისორ გიზო ჟორდანიას სპექტაკლით გაიხსნება. თეატრის დასი პრემიერაზე ბრეხტის "სამგროშიან ოპერას" წარმოადგენს.

მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ლევან წულაძე კი თეატრის მსახიობთა დასთან ერთად ორ სპექტაკლზე მუშაობს. სეზონის გახსნის შემდეგ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე მაყურებელი არტურ შნიცლერის "კაზანოვას დაბრუნებას" და შექსპირის "ზაფხულის ღამის სიზმარს" იხილავს. **მედიანიუსი**

ქრისტეს შესახებ

კინოკომპანია Screen Gems-მა და რეჟისორმა ლაიონ ჩეტვუდმა განაცხადეს, რომ მუშაობას იწყებენ ახალ რელიგიურ სურათზე. ფილმის მუშა სახელწოდებაა "აღდგომა". ფილმში აქცენტი ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელ დღესა და 40 დღის შემდეგ მის ამაღლებაზე იქნება გადატანილი.

როგორც ვარაუდობენ, სიუჟეტის გამო "აღდგომაც" მორწმუნეთა მღელვარების საბაბი გახდება. ალბათ, სწორედ ამაზე აკეთებენ გათვლას პროდიუსერები, რომელთა მთავარი მიზანიც ფინანსური მოგების ნახვაა.

ნატალი პორტმანი

მილოშ ფორმანის ახალ ფილმში "გოიას აჩრდილი" (Goya's Ghosts) მთავარ როლებს ნატალი პორტმანი, სტელან სარსგორდი და ხავიერ ბარდემი ითამაშებენ.

სურათი ცნობილი ფერმწერის ფრანჩესკო გოიას ცხოვრების უკანასკნელი წლების შესახებ მოგვითხრობს. ნიჭიერ და ამასთანავე მომხიბვლელ მსახიობად აღიარებული ნატალი პორტმანი ფილმში მხატვრის მუზა იქნება და ეროტიკული სცენების თამაშიც მოუწევს. თავად გოიას შვედი მსახიობი სტელან სარსგორდი განასახიერებს.

საკამათო ფილმების სია

ჟურნალმა Entertainment Weekly-იმ მსოფლიოში ყველაზე საკამათო და სკანდალური ფილმების სია გამოაქვეყნა. მელ გიბსონის ფილმი "ქრისტეს ვნებანი" აღიარებულია "ყველაზე საკამათო კინოფილმად მთელს ჰოლივუდის ისტორიაში". სურათი, რომელიც გვიჩვენებს იესოს ცხოვრების ბოლო 12 საათს, მოექცა იმ ფილმების სათავეში, რომელიც საზოგადოებაში კამათს იწვევს", - ნათქვამია ჟურნალში.

მეორე ადგილი დაიკავა სტენლი კუბრიკის ფილმმა "მექანიკური ფორთოხალი". მისი ეკრანზე გამოსვლის შემდეგ დიდ ბრიტანეთში მოხდა რამდენიმე დანაშაული, რომელიც იყო ანალოგი იმ მასობრივი ძალადობისა, რაც ფილმშია გადმოცემული. ამ სიაში ასევე აღმოჩნდა ამერიკელი რეჟისორ ოლივერ სტოუნის ერთდროულად ორი ფილმი. JFK, რომელიც პრეზიდენტ კენედის მკვლელობაზეა გადაღებული და "მკვლელებად დაბადებულნი".

სიაში ასევე მოხვდა ახლადგადაღებული ფილმი "და ვინჩის კოდიც". დენ ბრაუნის სკანდალური რომანის ეკრანიზაციამ, რომელიც 2006 წელს გამოვიდა, მე-13 ადგილი დაიკავა.

დანარჩენი ადგილები ასე გადანაწილდა: "ფარენგეიტი", "ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება", "ირმებზე მონადირე", "ძირითადი ინსტინქტი" და "ბავშვები". **ჯი-ეიჩ-ენი**

ქართველი მხატვარი და გერმანული არტ-ბაზარი

ეკა ნათენაძე.

თეონა ჭაფარიძე

გერმანული გაზეთები: - Donau - Post და Mittelbayerische Zeitung ქართველი მხატვრის ეკა ნათენაძის შესახებ ვრცელ და საინტერესო მასალას აქვეყნებენ. სტატიაში სახელწოდებით Liblingskunster eines Galeristen, გალერისტ ლუდვიგ ჰამერის ფავორიტ მხატვრებზეა საუბარი. გალერისტი დღესდღეობით ევროპაში აღიარებულ და პერსპექტიულ რვა მხატვართან მუშაობს. ფრანგი ელენე ბოვერის, იტალიელი ორნელა რენის, პორტუგალიელი მიგელ პორტას, ესპანელი კარლოს ბუგალოს, გერმანელების - ერნსტ ფოქსისა და ჰარი იანსენის, უნგრელი ლასლო ზოლერის გვერდით, გალერისტი შეფობას ქართველ მხატვარზე - ეკა ნათენაძეზე იღებს, რადგან მასში გერმანული არტ-ბაზრისათვის საკმაო პოტენციალს ხედავს.

ჰამერის გალერეა სმხრეთ გერმანიაში ბავარიაში, ქალაქ რეგენსბურგშია და ის საკმაოდ კარგად მუშაობს, რაც იმას ნიშავს, რომ მხატვართა წრეებისა თუ ხელოვნების მომხმარებელთათვის ეს ცნობილი და საჭირო საგამოფენო სივრცეა. ახლაც, ჰამერის ფავორიტთა ჯგუფურ გამოფენას თან მოჰყვა ეკა ნათენაძის პერსონალური გამოფენა. ნამუშევრები აქ ორი თვის მანძილზე იყო გამოფენილი. ამ ხნის მანძილზე კი ქართველი მხატვრის ბევრი ნამუშევარი გაიყიდა და ბევრი შეკვეთაც შესრულდა. გერმანელები ეკას ძირითადად პატარა ზომის ზეთში შესრულებულ ტილოებს უკვეთავდნენ. დამკვეთთა შორის ცნობილი გერმანული ფირმის "გოლდშტაიგის" მეპატრონეებიც აღმოჩნდნენ. Goldsteig-ი რძის ნაწარმის ცნობილი გერმანული კონცერნია. ფირმამ სათავო ოფისისათვის ეკას დიდი ზომის ზეთის ნამუშევრები და ბანერები ლოგოს გამოსახულებით შეუკვეთა. დასავლეთში ეს საკმაოდ გავრცელებული ურთიერთობის ფორმაა არტ-ბაზარსა და სამრეწველო კომპანიებს შორის. ეს, მარტივად რომ ვთქვათ, დაახლოებით იგივეა, ჩვენში რომ "ნიკორამ" ან ლუდის რომელიმე ქართველმა მწარმოებელმა (სამწუხაროდ, ქართული წარმოების ჩამონათვალი თითქმის მხოლოდ ამით ამოიწურება), მხატვარს სარეკლამო ბანერად საკუთარი ლოგო ფერწერულად ტილოზე რომ შეასრულებინოს.

ქართველი მხატვრის ურთიერთობა გერმანულ საქამიან არტ-სამყაროსთან კი კარგა ხნის წინ დაიწყო. სამხავრო აკადემიის დასრულების შემდეგ მან სწავლა ფრანკფურტის უნივერსიტეტში გააგრძელა და ხელოვნების ისტორია შეისწავლა.

"გერმანიაში ჩემი ხელობით ვცხოვრობდი. საქართველოში კი ეს თითქმის შეუძლებელია. გერმანიაში კი უბრალო ადამიანები და კოლექციონერები ჩემს ნახატებს ყიდულობდნენ. პარალელურად ერლანგენის სახალხო სკოლაში ვასწავლიდი პორტრეტს, ნატურმორტსა და გრაფიკას. ძალაუნებურად ჩემი თავის მენეჯერი გავხდი, რადგან დასავლურ სამყაროში სხვაგვარად ძნელია იარსებო. ამიტომ მენეჯმენტს დავეუფლე. მქონდა ბედნიერება მემუშავა ქალაქის მუნიციპალიტეტის კულტურის დეპარტამენტშიც რამდენიმე პროექტის თანაკოორდინატორად" - იხსენებს გერმანიაში გატარებულ წლებს ეკა.

"ნახატები უნდა გაიყიდოს. გერმანიასა და სარანგეთში, კერძო კოლექციებში ჩემი 500-მდე ნამუშევარია დაცული. თუ მსხვილ კოლექციონერებთან არ გაქვს საქმე, მაშინ ჩვეულებრივ, რიგით მყიდველს, რომელსაც ძალიან უნდა შენი ტილოს შეძენა, ნამუშევრის ასლი მაინც უნდა შესთავაზო." - გვიხსნის დასავლური არტ-ბაზრის ნიუანსებს მხატვარი.

ამჯერად ეკა საქართველოში გერმანიის რესპუბლიკის საელჩოში მუშაობს და კონსულტანტია კულტურისა და განათლების საკითხებში. მისი წლევანდელი გერმანული ვოიაჟის მიზეზი მხოლოდ ჰამერის გალერეაში გამოფენა არ ყოფილა. მან ბერლინში არტ-მენეჯმენტში გაიარა სტაჟირება.

"ბერლინის შემდეგ სამი თვე ბონში, ევროკომისიის კულტურის განყოფილებაში მქონდა პრაქტიკა. ტვინი სხვაგვარად ამიმუშავდა. გავეცანი ევროკავშირში შემავალ კულტურულ ასოციაციებსა და სხვადასხვა ფონდების საქმიანობებს, მათთან თანამშრომლობის პრინციპებს. საქათველოში ზღვა ინფორმაცია ჩამოვიტანე. ასე რომ, წინ საინტერესო პროექტები და გეგმებია" - ამბობს მხატვარი.

"დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ
მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06
893 65 38 39

გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი

გთავაზობთ:

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge

ანცხადება

შპს „დივა“ აცხადებს, რომ მომზადებულია მისი დაქვემდებარების საწარმოო ობიექტის - ცემენტის დასაფქვავი მინი საამქროსა დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებულ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაცია.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტაციას და დაგეგმილი საქმიანობის მოკლე ანოტაციას „არატექნიკურ რეზიუმეს“ სახით შემდეგ მისამართზე - რუსთავი, მშენებლის ქ. № 69.

საჯარო განხილვა მოეწყობა იგივე შენობაში, 2006 წლის 3 აგვისტოს 14 საათზე.

გთხოვთ წერილობითი შენიშვნები და კომენტარები ჩააბაროთ შპს „დივას“ დირექტორს ბატონ დ. ვარსიმაშვილს.

შპს „დივას“ ადმინისტრაცია

ინფორმაცია

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 2006 წლის 30 მაისს გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნებული ხელახალი ღია ტენდერის განცხადებაში „შაქრის ფხვნილის შესყიდვაზე“ შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. დაემატოს ლოტი №2 - საქონლის ხორცის კონსერვი, მთლიანი რაოდენობა 83556 კგ. მიწოდება: ქ. თბილისი - 52640 კგ., ქ. ქუთაისი - 30916 კგ.;

2. „ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული“ - ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: თითოეულ ლოტში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

განცხადება

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებისათვის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევ ხელახალ კონკურსს, შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე

საოლქო საარჩევნო კომისია:

N	საოლქო საარჩევნო კომისიის N და დასახელება	საოლქო საარჩევნო კომისიებში არსებული ვაკანსიები	თანამდებობრივი განაკვეთი
1.	N24 დმანისი	1 წევრი	250 ლარი

საბუთები მიიღება საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 2006 წლის 13 ივნისიდან 22 ივნისის ჩათვლით, ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 11-დან 17 საათამდე, შესვენება 13-დან 14-საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ. N29, III სართული, ოთახი N327.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:
ტელ: 98-70-12, 98-70-13.



სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:
ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.
გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:
ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78
ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26
ელ. ფოსტა: info@nautilus.ge

24 საათი B

ბიზნესი

© გაზეთი 24 საათი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

ჯონ სნოუ რუსეთს საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლას უწინასწარმეტყველებს

Forbes-ის უძვირესი კურორტები

BP-ის ხელმძღვანელობა ნავთობის გაიაფებას ვარაუდობს

B3

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

1	ავსტრალიური დოლარი	AUD	1,3284
1	აზერბაიჯანული მანათი	AZN	1,9891
1	არაბული დირჰამი	AED	0,4860
1	აშშ დოლარი	USD	1,7850
1000	ბელორუსიული მანათი	BYR	0,8324
1	ბულგალური ლევი	BGL	1,1547
1	დანიური კრონი	DKK	0,3028
1	ეგვიპტური ბირვანქა	EGP	0,3102
1	ევრო	EUR	2,2575
10	ესტონური კრონი	EEK	1,4432
1000	თურქმენული მანათი	TMM	0,3433
1	თურქული ლირა	TRY	1,1561
10	იაპონური იენი	JPY	0,1566
1	ინგლისური ბირვანქა ს	GBP	3,2885
1000	ირანული რიალი	IRR	0,1950
10	ისლანდიური კრონი	ISK	0,2418
1	ისრაელის სეკელი	ILS	0,3988
1	კანადური დოლარი	CAD	1,5930
1	ლატვური ლატი	LVL	3,2455
10	ლიტვური ლიტი	LTL	6,6040
10	მოლდოვური ლეი	MDL	1,3391
1	ნორვეგიული კრონი	NOK	0,2883
1	პოლონური ზლოტი	PLZ	0,5719
10000	რუმინული ლეი	ROL	0,5997
1	რუსული რუბლი	RUB	0,0661
1	სინგაპურული დოლარი	SGD	1,1214
100	სომხური დრამი	AMD	0,4261
1	ტაჯიკური რუბლი	TJR	0,5519
1000	უზბეკური სუმი	UZS	1,4607
10	უკრაინული ბრივნა	UAG	3,5674
100	უნგრული ფორინტი	HUF	0,8564
1	ქუვეითური დოლარი	KWD	6,1748
10	ყაზახური ტენგე	KZT	0,1485
10	ყირგიზული სომი	KGS	0,4405
1	შვედური კრონი	SEK	0,2445
1	შვეიცარული ფრანკი	CHF	1,4486
1	ჩეხური კრონი	CZK	0,0799
1	ჩინური იუანი	CNY	0,2227
1	ჰონ-კონგური დოლარი	HKD	0,2300



რეფორმები ელექტროენერგეტიკაში



ნუგზარ ხუჭუა
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი

სემეკ-ის 2006 წლის 15 მაისის N18 დადგენილებით, ელექტროენერგიის ტარიფი ქ. თბილისის მოსახლეობისათვის, მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის მიხედვით გაიზარდა 11,42 თეთრიდან 15 თეთრამდე, ხოლო რეგიონების მოსახლეობისათვის - 11 თეთრიდან 14,83 თეთრამდე. ტარიფების მატებას წინ უსწრებდა მთავრობისა და სემეკ-ის წევრების სატელევიზიო თუ საგაზეთო ბატალიები ტარიფის მომატების აუცილებლობის შესახებ. ხელისუფლება აცხადებს:

***პირველი** - ელექტროენერგიის ტარიფი ძალზე დაბალია, იგი სუბსიდირებულია და, აქედან გამომდინარე, რაც უფრო მეტ ელექტროენერგიას მოიხმარდა მომხმარებელი, მით უფრო მეტ სუბსიდირებას იღებდა იგი. **მათი აზრით**, ასეთი მდგომარეობა დაუშვებელია საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან შეუსაბამობის გამო.*

***მეორე** - დარგი არარენტაბელურია. იგი საჭიროებს ტექნიკურ რეაბილიტაციას და მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს. **მათი აზრით**, საჭირო ფინანსების მიღება მხოლოდ ტარიფების მომატების გზით იყო შესაძლებელი.*

***მესამე** - ფასის მომატებით დაიზოგებოდა მნიშვნელოვანი რაოდენობის ელექტროენერგია, რაც, **მათი აზრით**, ენერგეტიკოსებს საშუალებას მისცემდა, მომხმარებლებისათვის უწყვეტ რეჟიმში მიეწოდებინათ მაღალი ხარისხის ელექტროენერგია.*



B4

ავტოფარეხიდან რაკეტაში

სილიკონის ველის ნოვატორი Hewlett-Packard-ი

გოჩა ქიმუცაძე

70 წლის წინ სტენფორდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა დეივ პაკარდმა და ბილ ჰიულეტმა საკუთარი ბიზნესის წამოწყება გადაწყვიტეს. მაგრამ ენერგიულმა ყმაწვილებმა მხოლოდ ის იცოდნენ, რომ ერთად მუშაობა სურდათ, კონკრეტული იდეა კი არ გააჩნდათ. მთელი დღეების განმავლობაში მეგობრები ავტოფარეხში ისხდნენ, გულმოდგინედ ფიქრობდნენ და ჩხირკედელაობდნენ.
რამდენიმე წლის წინ კომპანია Hewlett-Packard-მა ნახევრადდანგრეული ავტოფარეხი და მის მახლობლად მდებარე სახლი 1,7 მილიონ დოლარად შეიძინა. ერთი შეხედვით, ეს მეტად უცნაური კაპიტალდაბანდება ტყუილად არ განხორციელებულა, თავის დროზე ხომ სწორედ ამ ავტოფარეხში მდებარეობდა დღევანდელი გიგანტის პირველი ოფისი, სწორედ იქ ჩაეყარა საფუძველი არა მარტო HP-ს, არამედ სილიკონის ველად წოდებული მსოფლიო კომპიუტერული მექას ისტორიას.
დღეს Hewlett-Packard-ი, IBM-ის შემდეგ, მსოფლიოს უმდიდრესი კომპიუტერული ტექნიკის მწარმოებელი უმსხვილესი კომპანიაა. გასული წლის მონაცემებით, HP-მ 87,9 მილიარდი დოლარის ოდენობის მოგება მიიღო, მისი საბაზრო კაპიტალიზაცია კი 93,08 მილიარდ დოლარს აღწევს.

B3

სს "საქართველოს ბანკი"-ს ობლიგაციებზე არც ერთი განაცხადი არ დაფიქსირებულა

*გასულ კვირას საქართველოს საფონდო ბირჟაზე 14 სახეობის სააქციო საზოგადოების აქციაზე 90 გარიგება განხორციელდა. არც ერთი განაცხადი არ დაფიქსირებულა სს "საქართველოს ბანკი"-ს ობლიგაციებზე, ამასთანავე, მკვეთრად იკლო აქტივობამ ამავე ბანკის აქციაზე, ხოლო ფასი, კარგა ხანია, გარკვეულ სტაგნაციას განიცდის. ეს ფაქტი, საქართველოს საინვესტიციო ჯგუფის შეფასებით, დამაფიქრებელი მოვლენაა. სხვათა შორის, აღნიშნული მოვლენები დროში ემთხვევა "საქართველოს ბანკის" სააქციო კაპიტალიდან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (**EBRD**) წასვლას.*

მეორე კვირაა, სს "გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" (ყოფილი ელექტროკავშირი) აქციათა ფასის მკვეთრი ვარდნა მიმდინარეობს. კერძოდ, ამ ფასიანი ქაღალდების ფასმა 1.05 ლარიდან 0.20 ლარამდე (მინიმუმი) იკლო. ბოლო ვაჭრობის გასაშუალოებული ფასი 0.60 ლარია.



B2

"გაზექსპორტში" დავით მორჩილაძის უფლებამოსილების შეწყვეტას არ ადასტურებენ

კომპანია "გაზექსპორტის" საქართველოს წარმომადგენლობაში დავით მორჩილაძის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტას არ ადასტურებენ. როგორც "გაზექსპორტის" საქართველოს წარმომადგენლობაში განაცხადეს, მორჩილაძე ამჟამად შვებულებაშია და წარმომადგენლის უფლებამოსილების დელიგირება არ მოუხდენია. გავრცელებული ინფორმაციით, მორჩილაძემ საქართველო დატოვა და სპეციალური მინდობილობით წარმომადგენლის უფლებამოსილება ცოლისდას, ქეთევან ვეზირიშვილს გადასცა. ამის მიზეზად მთავრობის გარკვეულ წრეებთან მორჩილაძის უთანხმოებას და ფინანსურ მაქინაციებს ასახელებენ, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, მისი "თბილგაზის" გენერალურ დირექტორად მუშაობის პერიოდს ეხება. როგორც ქეთევან ვეზირიშვილმა განაცხადა, მორჩილაძე "გაზექსპორტის" წარმომადგენლად ორი წლით არის დანიშნული და მისი უფლებამოსილების ვადა მომავალი წლის ბოლოს იწურება. "მორჩილაძე თბილისში მალე ჩამოვა და მუშაობას შეუდგება. მე მისი არყოფნის დროს მხოლოდ ბანკიდან ფულის გამოტანაზე ხელმოწერის უფლება მომენიჭა," - განაცხადა ვეზირიშვილმა. **ინტერპრესნიუსი**

საავტომობილო გზების დეპარტამენტის მორიგი ტენდერები

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა 15 ობიექტის სარეაბილიტაციო და აღდგენით სამუშაოებზე ტენდერები გამოაცხადა. როგორც დეპარტამენტში განაცხადეს, იგეგმება ორი ადგილობრივი მნივშნელობის სახიდე გადასასვლელის აღდგენითი სამუშაოები - ოზურგეთის რაიონში მერია-ლაითურის საავტომობილო გზის მე-3 კილომეტრში მდინარე ორაფოზე და ლანჩხუთის რაიონში არჩეული-ჩანჩეთი-ჩოჩხათის საავტომობილო გზის პირველ კილომეტრზე. პერიოდული შეკეთების სამუშაოებზე ტენდერები გამოცხადდა 5 მონაკვეთზე - თბილისი-სენაკი-ლესელიძის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის 119(0.6)-134(0.3) კმ; ზაჰესი-მცხეთა-კავთისხევი-გორის 1-4,5 კმ; გორი-ცხინვალი-გუფთა-ჯავა-როკის 3-12 კმ; გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის 69-70 კმ; სენაკი-ნოქალაქევი-ბანძა-ხონის 1-21(0.5) კმ. ტენდერში გამარჯვებული კომპანიები შეასრულებენ შემდეგ სამუშაოებს: თბილისი-სენაკი-ლესელიძის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის 87-ე კილომეტრში დამეწყრილი მიწის ვაკისის დროებითი ღონისძიებები; სენაკი-ფოთი-სარფის გზის 79-ე კილომეტრში (ბობოყვათის სამთავრობო რეზიდენცია) სადრენაჟო სისტემის მოწყობის სამუშაოები; თიანეთი-ახმეტა-ფშაველი-ნინოგორის 26-27 კმ მონაკვეთის სტიქიის შედეგად დაზიანებული მიწის ვაკისის აღდგენა; ამბროლაურის რაიონში ბუგეულა-ბარეული-გორისუბნის გზის მე-5 კილომეტრში მიწის ვაკისის აღდგენა; მერია-თხინვალი-შრომაურეკის მე-16 კილომეტრში მიწის ვაკისის ჩაწყვეტილი მონაკვეთის რეაბილიტაცია. ტენდერები გამოცხადდა ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის 4(0.2)-16 კმ მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების და სენაკი-ფოთი-სარფის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის 120, 121(0.34), 122(0.10) კმ მონაკვეთების მიწის ვაკისის აღდგენის სამუშაოების შესრულებაზე. სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის 89-96 კმ-ზე, ჩაქვი-მახინჯაურის გვირაბის მშენებლობის მე-2 ეტაპის სამუშაოებიდან გადაუდებლად შესასრულებელ სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურებას ტენდერში გამარჯვებული კომპანია განახორციელებს. ტენდერი ორ ეტაპად ჩატარდება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

ყაზახეთი-აზერბაიჯანი-საქართველოს საკონტეინერო მატარებლის მეორე რეისი ივნისში შესრულდება

ყაზახეთი-აზერბაიჯანი-საქართველოს საკონტეინერო მატარებლის მეორე რეისი ივნისის ბოლომდე შესრულდება. ამის შესახებ აზერბაიჯანულ საინფორმაციო სააგენტო "ტრენდს" TRACECA-ს აზერბაიჯანის სამდივნოს ხელმძღვანელმა აკიფ მუსტაფაევმა განუცხადა.

მისი განმარტებით, ამჟამად ყაზახეთში ტვირთის შეგროვება მიმდინარეობს, რომელიც ალმა-ათი-აქტაუ-ბაქო-ფოთის სარკინიგზო რეისით გადაიზიდება.

მუსტაფაევის თქმით, სარკინიგზო პროექტის მიმართ დიდ ინტერესს იჩენს ჩინეთი, რომელიც აზიაში საკონტეინერო ტვირთების ერთ-ერთი მთავარი მესაკუთრეა. "ჩინეთმა უკვე მოითხოვა მატარებლის მუშაობის პირობების გაცნობა და, ამიტომ, მატარებლის მეორე რეისის წარმატებულად შესრულებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ ქვეყნის დაინტერესების კუთხით. ამ შემთხვევაში მატარებლის მოძრაობის სიხშირე გაიზრდება," -მიაჩნია მუსტაფაევს.

მისი ინფორმაციით, ამ ეტაპზე საქართველო, აზერბაიჯანი და ყაზახეთი სარკინიგზო მარშრუტის გაგრძელებას ფიქრობენ ყაზახეთის სადგურ დოსტიკამდე, რომელიც ჩინეთის საზღვართან მდებარეობს. გადაზიდვის ტარიფი ერთიანია - 1 ტონა ტვირთის გადაზიდვა - 1 კილომეტრზე 22 აშშ ცენტი.

მარშრუტის ოპერატორი კომპანიებია Black sea transit LTD და Advantage international transport and logistics LTD. მატარებელმა ჯერჯერობით მხოლოდ 1 რეისი შეასრულა - გასული წლის 24 დეკემბერს მატარებელი ფოთიდან ყაზახეთის მიმართულებით გაემგზავრა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

2006 წლის I კვარტალში უმუშევრების რაოდენობა 12,3 ათასი კაცით შემცირდა

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2006 წლის I კვარტალში უმუშევრების რაოდენობა 2006 წლის I კვარტალში 12,3 ათასი კაცით შემცირდა. ქვეყანაში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხვმა (რომელიც მოიცავს მხოლოდ დასაქმებულებს და სამუშაოს აქტიურად მაძიებელ უმუშევრებს) მილიონ 925,1 ათასი კაცი შეადგინა. ეს მაჩვენებელი 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის 60,7 პროცენტია. ანალოგიურ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკაში დასაქმებულთა რიცხვმა მილიონ 643,1 ათასი კაცი შეადგინა. 2006 წლის I კვარტლის მონაცემებით, დასაქმებულთა 36 პროცენტი დაქირავებით იყო დასაქმებული, ხოლო დანარჩენი 64 პროცენტი თვითდასაქმებულთა რიგს მიეკუთვნებოდა. აქედან, დაქირავებით დასაქმებული ქალები - დასაქმებულთა 48 პროცენტს, მამაკაცები კი 52 პროცენტს შეადგენენ. ამავე პერიოდში უმუშევართა რაოდენობამ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მკაცრი კრიტერიუმით, 282 ათასი კაცი შეადგინა, რაც 2005 წელთან შედარებით 12,3 ათასით კაცით (4,2 პროცენტით) ნაკლებია. უმუშევრობის დონე კი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში 14,6 პროცენტით განისაზღვრება, რაც გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 0,1 პროცენტით ნაკლებია. შრომის სტატისტიკის მონაცემების მიხედვით, 2005 წელს საშუალო თვიური ხელფასი 204,2 ლარით განისაზღვრა, რაც, წინა წელთან შედარებით, (156,8 ლარი) 47,4 ლარით მეტია. **ჯი-ეიჩ-ენი**

პარლამენტში ბენდუქიძის ინიციატივა პირველად დაბლოკეს

თინა შავაძე

საქართველოს პარლამენტი მიმდინარე თვეში რამდენიმე ეკონომიკური ხასიათის მნიშვნელოვან კანონპროექტს განიხილავს. ამ ეტაპზე ქვეყანაში 11 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მოქმედებს. ისინი გასცემენ სესხებს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილება მიკროსაფინანსო ინსტიტუტების საქმიანობას ახალ ჩარჩოებში მოაქცევს. კანონპროექტი "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" საკომიტეტო მოსმენებისთვის მზად არის. პროექტის თანახმად, ეროვნული ბანკი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის დააწესებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ბუღალტრული აღრიცხვის წესებსა და პროცედურებს და დადგენილი წესით გასცემს სერტიფიკატს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე.

ერთ-ერთი კანონპროექტი ქვეყანაში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორის მოხსნას ითვალისწინებს. მთავრობის მიერ მომზადებული კანონპროექტი "საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" 27-30 ივნისს განიხილება. დღემდე საქართველოში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი 1 800-მდე საწარმო მოქმედებს. მათი ნაწილი გასაყიდად არის გამოტანილი. აღნიშნული პროექტის შესაბამისად, დღგ-თი დასაბეგრ ოპერაციად არ ჩაითვლება სახელმწიფოსთვის საქონლის უსასყიდლოდ მიწოდება და აქტივების გამოტანა იმ საწარმოს საწესდებო კაპიტალიდან, რომლის წილის/აქციების 50 პროცენტზე მეტი სახელმწიფოს ეკუთვნის.

მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების საწესდებო კაპიტალიდან სახელმწიფოს მიერ ქონებისა და სახელმწიფოსთვის საქონლის გადანაწილება დღგ-თი დასაბეგრ ოპერაციას წარმოადგენს და იბეგრება დღგ-თი, რაც სახელმწიფო ქონების პრივატიზაციისას იწვევს გარკვეულ პრობლემებს. წარმოდგენილი კანონპროექტი ამ პრობლემის მოგვარებას ისახავს მიზნად.

საქართველოს პარლამენტმა თავი შეიკავა მთავრობის მიერ წარდგენილი კანონპროექტთა პაკეტის განხილვაზე, რომელიც საფინანსო ინსტიტუტების (საბანკო და სადაზღვევო სისტემა, საფონდო ბირჟა) საქმიანობის ლიბერალიზაციას ისახავს მიზნად. პროექტის ავტორია სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე და პროექტის ძირითადი პრინციპები წინააღმდეგობაში მოდის ბევრ საერთაშორისო დოკუმენტთან. ამიტომ, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა აღნიშნული პროექტის საერთაშორისო ექსპერტიზა მოითხოვა. გუშინ ბიუროს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, საკანონმდებლო ორგანო საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნას დაელოდება და ამის შემდეგ განიხილავს ბენდუქიძის ინიციატივას. ეს პირველი შემთხვევა, როცა პარლამენტმა ბენდუქიძის ინიციატივა დაბლოკა. ამ საკითხის შესახებ სტატიას "24 საათის" ხვალინდელ ნომერში იხილავთ.

საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა თბილისში

დღეს საქართველოს გაზის მოხმარება წელიწადში 1,2 მილიარდ კუბურ მეტრს შეადგენს, უახლოეს მომავალში კი ეს მაჩვენებელი 2-3 მილიარდამდე გაიზრდება. სწორედ ამიტომ, საქართველო ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენიდან დამატებითი მოცულობის აირის მიღებას ითხოვს.

გუშინ თბილისში სამხრეთ კავკასიის გაზსადენიდან "ბაქო-თბილისი-ერზრუმი" დამატებითი ბუნებრივი აირის ყიდვის საკითხების განსახილველად გაზის ქართველი, თურქი და აზერბაიჯანელი ექსპერტების სამუშაო შეხვედრა დაიწყო, რომელიც 14 ივნისამდე გაგრძელდება.

"შეთანხმებული 800 მილიონი კუბური მეტრი გაზის ნაცვლად, ყოველწლიურად საქართველოს აზერბაიჯანიდან მშენებარე გაზსადენის მეშვეობით გაზის მიწოდების მოცულობის 1,5 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზრდა სურს," - განაცხადა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა.

საქართველოს მხრიდან მოლაპარაკებებში ენერგეტიკის სამინისტრო, გაზის საერთაშორისო კორპორაცია და ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია ჩაერთვებიან.

სხვათა შორის, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენიდან ბუნებრივი აირის დამატებითი მოცულობის მიღებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს საქართველოს მთავრობა "შაჰ-დენიზის" კონსორციუმთან და აზერბაიჯანის მთავრობასთან, უკვე ერთი წელია, აწარმოებს. ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, რომ გარკვეული შეთანხმება უკვე მიღწეულია და დეტალები 19-20 მაისს გახდება ცნობილი.

ადრე მიღწეული შეთანხმების თანახმად, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის ტრანზიტიდან საქართველოს წილი 5 პროცენტია, კიდევ 5 პროცენტს საქართველო შეღავათიან ფასად (1000 კბმ 55 დოლარად) მიიღებს. 2007-2008 წლებში საქართველოს ამ მილსადენიდან წელიწადში სულ 200-250 მილიონი კუბური მეტრი აირის მიღება შეუძლია, 2011 წლიდან კი - 800 მილიონი კუბური მეტრის.

თუმცა, გილაურის თქმით, აზერბაიჯანული გაზის მოწოდების დაწყების მიუხედავად, საქართველო მომავალში "გაზპრომისაგან" ბუნებრივი აირის შესყიდვას მაინც გააგრძელებს. **24 საათი**

სს "საქართველოს ბანკი"-ს ობლიგაციებზე არც ერთი განაცხადი არ დაფიქსირებულა

პირველი გვერდიდან

დადებული გარიგებებიდან აღსანიშნავია სს "სოფმშენი"-ს 5 პროცენტის წილის ყიდვა-გაყიდვა. ჯამურად გასხვისდა 14720 აქცია, თითო - 10 ლარში. ამ ფაქტიდან გამომდინარე, ამ სააქციოს კაპიტალიზაცია 3 მილიონ ლარზე ნაკლებია, რაც საქართველოს საინვესტიციო ჯგუფის შეფასებით, ცხადია, დელისის მეტროსთან 17-სართულიანი შენობის რეალურ ღირებულებას არ ასახავს.

მკვეთრად იმატა სს "ბავშვთა სამყარო"-ს აქციებმა - ბოლო ფასი 500 ლარია, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სულ გამოშვებულია 5402 აქცია, ნომინალით 125 ლარი თითო. საინვესტიციო ჯგუფის განცხადებით, სს "ბავშვთა სამყაროს" რეალური ქონებიდან და სავაჭრო ქსელიდან გამომდინარე, ფასი - 500 ლარი თითო აქციაზე - საკმაოდ მიმზიდველია.

ფულადი ბაზარი

13 ივნისის ვალუტებისა 2006 წელი

ვალუტა	ლარი
1 აშშ დოლარი	1,7836
1 ევრო	2,2529
1 რუსული რუბლი	0,0661
1 ფუნტი სტერლინგი	3,1557

ბანკთაშორისი სავალუტო აუქციონი

თარიღი	რაოდენობა	პროცენტი	თანხა
29-Mar-06	7 დღე	4%	1 000 000
10-May-06	28 დღე	5%	1 000 000
26-Jun-06	56 დღე	14%	1 500 000

მიმდინარე კურსის კალენდარი

თარიღი	შენიშვნა
13-Jun-06	სს სესია № 43 (629)
15-Jun-06	სს სესია № 44 (630)

მეორე კვირაა, სს "გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" (ყოფილი ელექტროკავშირი) აქციათა ფასის მკვეთრი ვარდნა მიმდინარეობს. კერძოდ, ამ ფასიანი ქაღალდების ფასმა 1.05 ლარიდან 0.20 ლარამდე (მინიმუმი) იკლო. ბოლო ვაჭრობის გასაშუალოებული ფასი 0.60 ლარია.

საინტერესოა ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის კვირის მიმოხილვაც. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიაზე, 2006 წლის 8 ივნისს ოთხმა კომერციულმა ბანკმა (ორმა გამყიდველის და ორმა მყიდველის სტატუსით) და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (მყიდველის სტატუსით) მიიღეს მონაწილეობა. დაიდო ოთხი საბირჟო გარიგება, რომლის საერთო მოცულობამ 2 100 000 აშშ დოლარი შეადგინა. საბირჟო სესიაზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1 450 000 აშშ დოლარი შეიძინა. საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით: 1 აშშ დოლარი/1.7900 ლარი. უცხოურ ვალუტაზე კომერციული ბანკების თავდაპირველმა მოთხოვნამ - 500 000 აშშ დოლარი, ხოლო მიწოდებამ 2700 000 აშშ დოლარი შეადგინა. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის დღევანდელ ვაჭრობაზე მოთხოვნა-მიწოდება შემდეგი კურსით დაბალანსდა — 1 აშშ დოლარი/1.7885 ლარი. 9 ივნისიდან ძალაში შევიდა აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი/1.7885 ლარი. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე 2006 წლის 8 ივნისს 400 000 ევროს მოცულობის ერთი გარიგება დაიდო, რომელშიც ორი კომერციული ბანკი მონაწილეობდა. 9 ივნისიდან ამოქმედდა შემდეგი კურსი: 1 ევრო/2.2825 ლარი. **24 საათი**

საქართველოს საფონდო ბირჟა

სესია № 627 - 628 / 2006 წლის 5 - 12 ივნისი

დასახელება და ძირითადი აქტივი	კოდი	საშუალ. ფასი	მოცულობა (ც/ქ)	ღირებულება (ლარი)	საწესდებო კაპიტალი (აქციებში)	კაპიტალიზაცია ღირებ.	განსხვავება %	2006წ. დაფიქსირ. ფასი მაქს.	მინ.
სს "ილესი"	AEST	1,6	1800	2880	81147886	129836618	0,002	1,6	1,5
სს "საქართველოს ბანკი"	GEB	12,85	8278	106286,1	14783409	189966806	0,056	13,25	10
სს "გრაალი 92"	GR92	1,4	3459	4842,6	365762	512066,8	0,946	1,4	1,4
სს "ენისელი და სარეგისტრაციო"	ENIS	6,43	600	3858	1812967	11657378	0,033	6,43	6,43
სს "რეა ქართუ"	REAQ	3,64	642	2336,88	128892	469166,9	0,498	3,64	3,64
სს "საქსელსპრომტი"	STSP	5	84	420	392139	1960695	0,021	8	5
სს "სოფმშენი"	SOPM	10	14720	75072	294398	2943980	5,000	10	5
სს "ბავშვთა სამყარო"	SSBS	500	31	15500	5402	2701000	0,574	500	125
სს "საქსელსპრომტი"	STLM	0,439	3607	1584,4	87023	38203,1	4,145	0,5	0,4
სს "თბილპრესშეში"	TABR	0,4	2786	1114,4	1945335	778134	0,143	0,4	0,4
სს "ცენტრალის ბაზა"	TUSB	90	4	360	792	71280	0,505	90	90
სს "გაერთ. ქართ. ბანკი"	UGB	2,160	1 391	2 967,1	41000000	88560000	0,003	2,16	1,90
სს "ელექტროკავშირი"	UTC	0,600	187 435	139 271,4	103236684	61942010	0,182	1,05	0,20
სს "პროტეინბანკი"-ს ობლიგაცია	PCBIT	941,580	36	33 896,9					
ბალი			36 011	214 254,39					

რუსი დამსვენებლები უპირატესობას შავიზღვისპირეთის კურორტებს ანიჭებენ

ომსკის ტურისტული სააგენტოების მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად, რუსი დამსვენებლები, საზღვარგარეთის კურორტებთან შედარებით, წელსაც შავიზღვისპირეთს ანიჭებენ უპირატესობას.

გამოკითხვის შედეგად პირველ ადგილზე შავიზღვისპირეთის კურორტებიდან აფხაზეთი, სოჭი, ადლერი და ანაპა გავიდნენ; ციმბირის კურორტებიდან - მთიანი ალტაი და ბელოკურიხა. **ჯი-ეიჩ-ენი**

საირიგაციო სისტემების აღდგენა სულ მალე დაიწყება

მსოფლიო ბანკისა და მილენიუმის პროგრამით გათვალისწინებული 50 მილიონი აშშ დოლარი 27 საირიგაციო სისტემების აღდგენა რეაბილიტაციას მოხმარდება. მელიორაციის სისტემების მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით გუბელაძე აცხადებს, რომ პროგრამა 3-წლიანია და ის 2006-2009 წლამდე გაგრძელდება.

მისი თქმით, საქართველოში არსებული 56 საირიგაციო სისტემებიდან 27 შეირჩა, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო მომგებიანი იქნება.

მომავალში სარწყავი სისტემებიდან ფართობების გაზრდა მოხდება. ამჟამად საქართველოში სულ 70 000 ჰექტარი სარწყავი ფართობი ირწყვება. **ჯი-ეიჩ-ენი**

FKFW "შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას" 500 მილიონ ევროს გამოუყოფს

გერმანული ბანკი (KFW) "შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის" წევრ ქვეყნებს უახლოეს 2 წელიწადში 500 მილიონ ევროს გამოუყოფს, - ამის შესახებ ბანკის რეგიონულმა მენეჯერმა ოსკარ ვონ მალტზანმა განაცხადა.

"ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში, საბერძნეთის გარდა, 500 მილიონი ევროს კრედიტის სახით ჩადებას ვგეგმავთ. თანხა ინფრასტრუქტურის, ასევე სატრანსპორტო, ენერგეტიკული და ფინანსური სექტორის განვითარების პროექტებს მოხმარდება," - განაცხადა მან.

KFW -ის შავი ზღვის რეგიონისთვის განკუთვნილი საკრედიტო პორტფელის მოცულობა 1,3 მილიონ ევროს შეადგენს, აქედან 200 მილიონი ევრო გასულ წელს გაიხარჯა. "ჩვენს შავი ზღვის ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის ყველა წევრთან ვთანამშრომლობთ, გარდა საბერძნეთისა, რომელიც ევროკავშირის წევრია," - განაცხადა ვონ მალტზანმა. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციაში, საქართველოს გარდა, აზერბაიჯანი, ალბანეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, რუსეთი, თურქეთი და უკრაინა არიან გაწევრიანებული. **ჯი-ეიჩ-ენი**

ფოთის გემთსაშენი ქარხნის თანამშრომლები ხელფასს 10 დღეში მიიღებენ

ფოთის გემთსაშენი ქარხნის თანამშრომლები კუთვნილ ხელფასს 10 დღეში მიიღებენ. ასეთი დაპირება მიიღეს გუშინ ხელფასის მოთხოვნით გაფიცულმა თანამშრომლებმა ქარხნის ხელმძღვანელობისგან.

ფოთის გემთსაშენი ქარხანა გუშინ დილიდან პარალიზებული იყო. ქარხნის თანამშრომლები პროტესტის ნიშნად საამქროებში არ შევიდნენ და ქარხნის წინ აქცია გამართეს. აქციის მონაწილეთა განცხადებით, 300-მდე ადამიანს, უკვე 6 თვეა, კუთვნილი ხელფასი არ მიუღია.

ქარხნის ხელმძღვანელობა კი განმარტავს, რომ ხელფასების გაცემის შეფერხება აქციების გადანაწილებამ გამოიწვია. მათი თქმით, მოწილეების შორის მოლაპარაკებები ამ დრომდე მიმდინარეობს. პროცესს ისიც აჭიანურებს, რომ გემთსაშენის ერთ-ერთი აქციონერი ყოფილი დეპუტატი ვალერი გელაშვილია, რომლის აქციებიც ამ დრომდე დაყადაღებულია.

საწარმოს ხელმძღვანელობა აქციის მონაწილეებს ხელფასების გაცემას 10 დღეში დაჰპირდა, რის შემდეგაც აქცია შეწყდა. **ინტერპრესნიუსი**

BP-ის ხელმძღვანელობა ნავთობის გაიაფებას ვარაუდობს

ჯონ ბრაუნი.

ნავთობის ფასი სამომავლოდ სამჯერ გაიაფდება. ასეთ პროგნოზს ბრიტანული ბუნებრივი აირისა და ნავთობის კომპანია BP-ის ხელმძღვანელი ლორდ ჯონ ბრაუნი აკეთებს. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ბიზნესმენი გერმანულ გაზეთ "Shpigel"-თან მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ ბარელი ნავთობის ფასი, უახლოესი პერსპექტივის ფარგლებში 70 დოლარიდან 40 დოლარამდე დაეცემა, შორეული გათვლებით, კი საწვავის ფასი შესაძლოა 25-30 დოლარამდე გაიაფდეს. თუმცა, ლორდ ბრაუნი აცხადებს, რომ უახლოეს მომავალში გაიაფებულ ნავთობზე სერიოზული გათვლების გაკეთება ჯერ ნაადრევია. BP-ის ხელმძღვანელი ნავთობის ღირებულების გაიაფებას მსოფლიოში ამ საწვავი ნედლეულის მოპოვების გაზრდას უკავშირებს. მისი თქმით, მსოფლიოში, ბოლო პერიოდის განმავლობაში ბევრი ისეთი პერსპექტიული ნავთობმომპოვებელი ადგილები ამოქმედდა, როგორიცაა მაგალითად კასპიისპირეთი. გარდა ამისა, ნავთობის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ მომწოდებლად კვლავ რუსეთი და დასავლეთ აფრიკა მოიაზრება. ამ უმსხვილესი ნავთობკომპანიის ხელმძღვანელის იმედები ნავთობქვიშებსაც უკავშირდება, რომლითაც განსაკუთრებით მდიდარია კანადა. ლორდ ბრაუნი დარწმუნებულია, რომ ახალი ნავთობმომპოვებელი ადგილების ამუშავება საწვავის გაძვირებას ნამდვილად არ გამოიწვევს. მეორე მხრივ, საწვავის გაიაფება ნავთობმომპოვებელი ტექნოლოგიების განვითარებასაც შეუწყობს ხელს. "გასულ წელს, ჩვენი ტერიტორიებიდან მხოლოდ 20-30% საწვავს მოვიპოვებდით, ეხლა კი 40-60%-მდე ავედით. ერთადერთიო რაც ყველაზე საშიშია, ეს ეკოლოგიური ფაქტორებია, რომელიც რატომღაც ყურადღების მიღმაა დარჩენილი,"-აცხადებს ლორდ ბრაუნი. ინტერვიუში კომპანია BP-ის ხელმძღვანელი რუსეთ-ინგლისის ურთიერთობებსაც შეეხო. "ამაში ცუდი არაფერია, რუსეთიდან ბუნებრივი აირის მოწოდება ცივი ომის პერიოდშიც კი არ წარმოადგენდა პრობლემას. აქ ორმაგი ინტერესია. ევროპა რუსულ ბუნებრივ აირზე დამოკიდებული გახდება, რუსეთი კი თავის მხრივ, დასავლურ სივრცეში ახალ სამომხმარებლო ბაზარს შეიძენს,"-აცხადებს ლორდ ბრაუნი. უნდა აღინიშნოს, რომ აქამდე, დასავლურ კომპანიებს, შორის BP-ზე ნავთობის მოპოვების ყველაზე დიდი წილი მოდიოდა, ბრაუნი იმედოვნებს, რომ კომპანია კვლავ განაგრძობს წარმატებულ საქმიანობას.

ბრიტანული Centrica ბუნებრივ აირს რუსეთში ეძებს

"გაზპრომის" ორი დასავლური ფინანსური მრჩეველი - ბანკები Deutsche Bank და dresdner Kleinwort Wassersteiner - ბრიტანეთის სახელისუფლებო სტრუქტურებთან კონფიდენციალურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ. ბრიტანეთს სურს, რომ რუსული ბუნებრივი აირის წამყვანი კონცერნი გაერთიანებული სამფოს კომპანია Centrica-თი დაინტერესდეს. გავრცელებული ინფორმაციით, დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებას და კომპანია Centrica-ს ქვეყნის სტატეგიულ ადგილებში ბუნებრივი აირის მარაგის დეფიციტი აშფოთებს. გასულ წელს, პირველად ბოლო 25 წლის მანძილზე, დიდი ბრიტანეთი ბუნებრივი აირის ექსპორტიორიდან ექსპორტიორად გადაიქცა. ამ პირობებში, ლონდონი ბუნებრივი აირის მსოფლიო სივრცეში სტრატეგიული პოზიციების გამყარების შესაძლებლობის ძიებაშია. ცნობილია, რომ ხელისუფლების მიერ ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების შესახებ შექმნილ კანონპროექტში ნათქვამია, რომ გაერთიანებული სამეფო იძულებული იქნება თავისი ენერგეტიკული მოთხოვნილებები იმპორტის ხარჯზე 60-დან 80%-მდე გაზარდოს. ოღონდ ეს იმ შემთხვევაში, თუ ნაციონალური პოლიტიკა ენერგეტიკულ საკითხებში გარკეულ ცვლილებებს არ განიცდის. ასე, რომ ბრიტანეთში ბუნებრივი აირის იმპორტის დიდი წილი რუსეთზე მოდის. ამასთან ერთად, ცნობილი გახდა, რომ კომპანია Centrica ეძებს შესაძლებლობებს, რომ კომპანია "გაზპრომის" მსხვილ პროექტებში, რომლებიც ბუნებრივი აირის მოპოვებას ეხება, ერთ-ერთი აქციონერის პოზიცია დაიკავოს. კომპანიისტან დაახლოებული პირის ინფორმაციით, Centrica მზად არის თავისი აქციების ნაწილი "გაზპრომს" მიყიდოს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსული კონცერნი ამ ბრიტანულ კომპანიას რუსეთში ბუნებრივი აირის მოპოვების საშუალებას მისცემს.

ავტოფარეხიდან რაკეტაში

პირველი გვერდიდან

ავტოფარეხი, სადაც HP-ის ისტორია დაიწყო.

რაინდები ავტოფარეხიდან

Hewlett-Packard-ის დაბადების ოფიციალურ თარიღად 1939 წლის 1 იანვარი ითვლება, თუმცა ყველაფერი გაცილებით ადრე, 1934 წელს დაიწყო, როცა დევიდ პაკარდმა და უილიამ ჰიულეტმა სტენფორდის უნივერსიტეტი დაამთავრეს და კოლორადოს სათევზაოდ და კლდეებზე საცოცად მიაშურეს. იქ ისინი 1920-1930-იანი წლების რადიობუმმა შთაგონებით აღავსო და საკუთარი ბიზნესის წამოწყების სურვილი ეწვიათ.

კურსზე ყველასაგან გამორჩეული, ნიჭიერი, ხელმარჯვე და ნოვატორი ჭაბუკები, როგორც აღვნიშნეთ, ავტოფარეხში შეიკეტნენ და კარგა ხნის ფიქრის შემდეგ თავიანთი პირველი პროდუქცია აუდიოოსცილატორი - ხმის აპარატურის ტესტირებისათვის განკუთვნილი პირველი აპარატი ააწყვეს. მალე რვა ამგვარ ხელსაწყოზე უოლტ დისნეის სტუდიისაგან შეკვეთა მიიღეს, რომელსაც ისინი განთქმული მუსიკალური მულტფილმის - "ფანტაზია" - გადასაღებად სჭირდებოდა.

ასე შეიქმნა კომპანია და აეწყო ჰიულეტის და პაკარდის ბიზნესი, რომლებიც 60 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მეგობრობდნენ. თანაც, არასოდეს რომელიმე მათგანი მთავარი არ ყოფილა. საერთო დასახელებაშიც სახელების თანმიმდევრობა ჯენტლმენურ-დემოკრატიული პრინციპით, "არიოლ-რეშკას" აგდებით გადაწყვიტეს. მათ ერთმანეთისაგან დაშორებით ცხოვრებაც არ შეეძლოთ. როცა 1938 წელს დევიდ პაკარდი და მისი ცოლი ლიუსი კალიფორნიაში გადასახლდნენ, ჰიულეტი უმალ უკან გაჰყვა და მათ მახლობლად დაბინავდა.

მათი საქმიანი ურთიერთობა ერთგვარ რაინდთა ორდენს წააგავდა, რომელშიც ჰიულეტი სამეცნიერო იდეების წყარო იყო, პაკარდი კი - ბიზნეს-გადაწყვეტილებების გენერატორი.

ომი და მშვიდობა

მეორე მსოფლიო ომის დროს, სახელმწიფო შეკვეთების წყალობით, კომპანია აქტიურად ვითარდებოდა. შეკვეთების მიღებაში მეგობრებს სტენფორდის უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი ფრედერიკ ტერმანი დაეხმარა, რომელიც ჯერ კიდევ 1930-იანი წლების დასაწყისში მიხვდა, რომ სამეცნიერო გამოკვლევებისა და მრეწველობის შერწყმას კოლოსალური მოგების მოტანა შეეძლო. ტერმანმა სილიკონის ველი სამეცნიერო იდეების და ტექნიკური ნოვაციების ინკუბატორად აქცია. იგი პაკარდს და ჰიულეტს არა მარტო შეკვეთების, არამედ გრძელვადიანი კრედიტების მიღებაშიც დაეხმარა და, შემდეგ, წლების განმავლობაში მათთან კონსულტანტად მუშაობდა.

თავდაცვის სფეროსთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარების შემდეგ Hewlett-Packard-მა მიკროტალღოვანი ინჟინერია დანერგა. ეს მიმართულება 40-იან წლებში ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული იყო და კომპანიამ ამ სექტორში ლიდერობა ხელთ იგდო. 1943 წელს მისმა მოგებამ მილიონ დოლარს მიაღწია. უნდა ითქვას, რომ ჰიულეტი და პაკარდი თავიანთ ძალებში მთლიანად დარწმუნებულნი სულაც არ იყვნენ. ამ პერიოდში აშენებული, კომპანიის პირველი ქარხანა ისე იყო დაპროექტებული, რომ საჭიროების, ანუ გაბანკროტების შემთხვევაში მაღაზიად იოლად გადაკეთდებოდა.

თუმცა, Hewlett-Packard-ის ისტორიაში გადამწყვეტი არა ომის წლები, არამედ ომისშემდგომი კრიზისული პერიოდი იქცა, როცა კომპანიამ სახელმწიფო შეკვეთების გარეშე თავის გატანა მოახერხა. წარმოების მოცულობის შემცირების მიუხედავად, დეივმა და ბილმა სხვადასხვა გაკოტრებული კომპანიების უნიკალური სპეციალისტები მიიწვიეს, რომლებთან ერთად "მრავალსპექტიანი მენეჯმენტის" საფუძვლებზე მუშაობას შეუდგნენ.

ჰიულეტი და პაკარდი ყველანაირად ცდილობდნენ, კომპანიაში კარგი სამუშაო პირობები შეექმნათ. სწორედ HP-ში დაინერგა პირველად თანამშრომელთა სამედიცინო დაზღვევის სისტემა. ხოლო როცა 1957 წელს Hewlett-Packard-მა აქციები გამოუშვა, ისინი, პირველ რიგში, თავის თანამშრომლებს შესთავაზა, რომლებსაც ამგვარად შეეძლოთ, კომპანიის ბიზნესში აქტიური მონაწილეობა მიეღოთ.

ამ პერიოდში დეივ პაკარდმა ჩამოაყალიბა და მოგვიანებით წიგნში "HP-ს გზა" აღწერა "HP-ის შვიდი მცნება": მოგება, კლიენტურა, ინტერესთა სფეროები, განვითარება, კორპორაციული სოლიდარობა, მენეჯმენტი და მოქალაქეობრიობა.

პროგრესი და შემოსავალი

ჰიულეტი და პაკარდი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში უპირველეს ნოვატორებად და ბრწყინვალე ბიზნესმენებად რჩებოდნენ. ისინი აწარმოებდნენ გადამცემებს იახტებისათვის, კონდიციონერების მუშაობის კონტროლისა და ფონოგრაფების გამაძლიერებელ მოწყობილობებს, კეგელბანის ელექტრონულ სენსორებს, ელექტრონული ტელესკოპების მართვის მექანიზმებს, ელექტრომასაჟორებს მსუქნებისათვის და ა.შ. HP-ის პროდუქცია გამოიყენებოდა სამედიცინო კლინიკებში (სადიაგნოსტიკო და თერაპიული მოწყობილობები), ელექტრონიკაში (მიკროტალღური ნახევარგამტარები) და ქიმიურ მრეწველობაში (გაზის ქრომატოგრაფები და სპექტრომეტრები).

მიუხედავად ერთი შეხედვით ზედმეტი მრავალმხრივობისა და მკვეთრად გამოკვეთილი მარკეტინგული პოლიტიკის არქონისა, Hewlett-Packard-ის ყველა პროდუქტი მომგებიანი იყო. 60-იან წლებში კომპანიამ რამდენიმე უნიკალური გამოგონება შეიმუშავა, რის შემდეგაც HP ჟურნალ Fortune-ს 500 უმსხვილესი ფირმის რეიტინგში მოხვდა.

1960-იანი წლების დასაწყისში ჰიულეტმა კომპანიის ინჟინრებს პატარა ზომის გამომთვლელი მანქანის, რომელიც ჯიბეში ჩაეტეოდა, შექმნა დაავალა. ასე მოევლინა მსოფლიოს პირველი მიკროკალკულატორი, რომელიც პირველსავე წელს 100 ათასი ცალი გაიყიდა.

გარდა ამისა, კომპანიამ გამოუშვა განთქმული ცეზიუმის სიხშირის ეტალონი, რომელსაც დროის გაზომვა წამის მემილიონედის სიზუსტით შეეძლო. "მფრინავ საათად" წოდებული ეს ეტალონი აქტიურად გამოიყენებოდა კოსმონავტიკაში, ავიაციაში და სეტელეკომუნიკაციო სფეროში.

60-იანი წლების ბოლოს HP-ი ბიზნეს-ტექნიკის ბაზარზე გაბატონდა, რასაც ხელი თავისი პირველი კომპიუტერის HP211A, რომელიც სხვადასხვა მზომი ხელსაწყოს მუშაობის გამაკონტროლებლად გამოიყენებოდა, გამოშვებამ შეუწყო. 1969 წელს კომპანიამ გამოუშვა მინიკომპიურეტებისათვის განკუთვნილი პირველი საოპერაციო სისტემა, ხოლო 1980 წელს ბაზარზე გამოჩნდა პირველი პერსონალური კომპიუტერი HP-85.

Hewlett-Packard-ი პრინტერების წარმოების სფეროს ერთ-ერთი ლიდერი და უპირველესი ნოვატორია. 80-იან წლებში გამოშვებულმა მოდელებმა კომპანიას უდიდესი მოგება მოუტანა. სწორედ HP-მ დანერგა ბეჭდვის ჭავლური ტექნოლოგია, რამაც პრინტერები მასობრივი გამოყენებისათვის ხელსაყრელად აქცია. შემდგომ ათწლეულში Hewlett-Packard-მა აქცენტი უახლეს ტექნოლოგიებსა და ქსელურ უზრუნველყოფაზე გააკეთა.

წარმატებამ არ გააფუჭა

სილიკონის ველის ერთ-ერთი პირველი მილიარდერი დეივ პაკარდი სიკვდილამდე პატარა სახლში ცხოვრობდა, რომელიც თავის ცოლთან ერთად 1957 წელს ააშენა. მისი გარდაცვალების შემდეგ ოჯახმა გამოსცა ნეკროლოგი ფოტოთი, რომელზეც ტრაქტორზე მჯდომი პაკარდი იყო აღბეჭდილი. ტექსტში შენიშვნაც კი არ არსებობდა იმის შესახებ, რომ იგი მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ბიზნესმენი იყო. ნეკროლოგში, უბრალოდ, ეწერა: "დეივიდ პაკარდი, 1912-1996, ფერმერი".

უილიამ ჰიულეტი (1913-2001) მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ-ს მეკავშირეთა კორპუსში ოფიცრად მსახურობდა. კომპანიაში დაბრუნების შემდეგ, 1947 წელს ვიცე-პრეზიდენტი გახდა და შემდეგ, მეგობართან ერთად, HP-ს მორიგეობით ხელმძღვანელობდა.

აღსანიშნავია, რომ ჰიულეტი და პაკარდი არასოდეს ჩაციკლულან (?) ბიზნესში. მაგალითად, პაკარდი ორი წლის (1969-1971) განმავლობაში პრეზიდენტ ნიქსონის ადმინისტრაციაში უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა. ჰიულეტი კი, რომელიც ყოველთვის ინტერესდებოდა განათლებითა და მედიცინით, 60-იან წლებში პრეზიდენტ ჯონსონის ადმინისტრაციაში უცხო ქვეყნების დახმარებისა და სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოებში მოღვაწეობდა.

გიგანტი კომპანიის დამაარსებლები, ალბათ, ყველაზე კარგად მათმა ძველმა მეგობარმა ბარნი ოლივერმა დაახასიათა, რომელმაც ჰიულეტის და პაკარდის შესახებ ერთხელ აღნიშნა: "ისინი წარმატებამ არ გააფუჭა."

ოლივერის გამონათქვამს სრულიად ადასტურებს კომპანიის ტოპ-მენეჯერთა სხდომაზე ბილ ჰიულეტის თავმდაბალი განცხადება: "მისმინეთ, ჩვენ განვვითარდით, რადგან განვითარდა ჩვენი სფერო. ჩვენ გაგვიმართლა, რომ აღმოვჩნდით რაკეტაში, რომელიც აფრინდა. ეს არ არის ჩვენი დამსახურება..." მცირე პაუზის შემდეგ კი პაკარდს გადახედა და უთხრა: "ყოველ შემთხვევაში, ბილ, ჩვენ ეს შანსი არ გავუშვით და მას არ ჩამოვრჩით."

მართალია, ჰიულეტი და პაკარდი უკვე იმქვეყნად არიან, მაგრამ მათი პირმშო, რომლის აქციების ძირითად ნაწილს დამაარსებლების ოჯახები ფლობენ, ნამდვილად კვლავ არავის ჩამორჩება. 2002 წელს Hewlett-Packard-მა ფირმა Compaq-ი შეიერთა, რამაც თავდაპირველად გარკვეული ფინანსური პრობლემები შეუქმნა, მაგრამ HP-ი მალე წელში გაიმართა და ბაზრის კიდევ უფრო დიდი სექტორის ათვისება მოახერხა. ამჟამად კი, აღმასრულებელი დირექტორის მარკ ჰარდის ინიციატივით, Hewlett-Packard-ის მიერ კიდევ ერთი კონკურენტის, Gateway-ს შთანქმა ახლოვდება, რის შემდეგაც, HP-ის IBM-ის უკან ჩამოტოვების და თავის სფეროში გაბატონების კარგი შანსი ექნება.

ჯონ სნოუ რუსეთს საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლას უწინასწარმეტყველებს

ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა ფინანსთა მინისტრმა ჯონ სნოუმ, სანკტ-პეტერბურგში, "დიდი რვიანის" სამიტზე, მინისტრებთან შეხვედრისას რუსეთს საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლა უწინასწარმეტყველა. ამერიკელი მინისტრის პროგნოზით, რუსეთი ამ ორგანიზაციაში იმაზე ადრე შევა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. აქამდე ცნობილი იყო, რომ რუსეთი ამ ორგანიზაციაში 2006 წლის ივლისის ბოლოსთვის შევიდოდა. "ჩვენ ვისურვებდით, რომ რუსეთი საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში გვეხილა. ჩემი ვარაუდით, ამას სულ უფრო ვუახლოვდებით. იმედი გვაქვს, რომ "დიდი რვიანის" ლიდერების შეხვედრამდე მოხდება", - აცხადებს სნოუ. ფინანსთა მინისტრი მიიჩნევს, რომ მიუხედავად მოვლენების ასეთი პოზიციური შემობრუნებისა, რუსეთს ამ მიმართულებით გარკვეული სამუშაოების გატარება კიდევ მოუწევს. სნოუს თქმით, მან აღნიშნული საკითხები რუს მინისტრთან, ალექსეი კუდრინთანაც განიხილა. შეგახსენებთ, რომ 2006 წლის 6 ივნისს რუსეთ-ს საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის ოფიციალურ დოკუმენტს ხელი ავსტრალიამაც მოაწერა. ერთადერთი ქვეყანა კი, რომელზეც რუსეთის ბედია დამოკიდებული, ამერიკის შეერთებულ შტატებია. ჯონ სნოუმ დადებითი შეფასება მისცა რუსეთის იმ ინიციატივას, რომლის მიხედვითაც დასავლეთი ბუნებრივ აირს რუსეთიდან მიიღებს. "ჩვენ მოხარულები ვართ, რომ რუსეთი ნორმალური მოქმედების გეგმას უბრუნდება. ის ცდილობს ბოლოდროინდელი პოზიციები დათმოს," - აცხადებს ჯონ სნოუ.

აშშ-ს ბირჟაზე მრავალმხრივი ცვლილებები დაფიქსირდა







ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა მრავალმხრივი ცვლილება დაფიქსირდა. საბირჟო მოედნებზე არსებულ განწყობაზე გავლენა მოახდინა ნავთობის ფასის მომატებამ, ფედერალური სარეზერვო ფონდის მიერ ძირითადი საპროცენტო განაკვეთის კვლავ გაზრდის მოლოდინმა და რამდენიმე დამაიმედებელმა კორპორაციულმა სიახლემ.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,12 პროცენტით, 10.905,21 პუნქტამდე გაიზარდა. 0,55 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.123,4 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,09 პროცენტით, 1.251,18 პუნქტამდე მოიკლო.

ნავთობის ფასმა კვლავ მოიმატა, BP-ის თავკაცი კი "შავი ოქროს" მნიშვნელოვან გაიაფებას წინასწარმეტყველებს

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) გასული კვირის ბოლოს დაფიქსირებული ფასების ზრდის ტენდენცია გაგრძელდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 71,08 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 72,19 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა.

ამის მიზეზი ირანის მთავრობის მიერ ურანის გამდიდრების უფლების განხილვაზე მკაცრი უარის თქმა და რეგიონში ვითარების კვლავ დაძაბვა გახლდათ. გარდა ამისა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს ირანს ატომური იარაღის დასამზადებელი საიდუმლო ობიექტები აქვს, რაც, რა თქმა უნდა, სიტუაციას კიდევ უფრო გაამწვავებს.

ამასობაში კი ბრიტანული ნავთობკომპანია British Petroleum-ის თავკაცმა ლორდმა ჯონ ბრაუნმა ახლო მომავალში ნავთობის გაიაფება იწინასწარმეტყველა. მისი აზრით, ძალიან მალე ნავთობის ფასის მნიშვნელოვანი კლება მოსალოდნელი არ არის, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ 1 ბარელი "შავი ოქრო" 40 დოლარამდე, კიდევ უფრო შორეულ მომავალში კი 25-30 დოლარამდე გაიაფდება.

BP-ის ხელმძღვანელის აზრით, ამის მიზეზი კასპიის ზღვაში ნავთობის დიდი მარაგის დაზვერვა-აღმოჩენა და დასავლეთ აფრიკის ქვეყნებში ნავთობის მოპოვების განვითარება იქნება. გარდა ამისა, გავლენას მოახდენს "შავი ოქროს" მოპოვებისა და გადამუშავების ახალი, უფრო იაფი ტექნოლოგიების დანერგვა.

Forbes-ის უძვირესი კურორტები

განთქმულმა ჟურნალმა Forbes-მა მსოფლიოს უძვირესი და საუკეთესო კურორტების რეიტინგი გამოქვეყნა, სადაც ზაფხულში საუცხოო გარემოში, დიდძალი თანხის საფასურად დიდებულად დასვენება შეიძლება.

1. **Necker Island**, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები, 1 დღე-ღამით დასვენების მინიმალური ღირებულება 30 ათასი დოლარი.

მილიონერმა რიჩარდ ბრენსონმა ეს კუნძული 1982 წელს შეიძინა, თავისი ოჯახის დასასვენებლად ოთხი ვილა წამოჭიმა და მშვენიერი ბაღები გააშენა. როცა ბრენსონის ოჯახი იქ არ იმყოფება, კუნძული დამსვენებლებს იღებს.

2. **Musha Cay,** ბაჰამები, 24750 დოლარი.

150 აკრი ფართობის ეს კუნძული თეთრი, ქათქათა ქვიშის პლაჟებით და ოკეანის კრისტალურად სუფთა წყლითაა განთქმული. კუნძული ერთდროულად 24 ადამიანს იღებს, დასვენების მინიმალური ვადა სამი დღე-ღამეა.

3. **Casa Contenta,** მაიამი, 11600 დოლარი.

20 მილიონ დოლარად ღირებული უზარმაზარი ვილა Casa Contenta კომპანია ილაზზო-ს ეკუთვნის. როგორც წესი, მჭქეფარე საკურორტო პერიოდში ფასი 17 ათას დოლარამდე იზრდება. დასვენების მინიმალური ვადა სამი დღე-ღამეა.

4. **The Rania Experience,** მალდივის კუნძულები, 9500 დოლარი.

ეს ექსკლუზიური კურორტი ინდოეთის ოკეანეში მდებარე 7 აკრის ფართობის კუნძულზეა გაშენებული. აქ ერთდროულად მხოლოდ 9 ადამიანი ისვენებს.

5. **Sandy Lane,** ბარბადოსი, 8000 დოლარი.

1961 წელს ყოფილი პლანტაციების ადგილას 730 კვადრატული მეტრის ფართობზე გააშენებული ეს კურორტი კარიბის ზღვის აუზის გამორჩეულ დასასვენებელ ადგილად ითვლება. შუა სეზონისას ფასმა შესაძლოა 25 ათას დოლარს მიაღწიოს.

გარდა ამისა, ათეულში შევიდნენ: Altamer (ანგილია, 4714 დოლარი), Fregate Island Private (სეიშელის კუნძულები, 2450), Turtle Island (ფიჯი, 1632), Cayo Espanto (ბელიზი, 1395) და Vatulele Island Resort (ფიჯი, 1296).

Arecelor-მა "სევერსტალი" ირჩია

ევროპული მეტალურგიული კომპანია Arcelor-ის ხელმძღვანელობამ ინდური გიგანტის Mittal Steel-ის მიერ შთანთქმის შესახებ გაკეთებული წინადადება ოფიციალურად უარყო. მათი განცხადებით, ლაკშმი მიტალმა Arcelor სათანადოდ ვერ შეაფასა, რომლისთვისაც "სევერსტალთან" შერწყმა სტრატეგიულად გაცილებით მომგებიანია.

გარდა ამისა, დირექტორთა საბჭომ Arcelor-ის აქციონერებს მიუწოდა მხარი დაუჭირონ რუსულ "სევერსტალთან" შერწყმას და ამგვარად მსოფლიოს უმსხვილესი მეტალურგიული კონცერნის შექმნას. აქციონერთა შეკრება, რომელზეც რუსულ კომპანიასთან გარიგების თაობაზე კენჭისყრა გაიმართება, მიმდინარე წლის 30 ივნისს არის დანიშნული.

თუმცა, იქამდე Mittal Steel-ს, რომელიც ამ დროისათვის Arcelor-ის ერთ აქციაში 34,4 ევროს, რაც მთლიანად 25,8 მილიარდ ევროს შეადგენს, იხდის, შეუძლია თავისი წინადადება აქციაზე 44 ევრომდე გაზარდოს. ამ შემთხვევაში ევროპული კომპანიის დირექტორატი ტენდერს გამოაცხადებს.

აღსანიშნავია, რომ Arcelor-ის ხელმძღვანელობის მიერ ამ განცხადების გაკეთების შემდეგ Mittal Steel-ის აქციები 2,4 პროცენტით დაეცა.

აპლანტი
უსაფრთხოების სამსახური

თქვენი სიმშვიდის საქმეში!

აფრიკის დასახლებაში "სახალხო ბანკის" კიდევ ერთი სერვის-ცენტრი გაიხსნა

დღეს თბილისში, აფრიკის დასახლებაში "სახალხო ბანკის" კიდევ ერთი სერვის-ცენტრი გაიხსნა, რომელიც მოსახლეობას სრული სახის საბანკო მომსახურებას გაუწევს.

ბანკის ხელმძღვანელობასთან ერთად ჭიჭინაძის ქუჩის N27-ში ფილიალის გახსნას თბილისის პრემიერი თემურ ქურხული და სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი მიხეილ მაჭავარიანი ესწრებოდნენ. როგორც სერვის-ცენტრის გახსნის ცერემონიალზე მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა: "აღნიშნული სერვის-ცენტრის გახსნა აფრიკის დასახლებაში ძალიან მნიშვნელოვანია, გასულ ზამთარში მოსახლეობამ გვთხოვა ფილიალი გაგვეხსნა მათთვის, რადგან მათ კომუნალური გადასახადების გადასახდელად მოსკოვის პროსპექტზე ჩასვლა უწევდათ, შესაბამისად აღნიშნული ფილიალი უკვე მთლიანად აღმოფხვრის აფრიკის დასახლების მოსახლეობის პრობლემას. აქვე აღსანიშნავია, რომ ამ დასახლებაში "სახალხო ბანკი" ერთადერთი საბანკო წარმომადგენელია, რომელიც სრულ საბანკო მომსახურებას გაუწევს მოსახლეობას, რაც შესაბამისად საგრძნობლად გაამარტივებს მათ მდგომარეობას."

თბილისის პრემიერმა თემურ ქურხულმა კმაყოფილება გამოთქვა "სახალხო ბანკის" მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ.

თბილისის პრემიერმა და სამგორის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბანკის ხელმძღვანელობასთან ერთად სამგორის რაიონში მდებარე "სახალხო ბანკის" ყველა ფილიალი შემოიარეს და გაწეული სამუშაო დადებითად შეაფასეს.

უახლოეს ერთ თვეში თბილისის მასშტაბით დამატებით კიდევ 8 ფილიალი გაიხსნება, ასევე დედაქალაქის რამდენიმე უბანში მინი-ბანკები, 24-საათიანი მომსახურების პავილიონები ჩაიდგმება. პრეზენტაციაზე "სახალხო ბანკი" გენერალურმა დირექტორმა გიორგი გოგუაძემ განაცხადა, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე დაგეგმილია ერთი მილიონი სოციალური პლასტიკური ბარათის ემიტირება, რაც პენსიონერების მომსახურების დონეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. ნებისმიერ პენსიონერს ექნება შესაძლებლობა, პლასტიკური ბარათის მეშვეობით პენსია მიიღოს "სახალხო ბანკის" ნებისმიერ ფილიალსა და პავილიონებში, ე.წ. მინი-ბანკში, სადაც განთავსებული იქნება ბანკომატები.

რეფორმები ელექტროენერგეტიკაში

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ამ განცხადებებმა საზოგადოების სამართლიანი პროტესტი გამოიწვია: საქართველოში ელექტროენერგიის ტარიფი არ იყო დაბალი - ელექტროენერგიაზე ფასების ზრდა ყოველთვის წინ უსწრებდა სხვა დანარჩენ საქონელზე ფასების ზრდას. თუმცა იმის დასამტკიცებლად, რომ ელექტროენერგიის ფასი სახელმწიფო სუბსიდიას არ საჭიროებს, სხვა უფრო მნიშვნელოვანი საფუძვლიანი მტკიცებულებებიც არსებობს. შეგვიძლია ვისარგებლოთ ფიზიკის ცნობარის მონაცემებით. ვიმედოვნებთ, რომ ეს არგუმენტი ჩვენი მთავრობის წევრებისათვის უფრო სარწმუნო იქნება. შესადარებლად ავიღოთ ბუნებრივი გაზი, ელექტროენერგია, დიზელის საწვავი, ბენზინი და შეშა და ერთმანეთს შევადაროთ ერთნაირი რაოდენობის წვის სითბოს მისაღებად დახარჯული შესაბამისი რესურსის ღირებულებები (რესურსები შეფასებულია დღეს მოქმედი საბაზრო ღირებულებით).

აღმოჩნდა, რომ პირობითად 31,24X106 ჯ. სითბოს მისაღებად საჭიროა: 34,0 თეთრის - ბუნებრივი გაზი; 130,0 თეთრის - ელექტროენერგია; 130,2 თეთრის - დიზელის საწვავი; 154,0 თეთრის - ბენზინი და 20,2 თეთრის - შეშა. ამ ციფრებიდან ჩანს, რომ ყველაზე იაფი საწვავი რესურსებია შეშა და ბუნებრივი გაზი, ხოლო ელექტროენერგიის ფასი (პირობით საწვავში) გაუტოლდა დიზელის საწვავის ფასს. აქ უკვე იბადება კითხვა, არის კი ელექტროენერგიის ფასი სუფსიდირებული? რათქმაუდა არა. განცხადებები ელექტროენერგიაზე დაბალი ტარიფის შესახებ ზერელე და დაუსაბუთებელია.

. მეორე - დარგის რენტაბელობის შესაბამისად ტარიფის შემცირების მნიშვნელოვანი რეზერვები არსებობს თვით ელექტროენერგეტიკის სექტორშიც. სემეკ-ის წლიურ ანგარიშებში ელექტროენერგეტიკის თანამედროვე მდგომარეობა შემდეგნაირადაა დახასიათებული: **ენერგოსისტემა იძულებით ავარიულ რეჟიმში მუშაობს, დასაშვებზე გაცილებით დაბალ სიხშირეებსა და ძაბვებზე; მწვავე დეფიციტია სარეზერვო სიმძლავრეებში; მეზობელ ენერგოსისტემებთან მუშაობს იზოლირებულ რეჟიმში; სასისტემო ავტომატიკა და სიხშირული განტვირთვა შეუსაბამოა სისტემის მუშაობის სხვადასხვა რეჟიმებთან; ენერგოსისტემის ობიექტების სასისტემო და ავარიის საწინააღმდეგო ავტომატური მოწყობილობებით აღჭურვა შეუსაბამოა "ელექტროსადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესებით" გათვალისწინებულ სტანდარტებისა და ნორმების მოთხოვნებთან; დაბალია დადგმული სიმძლავრეების გამოყენების კოეფიციენტი; პრივატიზებულ ჰესებში, პრაქტიკულად, არ ხდება სარეაბილიტაციო სამუშაოები; ელექტროგადაცემის ობიექტების ძირითადი მოწყობილობების და დისპეტჩერული მართვის საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილი ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი და მოძველებულია; დაგეგმილი სარემონტო სამუშაოები ნაწილობრივ ან საერთოდ შეუსრულებელი რჩება; იზრდება ექსპლოატაციის შესაძლებლობის და იმედიანობის შემდგომი შემცირების რისკი.**

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებების 50 პროცენტიც რომ გამოსწორებულიყო, ტარიფის მომატების საკითხი დღის წესრიგში არ დადგებოდა. ამასთან, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სემეკ-ის მიერ შედგენილი ანგარიშები ნაკლებად თვითკრიტიკულია და ყრილობისადმი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშს უფრო მოგვაგონებს. კერძოდ, მასში მრავლად გვხვდება გამოთქმები: "საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ ლიცენზირებულ საწარმოთა საქმიანობის ნორმალურად წარმართვისათვის გაატარა ყველა შესაძლო ღონისძიება, შეიმუშავა და წარადგინა...", შეიმუშავა და მიმართა...", "შეიმუშავა და უზრუნველყო..." და ა.შ. "ყველა ღონისძიებების გატარების" შედეგად სემეკ-მა ელექტროენერგიის ტარიფი მაინც გაზარდა.

მესამე - ელექტროენერგიაზე ფასის მომატება მართლაც გამოიწვევს ელექტროენერგიის დაზოგვას, ამასთან, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის სიბნელეში დატოვებას. კერძოდ, საერთაშორისო პრაქტიკით დადასტურებულია, რომ ელექტროენერგიის ტარიფის 30-დან 50 პროცენტამდე მომატება (ჩვენს პირობებში ქ. თბილისის მოსახლეობისათვის ტარიფი გაიზარდა 30 პროცენტით, ხოლო რეგიონების მოსახლეობისათვის - 80 პროცენტით) იწვევს ელექტროენერგიის 20-დან 30 პროცენტამდე დაზოგვას, ანუ მოხმარების შემცირებას. შემცირება, ძირითადად, სოციალურად დაუცველი და მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ფენების მიერ ელექტროენერგიის მოხმარების შემცირების ხარჯზე მიიღწევა. მართალია, მთავრობა ირწმუნება, რომ მოსახლეობის აღნიშნული ნაწილისათვის იგი გასცემდა ყოველთვიურ კომპენსაციას, მაგრამ როგორც ეს შემდგომში გახდა ცნობილი, არ იყო მოფიქრებული ის კრიტერიუმები და ტექნოლოგია, რის მიხედვითაც მოხდებოდა შესაბამისი კომპენსაციების გაცემა.

შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ კრიტიკა ადვილი საქმეა, მთავარი კი შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის ძიებააო. ჩვენი მიზანიც სწორედ ეს გახლავთ. ელექტროენერგეტიკაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა სანახევროდ განხორციელებული რეფორმების შედეგია. თუ რომელიმე დარგში რეფორმა სანახევროდ ტარდება, ამით ის დარგი ან მთლიანად ინგრევა, როგორც ეს მოხდა საქართველოს მრეწველობაში, ან კიდევ დარგს აქვს მიდრეკილება, დაუბრუნდეს თავის საწყის მდგომარეობას, როგორც ეს ხდება საქართველოს ელექტროენერგეტიკაში. პრობლემის აღქმის გაადვილების მიზნით დავაკვირდეთ ბუნებრივი მონოპოლიების რეფორმირებასთან დაკავშირებულ მოვლენებს და ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების შედეგებს:

ჩვეულებრივი მონოპოლიებისაგან განსხვავებით, ბუნებრივ მონოპოლიებს მიეკუთვნება: ელექტროენერგეტიკა, გაზმომარაგება, წყალმომარაგება და კანალიზაცია, სარკინიგზო ტრანსპორტი, აეროსანავიგაცია, მილსადენი, კავშირგაბმულობა და ტელეკომუნიკაცია. ამ დარგების რეფორმირება ხორციელდება არა მხოლოდ პოსტკომუნისტური ეკონომიკის ქვეყნებში, არამედ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებშიც. რეფორმების დასაწყისად მიჩნეულია მე-20 საუკუნის 90-იანი წლები და იგი დღესაც გრძელდება. რეფორმების ძირითადი არსი შემდეგში მდგომარეობს: **პირველი -** ბუნებრივი მონოპოლიების მართვაში სახელმწიფოს როლის თანდათანობით შესუსტება და კერძო კაპიტალის მონაწილეობის გაძლიერება, ანუ სახელმწიფო და კერძო კაპიტალის პარტნიორობა მართვაში**. მეორე -** ბუნებრივი მონოპოლიის დანაწილება და კონკურენტული გარემოს შექმნა. ეს თეზისი ითვალისწინებს ბუნებრივი მონაპოლიიდან უშუალო მონაპოლიური "ბირთვის" გამოყოფას, რომლის შემდგომი სტრუქტურული დანაწილება ტექნიკური მოსაზრებების გამო შეუძლებელია, ხოლო დანაწევრებულ რგოლებს შორის საქმიანობა წარიმართება საბაზრო პრინციპების შესაბამისად. **მესამე -** გლობალიზაციის ზემოქმედებით მონაპოლიური მდგომარეობის შესუსტება და კონკურენციის გაძლიერება - გლობალიზაცია და ბაზრის მასშტაბების ზრდა თავისთავად წარმოშობს ახალ მიწოდებელს, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს კონკურენტული გარემოს შექმნას.

მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია ბუნებრივი მონოპოლიების რეფორმირების რამდენიმე ვარიანტი. ყველა მათგანი ეფუძნება ბუნებრივი მონოპოლიის დანაწილების პრინციპს საწარმოო და ინფრასტრუქტურის სექტორებად. ამასთან საწარმოო სექტორში პროდუქციის შექმნა ხორციელდება, ხოლო ინფრასტრუქტურის სფეროში ქსელური მომსახურება. ზემოთაღნიშნული პრინციპიდან გამომდინარე, ცნობილია ბუნებრივი მონოპოლიების რეფორმირების სამი მოდელი: **პირველი - ვერტიკალურად ინტეგრირებული მოდელი**, რომელიც გულისხმობს როგორც საწარმოო, ისე ინფრასტრუქტურის სექტორების ერთი მონოპოლისტის ხელში ინტეგრაციას. ცხადია, ამ შემთხვევაში არ არსებობს კონკურენცია და მონოპოლისტის უფლებები ბაზარზე განუზომლად დიდია. **მეორე - ვერტიკალური დანაწილების მოდელი**, რომელიც გულისხმობს ბუნებრივი მონოპოლიის დანაწილებას საწარმოო და ინფრასტრუქტურის სექტორებად. ამასთან, საწარმოო სფეროში საქმიანობა კონკურენციულ გარემოში ხორციელდება, ხოლო ინფრასტრუქტურის სექტორში მონპოლიური მდგომარეობა რჩება. ამ შემთხვევაში ინფრასტრუქტურის სფეროში მოქმედ მონოპოლიას უფლება არ აქვს, შევიდეს საწარმოო სფეროში და ზემოქმედება მოახდინოს იქ არსებულ კონკურენტულ გარემოზე. ამისათვის წესდება მკაცრი საკანონმდებლო ზღვარი. **მესამე - ვერტიკალური ინტეგრაცია პლუს კონკურენცია.** ამ შემთხვევაში ინფრასტრუქტურის სექტორში მოქმედი მონოპოლისტი უფლებამოსილია ეწეოდეს საქმიანობას საწარმოო სფეროშიც. იმისათვის, რომ გამორიცხოს ინფრასტრუქტურის სექტორის მონოპოლისტის მიერ წარმოების სფეროში თავისი საწარმოს ლობირება და სხვების დისკრიმინაცია, გამოიყენება მონოპოლისტი კომპანიის დამოუკიდებელ სამეურნეო სუბიექტებად გამოყოფის მეთოდი. ცნობილია, რომ ამგვარი გაყოფაც ვერ უზრუნველყოფს ბაზარზე ფასების დისკრიმინაციის შემთხვევების თავიდან აცილებას, რაც ფასების რეგულირების აუცილებლობას წარმოშობს.

პრაქტიკაში ცნობილია ბუნებრივი მონოპოლიების პროდუქციაზე ფასების რეგულირების რამდენიმე ვარიანტი. **პირველი - ორკომპონენტიანი ტარიფი.** იგი შედგება ტარიფის ფიქსირებული ნიწილისა და ცვლადი ნაწილისაგან. ყველაზე ფართოდ ტარიფის აღნიშნული ფორმა კავშირგაბმულობისა და ტელეკომუნიკაციის დარგებში გამოიყენება. **მეორე - ჯვარედინი ტარიფი.** იგი გულისხმობს მომხმარებლების სხვადასხვა კატეგორიისათვის განსხვავებული ტარიფების დაწესებას. ტარიფების ამ ფორმის გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის სოციალური დაცვისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის. საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ დარგის რენტაბელობის უზრუნველყოფა მომხმარებელთა რომელიმე კატეგორიის ხარჯზე არაეფექტური, გაუმართლებელი მეთოდია. **მესამე - საფეხურებრივი ტარიფი.** იგი ითვალისწინებს პროგრესული სატარიფო განაკვეთის შემოღებას. კერძოდ, რაც უფრო დიდია ელექტროენერგიის მოხმარება, მით უფრო მაღალია სატარიფო განაკვეთი. ცხადია, საფეხურებრივი ტარიფის გამოყენებაც შეიძლება გახდეს მთელი ეკონომიკის, უწინარეს ყოვლისა კი, ენერგოტევადი დარგების განვითარების მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი. **მეოთხე - ფასების ლიბერალიზაცია.** ფასების სახელმწიფო რეგულირება ხშირ შემთხვევაში იწვევს ქვეყნის ეროვნული რესურსების ფლანგვას. ამასთან, არსებობს მთელი რიგი თეორიული მტკიცებებისა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ფასების რეგულირებას ქვეყნისათვის უფრო მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე სიკეთე. ფასების ლიბერალიზაციის სასარგებლოდ მეტყველებს დიდი ბრიტანეთის, აშშ-ს, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის და ევროპის ქვეყნების გამოცდილებები. კერძოდ, ამ ქვეყნების ბუნებრივი მონოპოლიების პროდუქციაზე ფასების ლიბერალიზაციის ღონისძიებების გატარებამ უზრუნველყო ამ დარგებში ახალი კომპანიების შემოსვლა და კონკურენციის გამწვავება. ამის შედეგად ფასები ბუნებრივი მონოპოლიების პროდუქციაზე 30 პროცენტით შემცირდა, ხოლო მომსახურების ხარისხი კი, პირიქით, მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ფასების ლიბერალიზაცია მჭიდრო კავშირშია ბუნებრივი მონოპოლიების ინსტიტუციონალურ რეფორმირებასთან. ცნობილია ბუნებრივი მონოპოლიების ინსტიტუციონალური რეფორმირების სამი ალტერნატივა. **პირველი - სახელმწიფოს მიერ მართვა, მეორე - კერძო სექტორის მიერ მართვა და მესამე - სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობა მართვაში.** ამ ბოლო შემთხვევაში ბუნებრივი მონოპოლია სახელმწიფო საკუთრებაში რჩება, მაგრამ იგი მთლიანად კერძო სექტორის მართვაშია. საჭიროა აღინიშნოს, რომ დასავლეთის ქვეყნების მიერ სახელმწიფო და კერძო კაპიტალის პარტნიორობა მართვაში პრივატიზაციის საუკეთესო ფორმად არის აღიარებული, ხოლო მის ყველაზე აპრობირებულ ფორმას კონცესია წარმოადგენს. ასე მაგალითად, 1990-2000 წლებში სახელმწიფო და კერძო პარტნიორობის პროექტის ფარგლებში ბუნებრივ მონოპოლიებში განხორციელებული ინვესტიციების 60 პროცენტზე მეტი კონცესიებზე მოდიოდა. კერძო კომპანია, რომელიც სახელმწიფოსაგან საწარმოს იძენს კონცესიის ფორმით, არ იძენს ამ ობიექტზე საკუთრების უფლებას, მაგრამ იგი იძენს უფლებას დამოუკიდებლად მართოს და განკარგოს პროდუქცია, რომელიც კონცესირებულ საწარმოშია შექმნილი.

ეს მოკლე ექსკურსი და ბუნებრივი მონოპოლიების რეფორმირების ალტერნატიული ვარიანტების განხილვა საქართველოს ელექტროენერგეტიკაში განხორციელებული რეფორმების უკეთ გაანალიზებისთვის დაგვჭირდა. რეფორმები ელექტროენერგეტიკაში სპონტანურად, შესაბამისი პროგრამის და სამართლებლივი ბაზის გარეშე დაიწყო. პირველი და ძირითადი, რაც რეფორმების დასაწყისში განხორციელდა, გახლდათ ელექტროენერგეტიკის, როგორც ერთიანი დარგის, დეზინტეგრაცია. განხორციელდა მართვის ფუნქციების დეცენტრალიზაცია, ანუ ერთიანი ენერგეტიკული დარგი დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის და განაწილების სექტორებად დაანაწილეს. ამ ცვლილებებმა დარგი დაანგრია. შედეგად, მართვის ცენტრალური რგოლის შესუსტების გამო არ არსებობდა საპროექტო სიმძლავრით მომუშავე არც ერთი ელექტროსადგური. ქვეყანაში არსებული კრიზისისა და მძიმე სოციალური ფონის გამო მთლიანად მოიშალა დისტრიბუციის სისტემა.

ფინანსური რესურსების ქრონიკული დეფიციტის პირობებში ყურადღების გარეშე დარჩა კაშხლები, სადერივაციო არხები და გვირაბები, ძალოვანი მანქანები და აპარატურა-მოწყობილობები. მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ელექტროსაქსელო მეურნეობაში - სასისტემო ავტომატიკის, სარელეო დაცვისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის მხრივ. ელექტროსადგურებსა და გადაცემის ქსელებში სარელეო დაცვის გარეშე მუშაობის შედეგად გახშირდა ავარიის შემთხვევები. დაირღვა სიჩქარისა და ძაბვის რეგულატორების მახასიათებლები და მათი უმეტესობა ხელით მართვის რეჟიმში გადაიყვანეს. ყოველივე ამის შედეგად ხშირი იყო მარტივი ავარიები, რომლებიც არცთუ იშვიათად სისტემურ ავარიებს იწვევდა და ადგილი ჰქონდა ქვეყნის სრულ ჩაბნელებას.

შექმნილ ექსტრემალურ სიტუაციაში ხელისუფლებამ გამოძებნა კრიზისიდან გამოსავლის გზა - ელექტროენერგეტიკული სექტორის საწარმოების პრივატიზაცია. 1994 წელს მიიღეს საქართველოს კანონი "ენერგეტიკის შესახებ". იგი განსაზღვრავდა ენერგეტიკის ადგილს საქართველოს ეკონომიკაში. მისი ფუნქციონირების სამართლებრივ, ეკონომიკურ, სოციალურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს. კანონის თანახმად, ენერგეტიკის დარგის ობიექტები დაექვემდებარა განსახელმწიფოებრიობას, მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პრივატიზაცია მცირე ჰესების გაყიდვით დაიწყო. 1995 წლის პირველი ივლისის მდგომარეობით პრივატიზებული იყო 14 მცირე ჰესი: სიონი, ტირიფონი, მისაქციელი, იგოეთი, დმანისი, ხერთვისი, კახარეთი, საცხენისი, ჩითახევი, დასბაში, ბუჟუა, კაბალი, მარტყოფი და თეთრი ხევი. პრივატიზაციისათვის სხვადასხვა ფორმები გამოიყენეს: საკონკურსო გაყიდვა, აუქციონი, სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბება და პირდაპირი მიყიდვა. ობიექტები, ძირითადად, საკონკურსო გაყიდვის წესით გასხვისდა. 1998 წლიდან ენერგეტიკული ობიექტების ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის პროცესი დაიწყო. კერძოდ, ჩატარდა თბილისის გამანაწილებელი კომპანიის "თელასის" პრივატიზაციის საერთაშორისო ტენდერი, რომელშიც ამერიკულმა კომპანიამ AES-მა გაიმარჯვა. პრივატიზაციის გზით კომპანია AES-მა 1999-2000 წლებში გარდაბნის მე-9 და მე-10 ენერგობლოკები შეისყიდა. პარალელურად მიმდინარეობდა მოლაპარაკება "ხრამი-I" და "ხრამი-II" ელექტროსადგურების ოცდახუთწლიანი პერიოდით მართვის უფლებით გადაცემისათვის, რომელიც ასევე წარმატებით დასრულდა. ანალოგიურად მენეჯმენტ-კონტრაქტების გაფორმებით დასრულდა მოლაპარაკებები სს "ელექტროგადაცემის", შპს "ელექტროდისპეტჩერიზაცია 2000"-ის და "საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის" უცხოური კონპანიებისათვის 5 წლით მართვის უფლებით გადაცემის შესახებ.

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲖᲔ

ამინდი

	13/06	14/06	15/06
კიევი	16	17	20
რიგა	23	21	22
ვილნიუსი	23	24	23
მოსკოვი	24	25	26
მინსკი	23	25	26
პარიზი	32	25	21
რომი	27	27	26
ლონდონი	25	21	23
მადრიდი	25	27	27
ბონი	33	22	18
ვარშავა	26	26	26
ათენა	23	25	26
ბერნი	29	30	24
ამსტერდამი	28	18	16
ოსლო	23	20	20
ანკარა	25	25	28
ვარნა	23	20	22
დელი	48	47	46
ტოკიო	27	25	25
კოპენჰაგენი	23	16	17
ბაქო	29	31	33
ერევანი	35	38	36
ასტანა	21	18	14
ჰელსინკი	22	21	24
დუბლინი	17	20	22
ლისაბონი	24	25	25
პრაღა	27	25	18
სოფია	20	23	23
ბუდაპეშტი	27	30	22
ბუხარესტი	27	23	25

24 საათი

© გაზეთი 24 საათი

სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

ფედერერი მაინც პირველია
C4

შოთა არველაძე - საქართველოს წლის საუკეთესო ფეხბურთელი
C3

ღიმილით გავაფერადოთ კომპლექსები
C2

ღიმით თავისი საქმე იცის

ანდრეა პირლოს თანაგუნდელები გოლს ულოცავენ.

მარჩელო ლიპიმ ალესანდრო დელ პიერო სათადარიგოთა სკამზე დატოვა და ტრავმამოშუშებული ფრანჩესკო ტოტი მინდორზე გაამწესა. წინ კი ორი ფორვარდი დააყენა - ტონი-ჯილარდინო და ამ დუეტმა დიდი თავსატეხი გაუჩინა განის ნაკრების დაცვას.

იტალიელთა განუწყვეტელმა იერიშებმა შედეგი მე-40 წუთზე გამოიღო, როცა ანდრეა პირლომ შესანიშნავი დარტყმა შეასრულა. იტალიელებს არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ იერიშები, რადგან მას შემდეგ, რაც ჩეხებმა - 3:0 დაამარცხეს აშშ, ჯგუფში პირველ ადგილზე გასასვლელად იტალიას, რაც შეიძლება დიდი ანგარიშით გამარჯვება სჭირდებოდა, იმისთვის, რომ ჩეხებთან შეხვედრაში ფრე „სკუადრა აძურას“ სასარგებლოდ ყოფილიყო.

პირველი ადგილი კი იტალიას ძალიან სჭირდება, რათა მერვედფინალში ბრაზილიასთან შეხვედრა აირიდოს თავიდან. ამის მიუხედავად ლიპის შეგირდებმა მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულეს მწვრთნელის დავალება. 2:0 მოიგეს. არადა მეკარის ყოჩაღი თამაში რომ არა ანგარიში გაცილებით დიდი შეიძლება ყოფილიყო. საკმარისია ითქვას, რომ იტალიელებმა განელთა მეკარე კინგსტონის კარის ჩარჩოში 13 დარტყმა შეასრულეს. საბოლოოდ იტალიამ მოიგო და ნათელი გახდა, რომ ამ ჯგუფიდან მერვედფინალში ჩეხეთისა და იტალიის გუნდები გავლენ. ერთადერთი სამწუხარო ამბავი „სკუადრა აძურას“ ბანაკში ის არის, რომ ტრავმის გამო მინდორი დატოვა ფრანჩესკო ტოტიმ. რამდენად სერიოზულია მისი ტრავმა ახლო მომავალში შევიტყობთ.

იტალია - განა 2:0

იტალია: ბუფონი, ძაკარდო, გროსო, დე როსი, კანავარო, ტონი (დელ პიერო, 82`), ტოტი (კამორანეზი, 56`), ჯილარდინო (იაკინტა, 64`), ნესტა, პეროტა, პირლო.
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
განა: კინგსტონი, გიანი (ტაჩი-მენსა, 89`), კუფური, მენსა, პაპოე (შილა, 46`), ესიენი, აპია, მუნტარი, ამოა (პიმპონგი, 68`), პანტსილი, ადო.
მწვრთნელი: რატომირ დუიკოვიჩი
გოლები: 1:0 - პირლო (40`), 2:0 - იაკინტა (83`).
გაფრთხილება: დე როსი, მუნტარი, კამორანეზი, გიანი, იაკინტა.
მსაჯი: კარლოს სიმონი (ბრაზილია)
18 კარში დარტყმა 14
13 კარისკენ დარტყმა 4
8 ჯარიმა 22
12 კუთხური 4
3 თამაშგარე 3
47 ბურთის ფლობა 53
მატჩის საუკეთესო მოთამაშე: პირლო (იტალია)

სულ მალე დაიწყება წლის მთავარი სპორტული მოვლენა - მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

საზოგადოებრივი არხი და გადაცემა "არენა" ცხრიდან თოთხმეტი წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს დიდ სპორტულ ვიქტორინაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობს, რომელიც ჩემპიონატამდე სამი კვირით ადრე, 15 მაისს დაიწყება.

ვიქტორინაში გამარჯვებული ბავშვები ფეხბურთის ბურთებით დასაჩუქრდებიან და ასევე გამოვლინდება კვირის საუკეთესო კომენტატორი.

გამარჯვებულებს შეარჩევს კომპეტენტური ჟიური, რომელიც სპორტული ჟურნალისტებითა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული.

სამი გამარჯვებული ბავშვი მსოფლიო ჩემპიონატის შემაჯამებელ გადაცემაში მიიღებს მონაწილეობას. მათ აგრეთვე საჩუქრად გადაეცემათ დვდ-პლეიერები და საზოგადოებრივი არხის პროდუქცია დვდ-დისკებზე.

პირველ ადგილზე გასული ბავშვი დასაჩუქრდება ორკაციანი საგზურით ურეკში, სასტუმრო "კოლხიდაში."

მიიღეთ მონაწილეობა ვიქტორინაში!
უყურეთ ფეხბურთს!
უყურეთ პირველს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება: 21 33 67

სარეკლამო სამსახური: 21 33 54, 33 23 11

სპორტული რედაქცია: 33 17 15



ღიმილით გავაფერადოთ კომპლექსები

ეს რა აჟიოტაჟია თბილის-ქალაქში, რა ფერები, რა ემოციები! ერთი პირობა მეგონა, რომ მსოფლიო ჩემპიონატი საქართველოში გადმოიტანეს. ბევრი რატომღაც გაღიზიანებულია ამ აქციებით, ესაო, ისაო, ქვეყანა მურტალ დღეშია და ამათ რა ეზიმებათო, რა დროს ფეხბურთიაო და ასე შემდეგ. ეტყობა, მაინცდამაინც სოროსის ამოძირკვის, მასონების დაპატიმრების ან რაიმე კრეტინული ფილმის არგაშვების მოთხოვნით უნდა გაიმართოს უარყოფითად დამუხტული აქცია, რომ ერის უმრავლესობა კმაყოფილი დარჩეს. ჩვენ უკვე მივეჩვიეთ ბნელ ფერებს, წივილ-კივილს, ძალით გულის წასვლებს, პირდაპირ ტრანსლაციებს პანაშვიდებიდან საინფორმაციო გამოშვებებში და გადავიქცით ხარებად, რომლებსაც ძალიან აღიზიანებთ ჭყეტელა ფერები და რომლებიც ცუდისგან უფრო მეტ სიამოვნებას იღებენ, ვიდრე კარგისგან.

ის, რაც დღეს თბილისში ხდება, ოდესღაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო - ქვეყანა სწავლობს სწორად გულშემატკივრობას. საწყენი მხოლოდ ისაა, რომ ეს პროცესი ქართველებისა და საქართველოს ნაკრების ურთიერთობაში კი არა, სხვების ქომაგობაში დაიბადა. თუმცა, რაც მთავარია, დაიბადა და დარწმუნებული ვარ, ეს საფეხბურთო ზეიმი 2 სექტემბრის და მომდევნო საშინაო მატჩების გენერალური რეპეტიციაა.

ფრანგებს ზუსტად ასეთი ჟრიამულით უნდა დავხვდეთ, უნდა დავივიწყოთ სტადიონზე უჟმური სახეებით სიარულის და წინასწარ ცუდი განწყობის შექმნის ხავსიანი ტრადიცია. აი, ჩემპიონატი ახალი დაქოქილია და გთხოვთ დააკვირდეთ, როგორ გულშემატკივრობენ ქართველები ბრაზილიელებს, არგენტინელებს, ინგლისელებს - 90 წუთის განმავლობაში ვამხნევებთ „ჩვენებს“, არავითარი გინება, პირიქით, ბოლო წამამდე გამხნევება, გვერდში დგომა, ერთგულება. და რა ხდება თბილისში, როცა ნაკრები თამაშობს? მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ასე სწრაფად არ იკიდებენ ფეხებზე თავიანთ რჩეულებს, არსად ასე სწრაფად არ იწყებენ უშვერი სიტყვებით გინებას და არსად ასე არ ეზიზღებათ თანამემამულეები.

იყო დრო, ქართველ გულშემატკივარს ყველაზე აზრზე მოსულ ქომაგად აღიარებდნენ აქ ჩამოსული სტუმრები. ახლა წარმოიდგინეთ, რა ამბავს ჩაიტანდნენ სამშობლოში თურქები, რომლებმაც ტრაპიზონში ზღაპრულად გვიმასპინძლეს, ხუთჯვრიანი დროშები ხმისამოუღებლად გვაფრიალებინეს, ჩვენ კი თბილისში ყველაფერი ვაგინეთ და რაღაცებიც ვესროლეთ. მხოლოდ იმიტომ, რომ მოგვიგეს. მხოლოდ იმიტომ, რომ დაკომპლექსებულები ვართ.

ახლა კი ეს კომპლექსები ირღვევა, ფერები და ღიმილი მატულობს და მე ეს ძალიან მიხარია.

■ ■ ■

მიხარია ისიც, რომ მსოფლიო ჩემპიონატი გადასარევად დაიწყო. ობიექტური მიზეზების გამო ამ სვეტში მხოლოდ პირველი ორი დღის თამაშებზე მოვასწრებ აზრის გამოთქმას, თუმცა ეს ორი დღეც საკმარისია იმის სათქმელად, რომ ერთ-ერთი საუკეთესო ჩემპიონატი დაიწყო.

გახსნამ ვერ გაქაჩა, მაგრამ პირველმა თამაშმა ეს სულ გადამავიწყა. გერმანელებისგან მსგავს სილაღეს ნამდვილად არ ველოდი და არც ის მეგონა, რომ ასი წლის ვანჩოპეს ასე ანავარდებდნენ. გერმანიამ არაგერმანული ფეხბურთი ითამაშა, მოტივტივებული ზურგით და მძლავრი, მაგრამ ოდნავ ერთფეროვანი შეტევით, რამაც გაამართლა მოყანყალებულ კოსტა-რიკასთან, მაგრამ ნამდვილად არ გაამართლებს თუნდაც ეკვადორთან. საკითხი ასე დგას - თუ იურგენ კლინსმანს მხოლოდ ეს ტაქტიკური მონახაზი აქვს შემუშავებული, შორს ვერ წავა.

მეორე დღეს ერთბაშად ორი ფავორიტი და ერთი ქვეფავორიტი ვიხილეთ. არა მგონია, რომ 10 ივნისის შემდეგ ინგლისის ნაკრების რომელიმე გულშემატკივარი კარგ გუნებაზე იყოს. კი, პირველი მატჩი ყოველთვის ძნელი სათამაშოა და იქ მოპოვებული სამი ქულა ბევრს ნიშნავს, მაგრამ იმ დღეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა მთელი სიდიადით, რომ სვენ გორან ერიქსონი ნულია. თუნდაც იმიტომ, რომ ძალიან უხეიროდ იყენებს თავის ჯოკერს - თავზარდამცემ შუა ხაზს. გარდა ამისა: ინგლისელებს დიდი პრობლემები აქვთ დაცვის ფლანგებზე (განსაკუთრებით მარჯვნივ, სადაც ნევილი ერთხელ გვიან ავიდა ოფსაიდის შექმნისას და თანამსაჯი რომ არ შემცდარიყო, მეკარესთან პირისპირ დარჩენილი ვალდესი აუცილებლად გაიტანდა) და შეტევაში. ყველა ელოდება რუნის გამოჩენას, მაგრამ რა უნდა ქნას 19 წლის ბიჭმა, თუნდაც ძალიან ნიჭიერმა, რომელსაც ტრავმის გამო გაუცდა მოსამზადებელი პერიოდი და კვლავაც სკამზე ზის?

შვედებისგან მეტს ველოდი, მაგრამ საოცარი სწორხაზოვნებისა და მოწინააღმდეგის არნახული ჯიგრის გამოისობით, მათ ორი უძვირფასესი ქულა ნაგავში გადააგდეს. ტრინიდადელთა ყურებისას კი გამახსენდა ღრმა ბავშვობის ფრთიანი ფრაზა - მატორიანი თხა.

რაც შეეხება არგენტინა-კოტ დ`ივუარს, ეს იყო ორი კარგი გუნდის დაპირისპირება, რომელთაგან ერთს ძალიან მაღალი კლასი აქვს, მეორეს კი ის საერთოდ არ გააჩნია. თამაში სამხრეთამერიკელებმა ცოტა მძიმედ დაიწყეს, ძლივს გადართეს მეორე სიჩქარეში, მერე მიაყარეს მესამე, მეოთხე და როცა მეხუთეში ჰქონდათ, ორჯერ შეაგდეს. მეორე ტაიმში ძალიან ადრე დაიწყო უკუპროცესი - არგენტინა დამშვიდდა, სიჩქარეს უკლო, ფორვარდები გაიყვანა და კინაღამ დაისაჯა - ხოსე პეკერმანს, ეტყობა, ეს ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატი ჰგონია.

მომავალ სამშაბათამდე

ჰიდინკის მორიგი გამარჯვება

ტიმ კეჰილმა ავსტრალიას მოაგებინა.

ავსტრალია - იაპონია 3:1

ავსტრალია: შვარცერი, ნეილი, მური (კენედი 61), ჩიპერფილდი, ემერტონი, გრელა, კულინა, უილკშირი (ალოიზი 75), ბრეშიანო (კეჰილი 53), ვიდუკა, კიუელი
მწვრთნელი: გუუს ჰიდინკი
იაპონია: კავაგუჩი, ცუბოი (მონივა 56, ოგურო 90), მიამოტო, ნაკაზავა, კომანო, ნაკატა, ფუკინიში, ნაკამურა, ალექსი, იანაგისავა (ონო 79), ტაკაჰარა
მწვრთნელი: ზიკო
გოლები: 0:1 ნაკამურა (26), 1:1 კეჰილი (84), 2:1 კეჰილი (89), 3:1 ალოიზი (90)
გაფრთხილება: გრელა, მური, კეჰილი, ალოიზი - მიამოტო, ტაკაჰარა, მონივა
მსაჯი: ესამ აბდ ელ ფათაჰი (ეგვიპტე)
12 კარში დარტყმა 2
20 კარისკენ დარტყმა 6
22 ჯარიმა 11
5 კუთხური 3
52% ბურთის ფლობა 48%
მატჩის საუკეთესო მოთამაშე: ტიმ კეჰილი

ყველასთვის კარგად ცნობილი და ბანალური ფრაზა - ფეხბურთი 90 წუთს გრძელდება - ავსტრალია-იაპონიის მატჩში სრულად გამართლდა. ამომავალი მზის ქვეყნის შვილები უკვე სამი ქულის აღებას ზეიმობდნენ, როდესაც გუუს ჰიდინკის დამოძღვრილმა ავსტრალიელებმა შეუძლებელი შეძლეს და მატჩის ბოლო 6 წუთში თამაში მოიგეს. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტრალიის ნაკრები გაციცხვით უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე იაპონის გუნდი. მართალია, ანგარიში სწორედ ზიკოს შეგირდებმა გახსნეს, მაგრამ გოლი უფრო შემთხვევითობა იყო, ვიდრე გააზრებული კომბინაციის ლოგიკური შედეგი. ამ გოლის შემდეგ მატჩი მთლიანად ავსტრალიელთა კარნახით მიმდინარეობდა. ჰიდინკმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ბრწყინვალე მწვრთნელია. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა სრულად გამოიცნო შეცვლები. მეორე ტაიმში მინდორზე შესულმა ფეხბურთელებმა რადიკალურად შეცვალეს ვითარება და ავსტრალიელებმა უაღრესად საჭირო სამი ქულა მოიპოვეს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ევერტონელი ტიმ კეჰილის თამაში. მერსისაიდული კლუბის პლეიმეიკერი მხოლოდ მეორე ტაიმში შევიდა მინდორზე. კეჰილის გამოჩენის შემდეგ ჰიდინკმა ტაქტიკა ოდნავ შეცვალა: მანამდე მინდვრის ცენტრში მოთამაშე კიუელმა ფლანგზე გადაინაცვლა. ამით ავსტრალიელთა შეტევებს სიმწვავე შეემატა და საბოლოოდ ჰიდინკის ბიჭებმა საწადელს მიაღწიეს. იაპონიის ნაკრები კი, უბრალოდ, გატყდა. ამ მატჩში აშკარად გამოჩნდა, რომ ზიკოს შეგირდებს სათამაშო კლასი აკლიათ. როდესაც აზიელებმა პირველი გოლი გაუშვეს, მათ თავისუფლად შეეძლოთ ანგარიშის შენარჩუნებაზე თამაში და პირველ მატჩში ქულას მაინც აიღებდნენ, იაპონელები კი უკანმოუხედავად გავარდნენ შეტევაში, რის გამო დაიკარგნენ კიდეც.

მთლიანობაში მატჩმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ამ ჯგუფის ფავორიტებად ბრაზილიისა და ხორვატიის ნაკრები გუნდები ითვლებიან, თუმცა, გუშინდელი დაპირისპირებიდან გამომდინარე, არასწორი იქნება, თუ ავსტრალიის ნაკრებს ჩამოვწერთ. ამ ჯგუფმა, შესაძლოა, დიდი სიურპრიზი შემოგვთავაზოს. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: ავსტრალიელები მეორე ადგილისთვის აუცილებლად იბრძოლებენ და ხორვატიის ნაკრებს მეტად რთული მატჩი ელის.

ჩეხებს კოლერი დაემტვრათ

როსიცკიმ დუბლი შეასრულა.

აშშ - ჩეხეთი 0:3

აშშ: კელერი, ო`ბრაიენი (მასტროენი, 46`), ლუისი, ჯონსონი (ჩერუნდოლო, 46`), რეინა, კონვეი, ვოლფი (მაკბრაიდი, 77`), ბისლი, დონოვანი, ონიევუ, პოუპი.
მწვრთნელი: ბრიუს არენა
ჩეხეთი: ჩეხი, გრიგერა, გალაშეკი, იანკულოვსკი, დენვედი, კოლერი (ლოკვენცი, 45`), როსიცკი (შტაინერი, 86`), პობორჟსკი (პოლაკი, 82), პლასილი, ფალუში, როზენალი.
მწვრთნელი: კარელ ბრუკნერი
გოლები: 0:1 - კოლერი (5`), 0:2 - როსიცკი (36`), 0:3 - როსიცკი (76`).
გაფრთხილება: ონიევუ, როზენალი, ლოკვენცი, რეინა, როსიცკი, გრიგერა.
მსაჯი: კარლოს ამარილია (პარაგვაი).
6 კარში დარტყმა 10
1 კარისკენ დარტყმა 5
15 ჯარიმა 19
2 კუთხური 5
0 თამაშგარე 9
55 ბურთის ფლობა 45
მატჩის საუკეთესო მოთამაშე: ტომას როსიცკი (ჩეხეთი)

ჩეხეთის ნაკრები პირველი გუნდია, ვინც მსოფლიო ჩემპიონატზე დიდი ანგარიშით გაიმარჯვა. აღსანიშნავია, რომ ჩეხებს მაინცდამაინც დიდი ძალისხმევა არ დასჭირდათ ამბიციურ ამერიკელთა დასამარცხებლად და მატჩის დებიუტშივე მიაღწიეს იმ უპირატესობას, რომელიც აშშ-ის დონის გუნდის დასაძლევად საკმარისი აღმოჩნდა. ჯერ იან კოლერმა თავით გახსნა ანგარიში, შემდეგ კი ტომაშ როსიცკის მიერ უძლიერესად დარტყმული ბურთიც გაეხვია კეისი კელერის კარში. თამაშს კი წერტილი კვლავ ტომაშ როსიცკიმ დაუსვა ზუსტი დარტყმით.

ჩეხებისთვის ყველაფერი კარგად აეწყო. მათ კარგი ჰანდიკაპი შეიქმნეს იტალიელებთან და ჯგუფის ამ ორი ფავორიტის შეხვედრაში შეიძლება პირველ ადგილზე გასასვლელად ჩეხებისთვის ფრეც საკმარისი აღმოჩნდეს. პირველობა კი ამ ჯგუფში იტალიელებისთვისაც აუცილებელია, რადგან ჯგუფის მეორეადგილოსანი მერვედფინალში შეიძლება მსოფლიო ჩემპიონ ბრაზილიას გადაეყაროს.

სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება ჩეხების მწვრთნელმა კარელ ბრუკნერმა: „ბრაზილიასთან თამაში ყოველთვის არასასურველია. ამიტომ მოხარული ვარ, რომ დამაჯერებელი გამარჯვება მოვიპოვეთ და პორტუგალიასთან და საბერძნეთთან მატჩებში დავისაჯეთ. ვფიქრობ, ამით ბრაზილიელებს ვაჩვენეთ, რომ ჩვენ ასევე ძლიერი გუნდი ვართ და ჩვენთან ადვილად არ მოიგებენ. ამ მატჩით ჩვენ შეგვიძლია ანგარიშის შენარჩუნებაზე თამაში და პირველ მატჩში ქულას მაინც აიღებდნენ, იაპონელები კი უკანმოუხედავად გავარდნენ შეტევაში, რის გამო დაიკარგნენ კიდეც.

მთლიანობაში მატჩმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ამ ჯგუფის ფავორიტებად ბრაზილიისა და ხორვატიის ნაკრები გუნდები ითვლებიან, თუმცა, გუშინდელი დაპირისპირებიდან გამომდინარე, არასწორი იქნება, თუ ავსტრალიის ნაკრებს ჩამოვწერთ. ამ ჯგუფმა, შესაძლოა, დიდი სიურპრიზი შემოგვთავაზოს. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: ავსტრალიელები მეორე ადგილისთვის აუცილებლად იბრძოლებენ და ხორვატიის ნაკრებს მეტად რთული მატჩი ელის.

ფერნანდო ტორესი: „მინდა მუნდიალის ვარსკვლავი გავხდე“

„ელ ნინიო“ - ასე ეძახიან სამშობლოში ფერნანდო ტორესს, რომელიც ამჟამად თანაგუნდელებთან ერთად მუნდიალის პირველი მატჩისთვის ემზადება. ესპანელები 15 ივნისს უკრაინის ნაკრებს უნდა დაუპირისპირდნენ. პირენეელთა მთავარი იმედი ჟურნალისტებს შეხვდა და ესპანეთის ნაკრების შანსებზე ისაუბრა.

- რას ნიშნავს თქვენთვის მსოფლიო ჩემპიონატი?

- ეს უმნიშვნელოვანესი ტურნირია. ჩვენს ნაკრებში არიან ფეხბურთელები, რომლებსაც საკლუბო დონეზე ყველაფერი აქვთ მოგებული, რისი მოგებაც შეიძლება, თუმცა მსოფლიო თასის მოპოვება, ცხადია, ყველა ტიტულზე უფრო მნიშვნელოვანია. მსოფლიო ჩემპიონატი ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულზე პრესტიჟული ჯილდო საფეხბურთო სამყაროში ჯერ არ მოუგონიათ.

- რა შანსი აქვს ესპანეთის ნაკრებს?

- ჩვენ ყოველთვის კარგი გუნდი გვყავს, მაგრამ წარმატებისთვის არასდროს მიგვიღწევია. აუცილებელია, რომ მწვრთნელს მიეცეს გუნდის ჩამოყალიბების დრო, რაც აქამდე თითქმის არ ხდებოდა. არაგონესს კი ეს გამოუვიდა.

- რა განწყობით შეხვდით მსოფლიო ჩემპიონატს?

- მოუთმენლად ველი პირველ მატჩს. ეს ჩემი პირველი ჩემპიონატია და შანსი მაქვს რაიმე სერიოზულს მივაღწიო. მიუხედავად იმისა, რომ ყველა დებიუტანტის მთავარი ოცნება გუნდის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა და მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშია, მე ჩემთვის მაქსიმალური ამოცანები მაქვს დასახული.

- ალბათ პორტუგალიაში გამართული ევროპის ჩემპიონატის მწარე გამოცდილებაც გაითვალისწინეთ.

- იმ წარუმატებლობის დავიწყება, ცხადია, ძნელია, მაგრამ მარცხიდან დასკვნები გამოვიტანეთ. მივხვდით, რომ სასტარტო წარმატების შემდეგ ეიფორიაში ჩავარდნა დაუშვებელია. რუსეთის დამარცხების შემდეგ მოვეშვით და პორტუგალიასთან და საბერძნეთთან მატჩებში დავისაჯეთ. შეცდომის ფასი საკმაოდ ძვირი იყო.

- მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელობას ხომ არ აპირებთ?

- მიზნისკენ ნელა და აუღელვებლად მივდივარ. ახლა ჩემი მხრიდან უაზრობა იქნება თუ ვიტყვი, მაინცდამაინც მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი გავხდები-მეთქი. ცხადია, თუ საუკეთესოდ ჩვენი გუნდის რომელიმე ფეხბურთელს, მაგალითად, მე დამასახელებენ, უარს არ ვიტყვი.

- რას გრძნობთ, როდესაც მინდორზე ესპანეთის ჰიმნს უსმენთ?

- დროის იმ მონაკვეთში, სანამ ჰიმნი ჟღერს, ბევრ რამეზე ფიქრობ. შენთვის ახლობელ ადამიანებზე, გულშემატკივრებზე, რომლებიც შენი თამაშის სანახავად მოვიდნენ, იმ მომენტებზე, როდესაც ოცნებობდი, რომ დადგებოდა დღე, მინდორზე გახვიდოდი და შენი სამშობლოს ჰიმნს მოუსმენდი. მსოფლიო ჩემპიონატზე კი ეს გრძნობები ორმაგდება.

- მეოთხედფინალში ესპანეთის სავარაუდო მეტოქე ბრაზილიაა. ამ გუნდის ხომ არ გეშინიათ?

- ახლა მხოლოდ უახლოეს მეტოქეზე - უკრაინაზე ვფიქრობთ. ტურნირის დაწყებამდე გვინინასწარმეტყველეს, რომ მერვედფინალში უპრობლემოდ გავალთ, მაგრამ ეს ასე არ არის. ჯერჯერობით ჯგუფში პირველი ადგილი უნდა მოვიპოვოთ, მერვედფინალზე და მეოთხედფინალზე კი შემდეგ ვიფიქრებთ.

- ნაკრებში ფერნანდო ტორესისგან ალბათ უფრო მეტს ითხოვენ, ვიდრე სხვებისგან?

- თავიდან მეც ასე მეჩვენებოდა, როდესაც ესპანეთმა რამდენიმე წარუმატებელი მატჩი გამართა, მაგრამ, მერწმუნეთ, ეს მოსაზრება მცდარია. ნაკრების თითოეული ფეხბურთელისგან ერთნაირად კარგ თამაშს ითხოვენ.

- მსოფლიო ჩემპიონობის მთავარი ფავორიტი ვინ არის?

- მონაწილე გუნდებისგან საკუთარ ქვეყნებში ყველა წარმატებას ელის. ჩვენს შემთხვევაში კი საჩემპიონო ამბიცია ძლიერი გუნდითა და უდიდესი მოტივაციითაც არის გამყარებული. სხვა ფავორტიებზე არაფერს ვიტყვი.

ქვირის ფრაზები

„მსოფლიოს ბუმბერაზი კაცი დაუბრუნდა“, - ასე გამოხატა თავისი დაბრუნება 21 წლის ტრავმირებულმა უეინ რუნიმ, როდესაც შეიტყო, რომ ექიმებმა მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის ნება დართეს.

■ ■ ■

„ინგლისელებმა შეიძლება მარტო მაშინ მოგვიგონ, თუ გერმანიაში იწვიმებს“, - პარაგვაელ თავდამსხმელს როკე სანტა კრუზს ინგლისთან მატჩამდე მათ შესაძლებლობებში ეჭვი ეპარებოდა.

■ ■ ■

„მეტი გოლის გატანა შეგვეძლო, მაგრამ ყველაფერში დამნაშავეა ის საშინელი ხვატი, რომელიც 10 ივნისს გერმანიაში იყო“, - სვენ გორან-ერიქსონი პარაგვაისთან მოგებული (1:0) მატჩის შემდეგ.

■ ■ ■

„ჩვენ დიდებულად ვითამაშეთ“, - ჩანს, შვედთა თავკაცი ლარს ლაგერბეკი სხვა მატჩს ესწრებოდა და არა შვედეთი-ტრინიდადი და ტობაგოსი.

■ ■ ■

„ბოლო სიტყვა ჩემზე და რუნიზეა. რაც შემეხება მე, ყველაფერს რუნის, ინგლისის ნაკრებისა და 40 მილიონი ინგლისელის სასარგებლოდ გავაკეთებ“, - სვენ გორან-ერიქსონი.

■ ■ ■

„გამიკვირდა, როცა ბლერმა წმინდა გიორგის დროშა ააფრიალა. მანამდე ვფიქრობდი, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე ამერიკას უქომაგებდა“, - ასე მოიხსენია ინგლისელმა ჟურნალისტმა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი.

■ ■ ■

„ჩვენ მდინარეებისა და მეთევზეების ქვეყანა ვართ, მაგრამ ფეხბურთი მაინც უპირველესია“, - პორტუგალიის ელჩი ინგლისში ალბერტო პარეირა.

■ ■ ■

„პარაგვაისთან მატჩის წინ მხარზე ხელის დარტყმით გავამხნევეთ ერთმანეთი. მადრიდში თამაშის დაწყების წინ ბიჭები ერთმანეთს გადავკოცნით ხოლმე. იამაიკის წინააღმდეგ აარონ ლენონი აპირებდა ჩემთვის ხელის დარტყმას, მაგრამ მე საკოცნელად გავიწიე. მერეღა შევუძახე საკუთარ თავს: არა, არა, რას აკეთებ-მეთქი“, - დევიდ ბექჰემი ესპანურ და ინგლისურ ფეხბურთში არსებულ სხვაობებზე.

■ ■ ■

„დასანანია ისეთ სუსტ გუნდთან წაგება, როგორიც ინგლისის ნაკრებია“, - ხოსე ლუის ჩილავერტი, პარაგვაის ყველა დროის საუკეთესო მეკარე.

■ ■ ■

„მოგება - მოგებაა. მთავარია შედეგი და არა გატანილი გოლების რაოდენობა“, - პორტუგალიის ნაკრების თავკაცი ლუიშ ფილიპე სკოლარი ანგოლასთან მინიმალური ანგარიშით - 1:0 მოგების შემდეგ.

ინფოთეკა

პაპანაქება სიცხეში

ფრანკფურტის „ვალდშტადიონის“ გასახსნელი სახურავი ოთხშაბათს დაიხურება და კორეა-ტოგოს მატჩი ფაქტობრივად გადახურულ სტადიონზე გაიმართება, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისთვის ჰაერის ტემპერატურა 30 გრადუსზე მეტი იქნება. საქმე ისაა, რომ როდესაც სახურავი ღიაა, მინდორზე უამრავი ჩრდილი ჩანს, რაც სატელევიზიო ტრანსლაციებს ხელს უშლის. ამიტომ ტოგოელები და კორეელები გადახურულ სტადიონზე ითამაშებენ.

ჰისლოპი: „ბედნიერი მოვკვდები“

ტრინიდადისა და ტობაგოს ნაკრების მეკარე შაკა ჰისლოპი აცხადებს, რომ შვედებთან მატჩის შემდეგ მშვიდად შეუძლია სიკვდილი. „ეს საუკეთესო დღე იყო ჩემს საფეხბურთო კარიერაში. ახლა ზუსტად ვიცი, რომ კარიერის დასრულების შემდეგ ბედნიერად ვიგრძნობ თავს. ვფიქრობ, სიკვდილის წინაც კი ბედნიერი ადამიანი ვიქნები“.

რიბერიმ „ლიონი“ აირჩია

საფრანგეთის ნაკრებისა და „მარსელის“ ნახევარმცველი ფრანკ რიბერი მომავალ სეზონს „ლიონში“ გაატარებს. ყოველ შემთხვევაში, ზუსტად ამას ამტკიცებს ლიონური გუნდის პრეზიდენტი ჟან-მიშელ ოლა. „შემიძლია ოფიციალურად განვაცხადო, რომ რიბერი უახლოეს რამდენიმე სეზონს ჩვენს გუნდში გაატარებს. გაიხსნება თუ არა სატრანსფერო ფანჯარა, რიბერი „ლიონში“ გადმოვა“, - აცხადებს ოლა.

შეგახსენებთ, რომ ამ ფეხბურთელის შეძენა „მანჩესტერ იუნაიტედს“ და რამდენიმე ესპანურ კლუბსაც სწადია, თუმცა „მარსელის“ ხელმძღვანელები განუწყვეტლივ გაიძახიან, რომ რიბერი არ იყიდება.

ყველაზე, ყველაზე...

გერმანიის ჩემპიონატზე მონაწილე 32 გუნდიდან მუნდიალების ისტორიაში ქულების მხრივ საუკეთესო მაჩვენებელი ბრაზილიის ნაკრებს ეკუთვნის - პენტაკამპეონთა ანგარიშზე 87 მატჩში 194 ქულაა.

■ ■ ■

ყველაზე ცუდი შედეგი ამ მხრივ ავსტრალიის ნაკრებს აქვს - 70-ქულიანი შეფასების შკალაში ავსტრალიელები 58-ე ადგილს იკავებენ.

■ ■ ■

ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი წლევანდელ მუნდიალზე ინგლისელი თეო უოლკოტია - 17 წლისა და 85 დღის.

■ ■ ■

ყველაზე ასაკოვანი მოთამაშე ტუნისის ნაკრების ფეხბურთელი ალი ბუმნიჯელია - 40 წლისა და 60 დღის.

■ ■ ■

ყველაზე მეტი მოქმედ ფეხბურთელთაგან - 12 გოლი მსოფლიო ჩემპიონატებზე ბრაზილიელ რონალდოს აქვს გატანილი. აქედან ოთხი ბურთი 1998 წლის ჩემპიონატზე, რვა - 2002 წელს.

■ ■ ■

ყველაზე მეტი მატჩი ბრაზილიელი კაფუს ანგარიშზეა - 16. ბრაზილიელს 1994, 1998 და 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატებზე აქვს ნათამაშევი.

■ ■ ■

ყველაზე უხვმატჩიანი მწვრთნელი ამერიკელთა თავკაცი ბრიუს არენაა - ნაკრებმა მისი თავკაცობით საერთაშორისო დონეზე 119 შეხვედრა ჩაატარა.

■ ■ ■

ყველაზე ცოტა - ორი შეხვედრა - მატჩი ტოგოს მთავარ მწვრთნელს ოტო ფისტერს აქვს ჩატარებული.

■ ■ ■

ყველაზე ასაკოვანი მწვრთნელი ესპანელთა თავკაცი ლუის არაგონესია - 66 წლის.

■ ■ ■

ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი მარკო ვან ბასტენია - 41 წლის.

■ ■ ■

ყველაზე მეტი შეხვედრა ფეხბურთელის ამპლუაში მსოფლიო ჩემპიონატებზე მწვრთნელთაგან იურგენ კლინსმანს აქვს ჩატარებული - 1990 და 1998 წლების მუნდიალებზე კლინსმანს 17 შეხვედრაში 11 გოლი აქვს გატანილი.

■ ■ ■

ყველაზე მძიმეწონიანი ფეხბურთელი ჩეხეთის ნაკრების თავდამსხმელი იან კოლერია. ის 100 კგ-ს იწონის.

■ ■ ■

ყველაზე მსუბუქწონიანი საუდის არაბეთის ფეხბურთელი მოჰამედ ალ შლობი გახლავთ - სულ 59 კგ.

■ ■ ■

ყველაზე მაღალი ერთბაშად სამი ფეხბურთელია - სერბეთის ნაკრების მოთამაშე ნიკოლა ზიგიჩი, ჩეხი იან კოლერი და ავსტრალიელი ზელკო კალაჩი. სამივე მათგანის სიმაღლე 202 სმ-ია.

■ ■ ■

ყველა დაბალი ეკვადორელი კრისტიან ლარა გახლავთ - 162 სმ.

■ ■ ■

მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში გერმანიაში მოთამაშე ფეხბურთელთაგან მხოლოდ ორს - პორტუგალიელ პაულეტას და გერმანელ მიროსლავ კლოზეს აქვთ ჰეთ-თრიქი შესრულებული. პირველმა სამი გოლი 2002 წლის 10 ივნისს კორეა-იაპონიაში პოლონელებთან (4:0) გაიტანა, მეორემ კი იმავე მუნდიალზე საუდის არაბეთთან (8:0) - 18 ივნისს.

■ ■ ■

ყველაზე მეტი ფეხბურთელი მსოფლიო ჩემპიონატზე პრემიერლიგის ორ გუნდს - „არსენალსა“ და „ჩელსის“ ჰყავს წარმოდგენილი - 15-15.

ინფოთეკა

ოუენი გაბრაზებულია

ინგლისისა და პარაგვაის მატჩის 55-ე წუთზე სვენ გორან ერიქსონმა მინდვრიდან გაიყვანა მაიკლ ოუენი, რამაც ფეხბურთელი ძალიან გააბრაზა. გაზეთ „მირორის“ ინფორმაციით, მაიკლი მატჩის შემდეგ უკმაყოფილებას არ მალავდა და შელაპარაკებაც კი მოუვიდა ერიქსონთან. საერთოდ, ცნობილია, რომ შვედი სპეციალისტი იშვიათად ესაუბრება თავის ფეხბურთელებს, თუმცა ამჯერად ერიქსონმა გამონაკლისი დაუშვა და მაიკლს დაახლოებით ნახევარ საათს ესაუბრა, რის შემდეგაც კონფლიქტი ამოიწურა.

ინგლისის ნაკრების ბანაკიდან გამოსული ინფორმაციით, უიენ რუნი ბრიტანელთა მეორე მატჩში შეძლებს თამაშს. ტრინიდადის ნაკრებთან შეხვედრაში „მანჩესტერის“ ფორვარდი ძირითად შემადგენლობაში იქნება.

შოთა არველაძე - საქართველოს წლის საუკეთესო ფეხბურთელი

მიხეილ აბაიშვილი

11 ივნისს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა დია 2006-ის საზეიმო დაჯილდოების ცერემონიალი. საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ 2005-06 წლების სეზონის შედეგები შეაჯამა და საუკეთესოები დააჯილდოვა. ცერემონიალს უძღვებოდნენ დუტა სხირტლაძე და ეკა ნიჟარაძე. სანახაობა გაალამაზა ანსამბლ „ერისიონის“, მომღერლების დათო გომართელისა და მერაბ სეფაშვილის შემოქმედებამ.

საქართველოს 2005-06 წლების ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ ზესტაფონის „ზესტაფონის“ კარის დარაჯი გრიგოლ ჭანტურია აღიარეს. ამ ნომინაციაში მის გარდა წარდგენილნი იყვნენ ბოლნისის „სიონის“ მეკარე ზურაბ ბათიაშვილი და თბილისის „ამერის“ კარის დარაჯი ზურაბ ქვაჩახია.

საუკეთესო მცველი გახდა „ამერის“ ფეხბურთელი ვახტანგ ხვადაგიანი. მან „სიონის“ უკანახაზელ დავით ჭიჭვეიშვილს და თბილისის „დინამოს“ ყოფილ ფეხბურთელს გიორგი შაშიაშვილს აჯობა.

საუკეთესო ნახევარმცველად თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელი დავით იმედაშვილი დასახელდა. მან თანაგუნდელი დავით დიღმელაშვილი და „ზესტაფონის“ წევრი გოგი ფიფია ჩამოიტოვა.

ეროვნული ჩემპიონატის უძლიერესი თავდამსხმელის სახელი მოიპოვა „ზესტაფონის“ ფორვარდმა ზურაბ იონანიძემ. ამ ნომინაციაში წარდგენილნი იყვნენ თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ ყოფილი ფეხბურთელი ოთარ მარცვალაძე და „სიონის“ გოლეადორი კოკა მიკუჩაძე.

საუკეთესო ბომბარდირისთვის განკუთვნილი პრიზი გადაეცა თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელს ჯაბა დვალს, რომელმაც მე-17 ეროვნულ ჩემპიონატში 21 გოლი გაიტანა.

საუკეთესო მსაჯად გიორგი ვადაჭკორია დაასახელეს. ამ ნომინაციაში პრიზისთვის ლევან ფანიაშვილი და ლაშა სილაგავაც იბრძოდნენ.

წლის აღმოჩენად თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი სანდრო კობახიძე აღიარეს. მან თბილისის „ამერის“ ფორვარდს რატი წინამძღვრიშვილს და დედაქალაქის „ვიტ ჯორჯიას“ თავდამსხმელს ნიკა გელაშვილს აჯობა. საუკეთესო მწვრთნელის ტიტული საქართველოს ჩემპიონის ბოლნისის „სიონის“ თავკაცს კახა ცხადაძეს ერგო. მან ბათუმის „ბათუმის“ მწვრთნელს ოთარ გაბელიას და საქართველოს თასის მფლობელის „ამერის“ თავკაცს გიორგი ჩიხრაძეს აჯობა.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად ზურაბ იონანიძე დაასახელეს. ამ ნომინაციაში წარდგენილნი იყვნენ კოკა მიკუჩაძე და ოთარ მარცვალაძე.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის და პროფლიგის სპეციალური სიგელებით დაჯილდოვდნენ პირველი არხის სპორტული რედაქტორი ლაშა დვალიშვილი და პირველი სტერეოს გადაცემა „ჩვენი ფეხბურთის“ ავტორი და წამყვანი მიხეილ ჯორბენაძე.

საუკეთესო პროექტად დასახელდა საქართველოს ეზოს ფეხბურთის ასოციაციის წამოწყება, სკოლბურთში პეპსის თასის გათამაშება. მთავარი პრიზი თბილისის მერმა გიგი უგულავამ გადასცა საქართველოს ეზოს ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტს შოთა ბაქრაძეს.

წლეულს საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ პირველად დაასახელა ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი. ამ ნომინაციაში წარდგენილნი იყვნენ შოთა არველაძე, კახა კალაძე და ლევან კობიაშვილი. საუკეთესოდ დაასახელეს შოთა არველაძე - ჰოლანდიის „ალკმაარის“ შემადგენლობაში მან ჩინებული სეზონი ჩაატარა და ოცდაათამდე გოლი გაიტანა. მთავარი ჯილდო ბომბარდირს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა გადასცა. აქვე შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ ანალოგიური გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა გაზეთმა „სარბიელმა“. ამ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს სპორტულმა ჟურნალისტებმა. მისი შედეგების მიხედვით, გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა იტალიის „მილანის“ მცველი და საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი კახა კალაძემ. სპორტული მედიის გამოკითხვაში შოთა არველაძემ მესამე ადგილი დაიკავა.

კახა ცხადაძე: "ჩეხეთი ფავორიტია"

საქართველოს 2005-06 წლის სეზონის საუკეთესო მწვრთნელი, საქართველოს ჩემპიონის, ბოლნისის „სიონის“ მთავარი მწვრთნელი, კახა ცხადაძე.

- გუშინ მსოფლიო ჩემპიონატზე სტარტაღებული გუნდებიდან აშკარად გამოსარჩევია ჩეხეთის ეროვნული ნაკრები (კომენტარი ჩაწერილია იტალია - განას მატჩამდე, - რედ.). ჩეხებმა ჩემზე ფანტასტიური შთაბეჭდილება დატოვეს. პირველ რიგში, ძალზე მომეწონა მათი ტაქტიკური განლაგება. ორი განაპირა და ორი ცენტრალური მცველი, რომლებიც შეტევებში მუდმივად ერთვებოდნენ, საყრდენი ნახევარმცველი და ორი ფლანგის მოთამაშე, რომლებიც შეტევის დროს ფორვარდების ფუნქციას ასრულებდნენ, ხოლო დაცვაში გადასვლის დროს - შესაბამის ფუნქციას ასრულებდნენ, გამოკვეთილი ცენტრფორვარდი კოლერი და მის უკან მოქმედი როსიცკი და ნედვედი - ასეთი გახლდათ ერთ-ერთი თანამედროვე პროგრესული სათამაშო სქემა, რომლის მიხედვითაც ათამაშა კარელ ბრუკნერმა თავისი გუნდი. თუმცა, მარტო კარგი სქემა ვერაფერს იზამს, თუ შესაბამისი შემსრულებლები არ გყავს. ჩეხებს კი არჩეული სქემისთვის მთელი მატჩის მსვლელობის განმავლობაში ერთი წამითაც არ უღალატიათ. რა თქმა უნდა, ერთი თამაშიდან გამომდინარე შორსმიმავალი დასკვნების გაკეთება არ შეიძლება, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ჩეხები დღესვე შეიძლება მივაკუთვნოთ ფავორიტთა რიგს. მით უმეტეს, რომ ამ გუნდს თავისი სრული პოტენციალი ჯერ არ გამოუვლენია. საწყენია, რომ დაიმტვრა კოლერი, თუმცა, ბაროში რომ გამოჯანმრთელდება და ამ გუნდს შეუერთდება, ეს ერთიორად გაზრდის ჩეხთა შეტევით პოტენციალს. რაც მთავარია, ჩეხეთის ნაკრები მკაცრად ორგანიზებულ, გუნდურ თამაშს თამაშობს, უმაღლეს დონეზე თამაშის გამოცდილებაც არ აკლია და ასეთი ბაგაჟით ძალზე შორს წასვლის პოტენციალი გააჩნია. უკვე ვნახეთ რამდენიმე ფავორიტი, მათ შორის - ჰოლანდია, არგენტინა, ინგლისი და შემიძლია ვთქვა, რომ ჩეხებმა, თუ უკეთესი არა, არანაკლები შთაბეჭდილება დატოვეს. ამ გუნდის რეალური ძალა ქვეჯგუფში იტალიის ნაკრებთან შეხვედრაში გამოჩნდება. ამ მატჩში თავს ვერავინ დაზოგავს და ვერც თამაშს დამალავს, რადგან ჯგუფში პირველი ადგილის ბედი უნდა გაირკვეს. ეს კი ძალზე მნიშვნელოვანი იქნება, რადგან მეორე ადგილზე გასულს მერვედფინალში ბრაზილიის ნაკრებთან „დაჯახების“ „პერსპექტივა“ აქვს. თუმცა, თუ თავისი თამაში ითამაშა, ჩეხები არც ბრაზილიელებთან იქნებიან განწირულები.

ულტიმატუმი ფოთის მთავრობას

ქეთინო ჭაკობია

მე-17 ეროვნულ ჩემპიონატზე ფოთის საფეხბურთო კლუბმა „კოლხეთი 1913“-მა „ნისიად“ იასპარეზა. თუ 15 ივნისამდე ფედერაციის ანგარიშზე გასული და მომავალი სეზონის საწევრო 30-30 ათასი ლარის ოდენობით არ გადაირიცხება, თუ არ დაიფარება ოთხი თვის სახელფასო დავალიანება, „კოლხეთი 1913“ უმაღლეს ლიგას დატოვებს.

ნავსადგურის მიერ მიტოვებული კლუბის შემდგომ დაფინანსებაზე ფოთის მერმა და მხარის გუბერნატორმა უარი განაცხადეს. ასე რომ, დიდია შანსია, ფეხბურთის გადასარჩენად ხელისუფლების მიერ გაღებული ხარკი მიმდინარე წლის ბიუჯეტში ჩასმული 350 ათასი ლარით შემოიფარგლოს.

8 ივნისს ფოთის ცენტრალურ სტადიონზე კლუბის ხელმძღვანელობამ, ბავშვთა საფეხბურთო სკოლების აღსაზრდელებმა, მწვრთნელებმა და გულშემატკივრებმა აქცია გამართეს. აქციის მონაწილეებმა ქალაქის მთავრობას პრობლემის მოსაგვარებლად სამდღიანი ვადა განუსაზღვრეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ფართომასშტაბიანი გამოსვლები იგეგმება.

„როგორც კი „კოლხეთი 1913“ უმაღლეს ლიგას დატოვებს, ფოთში ბავშვთა ფეხბურთიც დასამარდება. იმიტომ, რომ პატარები დიდების ანალოგიურ თამაშებზე ასპარეზობენ. ქალაქი არც იმისთვის არის მზად, რომ გუნდი პირველ ლიგაში შეინახოს, რადგან უფრო მეტი გასვლითი მატჩი და, შესაბამისად, მეტი ფინანსები გახდება საჭირო. ფოთის საფეხბურთო სკოლებში 700 ბავშვია გაერთიანებული. თუ აქციამ შედეგი არ გამოიღო, მობილიზება გაუკეთდება მათ მშობლებს და ყველანი ქუჩაში გავალთ,“ - განუცხადა „24 საათს“ **„კოლხეთი 1913-“ის პრეზიდენტმა** მერაბ ასანიძემ.

ასანიძემ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეობა კლუბის პრეზიდენტობაში გაცვალა. გვიან, მაგრამ მაინც, მთავრობის გადაწყვეტილებებით უკმაყოფილება მან ხმამაღლა გამოხატა:

„ფოთის მთავრობამ კარგად უნდა განსაზღვროს პრიორიტეტები. განსაჯოს, ფული ჯანსაღი თაობის აღზრდაში დახარჯოს თუ ისეთ საქმეებში, ხალხს სასაცილოდ რომ არ ჰყოფნის და ერთ წელიწადში უვარგისია. ქალაქის ხელმძღვანელობას გუნდის უმაღლეს ლიგაში დატოვების სურვილი არა აქვს. ფინანსების მოსაზიდად მას არაფერი გაუკეთებია,“ - აღნიშნა ასანიძემ.

„მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის ცენტრალურ ბიუჯეტში გადანაცვლებით ქალაქს 6 მილიონი ლარი დააკლდა, კლუბის დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან 350 ათასი ლარი მაინც გამოინახა, რისი საშუალებაც მომავალში ფიზიკურად არ არსებობს. საჭიროა საზოგადოების აქტიურობა, ალტერნატიული გზის მოძიება,“ - განაცხადა მთავრობის წევრმა, სპორტისა და ტურიზმის სამსახურის უფროსმა ზურაბ ტიბუამ.

ალტერნატივად ისევ ნავსადგური და ფოთში მცხოვრები ბიზნესმენები მოიაზრებიან. როგორც პორტის გენერალურმა დირექტორმა ლაშა ახალაძემ „24 საათთან“ საუბრისას აღნიშნა, გადაწყვეტილების მიღება ეკონომიკის სამინისტროს პრეროგატივაა. „24 საათის“ ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის თანხმობის შემთხვევაში ნავსადგური „კოლხეთი 1913“-ს უპრობლემოდ დააფინანსებს.

ფოთელი ბიზნესმენები ფეხბურთში ფულს არ აბანდებენ. „ნებაყოფლობით“ მათ ისედაც ბევრი ღონისძიების დაფინანსებას აიძულებენ.

„ვითხოვთ, იმ პირველ მერცხალს მხარი აუბან და გადაარჩინონ მომავალი თაობა. ჩვენ არ გვსურს ქუჩაში გამოსვლა, მაგრამ რა ვქნათ, როცა ჩვენი შვილების ხვალინდელი დღე გვაშინებს. ფეხბურთს მიატოვებენ და ხვალ ქუჩაში აღმოჩნდებიან,“ - თქვა მშობელმა მარინა გვიჩიამ, რომელმაც აქციაში პატარა ფეხბურთელების მხარდასაჭერად მიიღო მონაწილეობა.

მორიგი საპროტესტო აქცია, სავარაუდოდ, ორშაბათს, ქალაქის ადმინისტრაციულ შენობასთან გაიმართება.

სკოლარის რეკორდი

პორტუგალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ მსოფლიო ჩემპიონატებზე ზედიზედ მოგებული მატჩების რაოდენობით რეკორდი დაამყარა.

მას შემდეგ, რაც პორტუგალიის ნაკრებმა 1:0 დაამარცხა ანგოლის ეროვნული გუნდი, სკოლარიმ ზედიზედ მერვე მატჩი მოიგო მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე. შეგახსენებთ, რომ 2002 წელს ლუიშ ფელიპე სკოლარი ბრაზილიის ნაკრებს ედგა სათავეში და ამ გუნდთან ერთად ზედიზედ შვიდი მატჩი მოიგო.

ბეენჰაკერმა იბრაჰიმოვიჩს მადლობა გადაუხადა

ტრინიდადისა და შვედეთის მატჩის შემდეგ ჟურნალისტები დაინტერესდნენ, რაზე ესაუბრებოდა მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ ტრინიდადელთა მთავარი მწვრთნელი ლეო ბეენჰაკერი შვედების ფორვარდს ზლატან იბრაჰიმოვიჩს.

„მე და იბრაჰიმოვიჩს დიდი ხნის ურთიერთობა გვაკავშირებს. მატჩის შემდეგ მივედი მასთან და ვუთხარი: ზლატან, შენ ნამდვილი მეგობარი ხარ, რადგან ჩემს გუნდს გოლი არ გაუტანე. ძალიან მიყყვარხარ-მეთქი“, - განაცხადა ლეო ბეენჰაკერმა, რომელიც არა მარტო კარგი მწვრთნელი, არამედ დიდი იუმორის პატრონიც ყოფილა.

განხეთქილება ნარინჯისფერ ბანაკში

ჰოლანდიის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის“ ნახევარმცველმა რობინ ვან პერსიმ მკაცრად გააკრიტიკა თავისი თანაგუნდელი არიენ რობენი.

„იმედია, კიდევ ექვს მატჩს გავმართავთ ერთად, მაგრამ არიენი მარტო ვერც დანარჩენს მოიგებს. მას უნდა ახსოვდეს, რომ ფეხბურთი გუნდური თამაშია და მინდორზე მის გარდა კიდევ 10 ჰოლანდიელი თამაშობს. ის ხშირად თამაშობს ინდივიდუალურად და პარტნიორებს ბურთს არ აძლევს“, - აცხადებს რობინ ვან პერსი, რომლის ზუსტი პასის შემდეგაც გაიტანა რობენმა ერთადერთი გოლი, რომელმაც ჰოლანდიელებს მუნდიალზე პირველი გამარჯვება მოუტანა.

სერბეთ-ჰოლანდიის მატჩთან დაკავშირებით სერბების მწვრთნელმა ილია პეტკოვიჩმაც გამოხატა საკუთარი პოზიცია: „სამწუხაროა, რომ დავმარცხდით. ვულოცავ ჰოლანდიელებს, მაგრამ მიმაჩნია, რომ გამარჯვებას ჩვენ უფრო ვიმსახურებდით.“

„დალასის“ საჩემპიონო ნაბიჯი

გაიმართა NBA-ს ფინალური სერიის მეორე მატჩი, რომელიც კვლავ „დალასმა“ მოიგო და სერიაში ანგარიშით 2:0 დაწინაურდა. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ფინალისთვის ეს საკმაოდ სოლიდური უპირატესობაა, მით უმეტეს, რომ დალასელებს საკუთარი მოედნის უპირატესობაც აქვთ. ახლა პატ რაილის და მის ბიჭების თითქმის სასწაული სჭირდებათ, რათა სერიის ბედი თავისკენ შემოატრიალონ. „მაიამი“ აშკარად არ არის მოწოდების სიმაღლეზე და ამ გუნდის სუსტი თამაშის მთავარი მიზეზი შაკილ ო`ნილია, რომელიც ფინალურ სერიაში საკუთარ აჩრდილს წააგავს. მარტო დუეინ ვეიდი კი „დალასის“ წინააღმდეგ თავის გუნდს ვერ შველის.

მეორე შეხვედრაში „დალასელთა“ უპირატესობა კვლავ აშკარა იყო. ამის დასტურად ანგარიში გამოდგება. 99:85 - ასე მოიგო „დალასმა.

მასპინძლებმა თამაშის ბედი მეორე და მესამე მეოთხედებში გადაწყვიტეს. თავიდან მოედანზე თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა, პირველი მეოთხედი „დალასმა“ მხოლოდ ერთი ქულით მოიგო, მაგრამ ამის შემდეგ ბრწყინვალედ ათამაშდა დირკ ნოვიცკი და მეოთხე მეოთხედის წინ ანგარიში 82:58 იყო დალასელთა სასარგებლოდ. მეოთხედი უკვე ფორმალობად იქცა, თუმცა, „მაიამიმ“ ათი ქულა ამოქაჩა. მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

რაც შეეხება საუკეთესო კალათბურთელებს. დირკ ნოვიცკიმ მატჩი ორმაგი დუბლით დაასრულა. გერმანელი კალათბურთელის ანგარიშზე 26 ქულა და ფარიდან მოხსნილი 16 ბურთია. ამასთან, ნოვიცკიმ საკუთარ აქტივს 4 შედეგიანი გადაცემაც დაუმატა. ურიგოდ არ უთამაშია ერიკ დამპიერსაც, რომელმაც ნოვიცკისთან ერთად ფარქვეშ ბრძოლაში პირწმინდად დაჩაგრა მაიამელები. ნოვიცკის 16 მოხსნას დამპიერმა 13 დაუმატა.

მაიამელთა შორის საუკეთესო დუეინ ვეიდი იყო. მის ანგარიშზეა 23 ქულა და 8 ფარიდან მოხსნილი ბურთი. შაკილის თამაში კი კრიტიკას ვერ უძლებს. ლიგის საუკეთესო ცენტრად შერაცხულმა შაქმა მატჩი 5 ქულითა და 6 ფარიდან მოხსნილი ბურთით დაასრულა. აქვე გეტყვით, რომ შაკილმა შვიდი საჯარიმოდან მხოლოდ ერთი გამოიყენა.

დამპიერის ჩაგდენა.

ცამეტმა იქით გაუტანა

შესარჩევთა განრიგიც დადგინდა

საქართველოს ბორჯღალოსნებმა სტუმრად ფიცხელ ბრძოლაში ძლიეს ჩეხეთი. მანამდე რუსეთმა ციმბირში დასცა რუმინეთი. ამით ჩვენებმა და სტეჟარმა ქულები ტოლად დააგროვეს, მაგრამ მეტოქემ უკეთესი ბალანსით მაინც გვაჯობა. ამასობაში ევროპულმა აერ-მა მსოფლიო თასის შესარჩევთა განრიგი შეიმუშავა. რუმინეთს ოქტომბრის პირველ შაბათს ვეწვევით და თუ ვერ მოვუგეთ, 11 და 25 ნოემბერს, შინ და გარეთ, უფრო პორტუგალიასთან და ნაკლებად რუსეთთან, მოგვიწევს გადამწყვეტ შესარჩევთა გამართვა.

2007 წლის მსოფლიო თასის შესარჩევები

მეოთხე რაუნდი
16/09 უკრაინა - რუსეთი, ჩეხეთი - ესპანეთი
30/09 რუსეთი - უკრაინა, ესპანეთი - ჩეხეთი

მეხუთე რაუნდი
პულთა გამარჯვებულები პირდაპირ გადიან მსოფლიო თასზე. მეორე ადგილზე გასულები მეექვსე რაუნდში აგრძელებენ შეჯიბრებას.

ა პული: იტალია, პორტუგალია, რუსეთი/უკრაინა
ბ პული: რუმინეთი, საქართველო, ჩეხეთი/ესპანეთი

07/10 იტალია - პორტუგალია, რუმინეთი - საქართველო
14/10 რუსეთი/უკრაინა - იტალია, ჩეხეთი/ესპანეთი - რუმინეთი
28/10 პორტუგალია - რუსეთი/უკრაინა, საქართველო - ჩეხეთი/ესპანეთი

მეექვსე რაუნდი
11/11 და 25/11
შინ და გარეთ

ამ რაუნდის გამარჯვებულიც გადის მსოფლიო თასზე, წაგებული კი ევროპა-აფრიკა-ამერიკის რეპეშაჟში აგრძელებს ბრძოლას.

პაუელი საკუთარ რეკორდებს დასდევს

პაუელმა საკუთარ რეკორდს აუწყო ფეხი.

გიგა გურასაშვილი

ამას წინასწარ ვერავინ განჭვრეტდა. ვერც თავად ასაფა პაუელი, ვერც შეჯიბრების ორგანიზატორები და, რა თქმა უნდა, ვერც ჯასტინ გატლინი. 100 მეტრზე მსოფლიო რეკორდები ასეთი ინტენსივობით ციდან არ ცვივა და ეს ყველამ კარგად იცის. არადა, ორი დღის წინ გეითსჰედში, დიდი ბრიტანეთის გრან-პრიზე (Norwich Union British Grand Prix) იამაიკელმა ასაფა პაუელმა სპრინტერულ გარბენში შარშან 14 ივნისს ათენის სუპერ გრან-პრიზე მის მიერვე დამყარებული მსოფლიო რეკორდი - 9.77 გაიმეორა. მანამდე, ერთი თვით ადრე, ასეთივე შედეგი აჩვენა დოჰას ტურნირზე ამერიკელმა ჯასტინ გატლინმა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილო ინგლისში გამართულ შეჯიბრებას არცთუ ბევრმა ვარსკვლავმა დასდო პატივი (პაუელს თითქმის არავინ უწევდა მეტოქეობას), მან სარეკორდო ირბინა. ერთადერთი, ვისაც შეეძლო იამაიკელისთვის მეტოქეობა გაეწია, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ჯასტინ გატლინი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამერიკელი 28 ივლისის ლონდონის გარბენისთვის ემზადება. თუმცა, გარბენი რბილი ნათქვამია. ეს იქნება პლანეტის ორი უსწრაფესი ადამიანის დუელი. თავდაპირველი ცნობით, იამაიკელსა და ამერიკელს სწორედ გეითსჰედში უნდა გაერკვიათ ურთიერთობა.

სხვათა შორის, პაუელი და გატლინი ერთ სარბენ ბილიკზე ბოლოს შარშან, ივნისში გავიდნენ. მაშინდელი გარბენი ასაფასთვის მძიმე ტრავმით დასრულდა, რომლისგანაც მხოლოდ ახალ სეზონში განიკურნა. რაც შეეხება გატლინს, მაშინ მან 100 მეტრი უპრობლემოდ მოიგო.

„ბრიტანეთში იმის დასამტკიცებლად ჩამოვედი, რომ ისევ ფორმაში ვარ და მიმდინარე სეზონში უძლიერესი ვიქნები. ორგანიზატორებს ვუთხარი, რომ 100 პროცენტით დავიხარჯებოდი. ჰოდა, სიტყვა შევასრულე. მწვრთნელი უკმაყოფილო დარჩა იმით, თუ როგორ გავირბინე ფინიშის მონაკვეთი. ასე რომ, საკუთარ თავზე სამუშაო მაინც მაქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ შედეგის გაუმჯობესება კიდევ შეიძლება. მართალია, ზუსტად არ ვიცი, წლეულს რა დროში გავირბენ, მაგრამ იმის პირობას კი ვდებ, რომ სწრაფად ვირბენ“, - გამეორებული მსოფლიო რეკორდის შემდეგ აცხადებდა პაუელი.

სხვათა შორის, გეითსჰედის ბილიკზე მეორე ადგილიც რეკორდსმენის თანამემამულეს მაიკლ ფრეტერს დარჩა, რომელიც პაუელს სამი მეათედი წამით ჩამორჩა. 100 მეტრზე რბენისთვის ზღვარი აშაკარად დასაშვებზე ცუდია. მესამე ადგილი კი მასპინძელმა დუეინ ჩემბერსმა დაიკავა. საგულისხმოა ისიც, რომ ჩემბერსისთვის ბრიტანული გრან-პრი პირველი ასპარეზობაა დოპინგის გამოყენებისთვის მისჯილი ორწლიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ.

ორიოდე სიტყვა გატლინზე, უფრო სწორად, იმაზე, თუ როგორ გახდა იამაიკელის შედეგის თანაზიარი.

დაახლოებით ერთი თვის წინ 24 წლის ამერიკელმა დოჰაში გამართულ გრან-პრიზე 100 მეტრი 9.76 წამში გაირბინა და იამაიკელი ასაფა პაუელის რეკორდი დაამხო, მაგრამ...

იააფ-ის წესების შესაბამისად, გატლინის რეკორდი - 9,766 წამი ხელოვნურად 9,77 წამამადე დამრგვალდა. დამრგვალებული შედეგი კი იამაიკელ ასაფა პაუელს ეკუთვნოდა. ასე რომ, ამერიკელი და იამაიკელი მორბენლები მსოფლიო რეკორდს იყოფენ.

იდეალისტი მწვრთნელი

მარკო ვან ბასტენი მწვრთნელთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს მიეკუთვნება, რომელთაც თავიანთ საფეხბურთო წარსულზე ბევრი ლაპარაკი არ სჭირდებათ.

ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო ჰოლანდიელმა თანამედროვე ფეხბურთში თავისი სიტყვა ამსტერდამის „აიაქსში“, იტალიის „მილანსა“ და ჰოლანდიის ნაკრებში თამაშისას თქვა.

უიღბლო ფეხბურთელს, როგორც მას ფეხბურთის სპეციალისტები მიიჩნევენ, არც მწვრთნელობისას შეურცხვენია თავი. ჰოლანდიის ნაკრები მისი თავკაცობით მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ერთხელაც არ დამარცხებულა. ნაუგებელი მატჩების სერია „ნარინჯისფერებს“ არც მუნდიალზე შეუწყვეტიათ - სადებიუტო მატჩში სერბებს 1:0 სძლიეს.

„პირველივე შეხვედრაში გამარჯვების მოპოვება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ბედნიერი ვარ, რომ ეს შევძელით. საკმაოდ ძლიერი მეტოქე შეგვხვდა, რომელსაც ჩვენს კარში ბურთის გატანის რამდენიმე კარგი მომენტი ჰქონდა. მართალია, მატჩი კარგად დავიწყეთ, მაგრამ ჩემს შეგირდებს თანდათან დაღლა დაეტყოთ. დიდ მადლობას ვუხდი ჩვენს თითოეულ გულშემატკივარს, რომელთაც ფანტასტიკურად გვიქომაგეს,“ - მარკო ვან ბასტენი.

მწვრთნელის რანგში ვან ბასტენმა შეძლო ერთმანეთისთვის შეერწყა ჰოლანდიური და იტალიური პრაგმატული ფეხბურთი, რომელსაც ის ჯერ კიდევ ფეხბურთელობისას ეზიარა. თუმცა, თავად სხვანაირად ფიქრობს:

„არც ტიპური ჰოლანდიური და არც იტალიური სკოლის აღზრდილად არ მივიჩნევ თავს. უბრალოდ, მიყვარს ლამაზი ფეხბურთის თამაში, რომელსაც წარმატება მოაქვს. მთავარია, სტადიონზე მოსულმა გულშემატკივარმა ჭეშმარიტი სანახაობა იხილოს. რა თქმა უნდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია გამარჯვება. თუ მარტო გამარჯვებაზე ფიქრობ, საკუთარ თავს ამით მხოლოდ პრობლემებს უქმნი და მეტს არაფერს. ფეხბურთის ყველა მატჩში უნდა შეხვდე, მით უმეტეს ისეთ მატჩებში, როცა შეხვედრის ბედს ტიერი ანრის დონის ფეხბურთელი გადაგიწყვეტს. შეიძლება დღემდე იდეალისტად ვრჩები, მაგრამ არა მგონია, იდეალების ქოლა დანაშაული იყოს.

მარკო ვან ბასტენმა მსოფლიო ჩემპიონატი გამარჯვებით დაიწყო.

ამ იდეალთაგან უმრავლესობას ვან ბასტენი შორეულ ბავშობაში ეზიარა:

„ჰოლანდიაში 4-3-3 სქემით ვიზრდებოდით. ეს ყოველი ჩვენგანისთვის მშობლიური სტილია. მთავარია, რომ ხალხს მოსწონს ჩვენი თამაში. ჩვენი ძირითადი უპირატესობაც ამაში მდგომარეობს, რადგან მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ფლანგზე მოთამაშე ფორვარდებს ეგრეც ვერ შეეგუენ.

ჭირს. ყველანაირ მარცხს ღირსეული პასუხისმგებლობა ჰოლანდიელთა წინაშე მხოლოდ მარკო ვან ბასტენზეა. მისივე თქმით, ნაკრებში მუშაობით მხოლოდ სიამოვნებას იღებს და გამარჯვებისთვის ყველაფერს აკეთებს.

„როგორც მწვრთნელს, ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს სასწავლი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მსოფლიო ჩემპიონატი სასწავლო კურსებია. ჩემი მთავარი მიზანი მუნდიალის მოგებაა“, - მარკო ვან ბასტენი.

ფედერერი მაინც პირველია

კვირას რაფაელ ნადალმა საფრანგეთის ღია პირველობის ფინალში როჯერ ფედერერი დაამარცხა და როლან გაროს ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა. გამარჯვების შემდეგ ახალგაზრდა ესპანელი ჩოგბურთელი ჟურნალისტებს შეხვდა.

- ხშირად ამბობთ, რომ როჯერი პირველია, თქვენ კი - მეორე. რეიტინგს დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ, თუმცა ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა თქვენ მხარესაა. წელს უკვე მეოთხედ დაამარცხეთ ის. არ ფიქრობთ, რომ უკვე თქვენ ხართ პირველი?

- შეხედეთ რეიტინგს და ნახავთ, რომ როჯერი სოლიდური უპირატესობით ლიდერობს. ასე რომ, სწორედ ფედერერია პირველი. ის უკეთ თამაშობს სხვადასხვა საფარის კორტებზე, მე კი მხოლოდ თიხნარზე ვჯობნი. როჯერს უდიდეს პატივს ვცემ. ასეთი ჩოგბურთელი არასდროს მინახავს. არც ისე დიდი ვარ, თუმცა, შემიძლია გითხრათ: რაც მე ჩოგბურთით დავინტერესდი, როჯერზე ძლიერი არავინ მინახავს.

- კი მაგრამ, ოთხი გამარჯვება?

- ეს არაფერს ცვლის. ძალიან სასიამოვნოა, რომ ოთხჯერ შევძელი როჯერის დამარცხება.

- წლევანდელი გამარჯვება თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე გასულ წელს მოგებული ტიტული?

- გარკვეულწილად ასეა, რადგან წელს გამარჯვება უფრო რთული იყო. დეკემბერში ვერც კი ვიფიქრებდი, რომ შევძლებდი ტიტულის შენარჩუნებას. უმძიმესი ტრავმა მქონდა და არ მეგონა, თუ ასე სწრაფად შევძლებდი ფორმის აღდგენას.

- ფინალური შეხვედრა ცუდად დაიწყეთ, შემდეგ თითქოს რაღაც შეიცვალა და უკვე ფედერერი ცდებოდა.

- დიახ, თავიდან გამიჭირდა. როჯერი კი კარგად თამაშობდა. თითქოს თამაშსაც აკონტროლებდა, მაგრამ შემდეგ შანსი მომცა და ამით ვისარგებლე.

- სად და როგორ აღნიშნავთ გამარჯვებას?

ნადალი გამარჯვებას ზეიმობს.

- ოჯახთან ერთად. მეგობრებიც იქნებიან, თუმცა, პომპეზურ ღონისძიებას არ მოვაწყობ. უბრალოდ, ერთად ვისადილებთ. შემდეგ კი ჩვეულ რიტმში უნდა ჩავჯდე. როლან გაროს მოგება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ეს უიმბლდონის წინ საკუთარი ძალების რწმენას შემმატებს.

- რაში მდგომარეობს თქვენი წარმატების საიდუმლო?

- არ ვიცი. უბრალოდ, ვცდილობ თამაშისას შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოვავლინო.

- თიხის კორტებზე ყველაფერი გამოგდით. რა იქნება ბალახზე?

- იმედია, არაფერი შეიცვლება.

- რამდენად ძნელია თიხის კორტიდან ბალახზე გადასვლა?

- ჩემთვის ძალიან ძნელია. უნდა მოვახერხო და თამაშის სტილი ბალახის საფარს შევუსაბამო. თუ ეს გამომივიდა, ყველაფერი კარგად იქნება.

- ძველ ჩემპიონებთან არასდროს გისაუბრიათ? არ გიკითხავთ ბიორნ ბორგისთვის, როგორ ახერხებდა ჯერ თიხაზე მოგებას, შემდეგ კი - ბალახზე?

- ბორგი ჯერ თიხაზე თამაშობდა, შემდეგ კი უიმბლდონისთვის საგანგებოდ ემზადებოდა. ამჯერად მეც ასე ვაპირებ.

- ფინალის მოგების შემდეგ კორტზე წამოწექით. რაზე ფიქრობდით?

- არაფერზე.

- სიმართლეს ამბობთ?

- არ მესმის, რას ელით ჩემგან. რაზე უნდა მეფიქრა? უბრალოდ, დავწექი და მეტი არაფერი.

- ახლა რომ გითხრან, უიმბლდონის ფინალში ითამაშებთო, ამის მთქმელს გიჟად ჩათვლით თუ ეს რეალურია?

- არა, გიჟად ნამდვილად არ ჩავთვლი. რატომაც არ უნდა ვითამაშო უიმბლდონის ფინალში?

- რაზე იქნება ეს დამოკიდებული?

- მხოლოდ და მხოლოდ ჩემზე. ტურნირს მზად უნდა შევხვდე და ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

რეიტინგი

ვაჟები:

1.როჯერ ფედერერი	7035
2.რაფაელ ნადალი	4545
3.დავიდ ნალბანდიანი	3360
4.ივან ლუბიჩიჩი	3055
5.ენდი როდიკი	2380
6.ნიკოლაი დავიდენკო	2195
7.ჯეიმს ბლეიკი	1945
8.ტომი რობრედო	1920
9.მარიო ანჩიჩი	1885
10.გასტონ გაუდიო	1745

საჩემპიონო რბოლა:

1.როჯერ ფედერერი	772
2.რაფაელ ნადალი	548
3.ივან ლუბიჩიჩი	348
4.დავიდ ნალბანდიანი	340
5.ნიკოლაი დავიდენკო	275
6.ტომი რობრედო	249
7.მარიო ანჩიჩი	234
8.რადეკ შტეპანეკი	218
9.ჯეიმს ბლეიკი	216
10.მარკო ბაგდატისი	204

ქალები:

1.ამელი მაურსმო	3306
2.კიმ კლაისტერსი	3266
3.ჟუსტინ ენინ არდენი	2408
4.მარია შარაპოვა	2345
5.ნადეჟდა პეტროვა	2308
6.სვეტლანა კუზნეცოვა	2107
7.ლინდსეი დევენპორტი	2080
8.ელენა დემენტიევა	1956
9.მერი პირსი	1810
10.პატი შნიდერი	1753

საჩემპიონო რბოლა

1.ჟუსტინ ენინ არდენი	2099
2.სვეტლანა კუზნეცოვა	1648
3.ამელი მაურესმო	1671
4.ნადეჟდა პეტროვა	1483
5.მარტინა ჰინგისი	1334
6.მარია შარაპოვა	1270
7.კიმ კლაისტერსი	1052
8.ელენა დემენტიევა	982
9.პატი შნიდერი	864
10.დინარა საფინა	857

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის

განცხადება

სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირების და სწავლების პროექტი

საქართველოს მთავრობა მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტს, რომელსაც აფინანსებს საერთაშორისო განვითარების ასოციაცია (IDA) და გარემოს დაცვის გლობალური ფონდი (GEF). პროექტი ხორციელდება სამი მიმართულებით: (ა) საკონკურსო გრანტების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს ადაპტირებადი კვლევის შედეგების დანერგვას ფერმერულ მეურნეობებში; (ბ) სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების სისტემის რეფორმა, რომელიც გამოიცდება ერთ-ერთი შერჩეული მაღალპრიორიტეტული კვლევითი მიმართულების მაგალითზე; (გ) გარემოს დაბინძურების შემცირების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეების სასოფლო-სამეურნეო წყაროებიდან დაბინძურების შემცირებას.

გარემოს დაბინძურების შემცირების პროგრამით დასავლეთ საქართველოს შერჩეული რაიონების მეცხოველეობის ფერმებში მიმდინარეობს ორგანული ნარჩენების გაუმჯობესებული მართვის პრაქტიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა, გარემოსათვის ნაკლებად მავნე და ამავე დროს მაღალპროდუქტიული სამეურნეო მოდელების გავრცელება და ამ ღონისძიებათა შედეგად ნიადაგისა და წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების ცვლილების მონიტორინგი. პროგრამა ითვალისწინებს, აგრეთვე, თანამედროვე და ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და მათ პოპულარიზაციას.

პროექტების საკოორდინაციო ცენტრს დაგეგმილი აქვს გარემოს დაცვის გლობალური ფონდის (GEF) გრანტის სახსრების ნაწილის გამოყენება კონსულტანტის (ფიზიკური პირის) დასაქირავებლად, რომელიც შეიმუშავებს და მოამზადებს სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის ეროვნულ კოდექსს, როგორც დასასტამბად, ისე ვებ გვერდზე გამოსაქვეყნებლად (კონსულტანტის მიერ განსახორციელებელი დეტალური დავალებების გასაცნობად, გთხოვთ, მიმართოთ პროექტების საკოორდინაციო ცენტრს). ზემოაღნიშნული დავალება კონსულტანტმა უნდა შეასრულოს კონტრაქტის გაფორმებიდან ექვსი თვის ვადაში.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი იწვევს კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე ფიზიკურ პირებს აღნიშნული მომსახურებისათვის.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარადგინონ განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ და ავტობიოგრაფიული მონაცემები (CV) დიპლომისა და სერთიფიკატების ასლებთან ერთად.

დაინტერესებულმა პირებს უნდა გააჩნდეთ შემდეგი ძირითადი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება:

- უმაღლესი განათლება და სამეცნიერო ხარისხი სოფლის მეურნეობის ან სხვა მომიჯნავე საბუნებისმეტყველო დარგში;
- პროფესიული მუშაობის არანაკლებ ხუთწლიანი სტაჟი;
- არანაკლებ ხუთი პუბლიკაცია სამეცნიერო ჟურნალებში (ასლები წარმოდგენილი უნდა იყოს საკონკურსო განაცხადთან ერთად);
- ქართულ და ინგლისურ ენებზე სრულყოფილი ზეპირსიტყვიერი და წერითი მეტყველების უნარი;
- ელექტრონულ საინფორმაციო ბაზებში ინფორმაციის მოძიებისა და მისი გამოყენების გამოცდილება და კომპიუტერის სრულფასოვანი მოხმარების უნარი.

ადგილობრივი კონსულტანტი შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის მიერ 1997 წლის იანვარში გამოცემული და 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში გადასინჯული სახელმძღვანელო დებულებების „კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება მსოფლიო ბანკის სესხის ამღებთა მიერ“ დებულებების შესაბამისად.

საკონკურსო განაცხადები და ავტობიოგრაფიული მონაცემები მიიღება ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2006 წლის 27 ივნისის 17:00 საათამდე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი.
საქართველო, თბილისი, 0123, კოსტავას 41,
მე-III სართული, ოთახი 327. ტელ.ფაქსი: 93 46 51.
ელ-ფოსტა: office@adpcc.org.ge

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ სენაკის გამგეობა (ქ. სენაკი რუსთაველის N243), აცხადებს ტენდერს სენაკში ჭავჭავაძის ქ. N25, 27, 31 და 31ა. . . მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კანალიზაციის ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და ქ. სენაკში ქიაჩელისა და რუსთაველის ქუჩაზე მდებარე საკანალიზაციო დასალექის სისტემების აღდგენა-გაწმენდის სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს.
2. სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, სავარაუდოდ 2006 წელს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის აგვისტოს ბოლომდე.

შესასრულებელი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. დაინტერესებულმა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირებმა, სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ ქალაქ სენაკის გამგეობის ანგარიშზე: სახალხო ბანკის სენაკის ფილიალში, ბანკის კოდი 220101450, ანგარიშის N33030029 საიდენტიფიკაციო N239862957 მიუთითონ გადახდის მიზანი და თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი წარმოუდგინონ ქ. სენაკის გამგეობის სატენდერო კომისიას არა უგვიანეს მ. წ. 20 ივნისისა, რის შემდგომაც მათ გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.
4. დაფინანსების წაყრო - ადგილობრივი ბიუჯეტი
5. დაინტერესებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 30 ივნისის 9.00 საათიდან 18.00 საათამდე.
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. ცნობები:

6.1-1. იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ.

გ)ცნობა სასამართლოდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება.

დ) ცნობა შ.ს. სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობლივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ვ) პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ანგარიშის ნომერი, ტელეფონისა და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები.

6.1.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან

ბ) ცნობა, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა

გ) ცნობა სასამართლოდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება.

დ) ცნობა შ.ს. სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ვ) პრეტენდენტის რეკვიზიტები: პირადობის მოწმობის ასლი, საიდენტიფიკაციო კოდი, ანგარიშის ნომერი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი.

6.1.3. როგორც ფიზიკური ისევე იურიდიული პირისათვის.

ა) ცნობა სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. ტენდერში მონაწილეს გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) შემდეგი მანქანა-მექანიზმები.

№	მანქანა-მექანიზმების დასახელება	რაოდენობა (ცალი)	შენიშვნა
1	2	3	
1	ექსკავატორი ჩამჩის მოცულობით 0,5მ^3	1	
2	ავტოთვითმცლელები ტვირთამწყობით 10ტ.	2	
3	ასენიზაციის მანქანა 5მ^3-მდე მოცულობის ავზით	1	
4	კომპრესორი წარმადობით 9-10 მ^3/წთ	1	
5	პნევმატური ჩაქუჩი	1	

შენიშვნა: აღნიშნული ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

№	მანქანა-მექანიზმის დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული)	საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა.
1	2	3	4	5	6
1					
2					
ა.შ.					

იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში, წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები. ხოლო თუ იმყოფება საკუთრებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ბალანსი, სადაც აღრიცხული იქნება შესაბამისი მანქანა-მექანიზმები.

ბ) ცნობა ტენდერში მონაწილე იურიდიული ან ფიზიკური პირების სპეციალისტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

ტენდერში მონაწილე იურიდიული ან ფიზიკური პირების სპეციალისტებს უნდა გააჩნდეს ანალოგიური სამუშაოს შესრულების არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილება.

შენიშვნა: აღნიშნული ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

№	თანამდებობა სპეციალობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი)	ბიოგრაფიული მონაცემები
1	2	3	4	5	6
1					
2					
დ.ა.შ.					

გ) ცნობა, პრეტედენტის მიერ, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ.

შენიშვნა: ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

№	სამუშაოს დასახელება (ობიექტის ჩამოთვლით)	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება ლარებში	შენიშვნა
1	2	3	4	5
1				სასურველია ხელშეკრულების ასლების წარმოდგენა თუ კონფედენციალური არ არის
2				
დ.ა.შ.				

6.2. ინფორმაციები. (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობით)

ა) ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს:
ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს, აგრეთვე წარმოდგენილი უნდა იქნეს წესდება და
სასამართლოს დადგენილება.

7. იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაციები, სატენდერო კომისიის მიერ შეიძლება გადამოწმებულ იქნას ინდივიდუალურად.

8. იურიდიული ან ფიზიკური პირი ხელმძღვანელი, მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდით.

9. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური ან იურიდიული პირის მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

10. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-6 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს ქ. სენაკის გამგეობის სკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

11. ტენდერში გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5%-ის ოდენობით.

12. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციები შეუძლიათ მიიღონ ქალაქ სენაკის გამგეობის სატენდერო კომისიაში.

საკონტაქტო ტელეფონები: 7-55-22; 899-53-93-89 (გია წულეისკირი)

სატენდერო კომისია

ს.ს. საქართველო ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია (შემდგომში სნსკ) აცხადებს, ტენდერს და გიწვევთ მონაწილეობის მისაღებად

შესყიდვის ობიექტი -სამხრეთ კავკასიური მილსადენსა და საქართველოს გაზის მაგისტრალურ სისტემას შორის შემაერთებელი გაზსადენი მილის სამშენებლო სამუშაოები. (ობიექტი განთავსებულია გარდაბნის რაიონში)

გაზსადენი მილი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პარამეტრებს: მიახლოებითი სიგრძე 270-300მ. მილის დიამეტრი D-30 დიუმი, მიახლოებით 720 მმ. მილის კედლის სისქე უნდა შეადგენდეს 11 მმ.

გაზსადენი მილის მარშრუტი განისაზღვრება ტენდერში გამარჯვებული პირის მიერ შემდეგ კორდინატებზე:

საწყისი კორდინატია E8509605,692-N4600528,398 საბოლოო კოორდინატია E8509634-N4600815 (კოორდინატები მოცემულია ნავიგაციისა და ადგილმდებარეობის განსაზღვრის გლობალური სისტემის (GPS) სტანდარტების შესაბამისად).

სამშენებლო სამუშაოების შესრულების სასურველი ვადებია: შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 კალენდარული დღის განმავლობაში, მაგრამ არა უგვიანეს 2006წ. 5 სექტემბრისა.

სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის ოდენობის გადახდის შემდეგ ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო დოკუმენტაცია შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი წინამძღრიშვილის ქუჩა N90 ს/ს „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის“ ადმინისტრაციული შენობა, I სართული, ოთახი N21, სატენდერო კომისიის აპარატი. მოსაკრებელი გადახდილი უნდა იყოს შემდეგ რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში: ანგ.N200122900; საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107; სახაზინო კოდი, 300033133; გადახდის დანიშნულება-სატენდერო მოსაკრებელი, გაზსადენი მილის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით. ს.ს. „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია.“

პრეტედენტებმა თავიანთი საკვალიფიკაციო მონაცემები და ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება დახურულ კონვერტში, უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 3 ივლისის 17-00 საათამდე, ზემოაღნიშნულ მისამართზე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიულმა პირებმა:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ცნობა, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

ფიზიკურმა პირებმა:

- ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

როგორც იურიდიულმა, ისე ფიზიკურმა პირებმა:

- წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მინაცემები უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს;
- ცნობა ბიუჯეტის წინაშე დავალიანების შესახებ (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ;
- ცნობა მომსახურე ბანკიდან ანგარიშსწორების ანგარიშების მდგომარეობისა (არის თუ არა ანგარიშები დაყადაღებული ან გაყინული) და ამ ანგარიშებზე ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ.

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს მომსახურების გაწევის პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.

უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

პრეტედენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

სატენდერო წინადადების მომზადებისას პრეტენდენტებს შესაძლებლობა მიეცემათ სავარაუდო მშენებლობის ადგილის დათვალიერება ზემოაღნიშნულ გეოგრაფიულ კოორდინატებზე.

ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

ტენდერი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია შემდეგ მისამართზე ქ. თბილის წინამძღვრიშვილის N90 ტელ: 244000. *საკონტაქტო პირი - თენგიზ მიქავა; ლაშა სილაგაძე.*

სატენდერო კომისია

განცხადება

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს თბილისის სააპელაციო სასამართლს აპარატის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო
	საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება		
1	განყოფილების უფროსი	1	600
2	წამყვანი სპეციალისტი	1	330
3	თავმჯდომარის პირადი მდივანი (რეფერენტი)	1	330
4	მოსამართლის თანაშემწე	40	550
5	სხდომის მდივანი	27	400
	კანცელარია და მოქალაქეთა მისაღების განყოფილება		
	სამოქალაქო საქმეთა პალატის სექტორი		
6	წამყვანი სპეციალისტი	1	330
7	სპეციალისტი	1	300
8	კურიერი	5	210
	ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სექტორი		
9	კურიერი	2	210
	სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სექტორი		
10	სექტორის უფროსი	1	550
11	წამყვანი სპეციალისტი	1	330
	საგამოძიებო კოლეგიის სექტორი		
12	წამყვანი სპეციალისტი	1	330
	სამეურნეო განყოფილება		
13	სპეციალისტი	1	300

კონკურსში მონაწილე კანდიდატები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

I. საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება

1. განყოფილების უფროსი

ა) უმაღლესი იურიდიული განათლება;

ბ) საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ნორმატიული აქტების ცოდნა, “საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და შრომის კანონმდებლობის კარგი ცოდნა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ცოდნა, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული “საქმისწარმოების ერთიანი წესების“ კარგი ცოდნა, კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე);

2. წამყვანი სპეციალისტი

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ნორმატიული აქტების ცოდნა, “საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და შრომის კანონმდებლობის კარგი ცოდნა, კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე);

3. თავმჯდომარის პირადი მდივანი (რეფერენტი)

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის და საერთო სასამართლოების შესახებ ნორმატიული აქტების ცოდნა, კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

სამოქალაქო საქმეთა პალატა

4. მოსამართლის თანაშემწე

ა) უმაღლესი იურიდიული განათლება;

ბ) საქართველოს კონსტიტუციის, სამოქალაქო, სამეწარმეო, სამოქალაქო-საპროცესო სამართლისა და სასამართლო სისტემის შესახებ კანონმდებლობის ცოდნა, “ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის ცოდნა, ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ცოდნა, კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე);

გ) სამოსამართლო სწავლების ცენტრში სასწავლო კურსის გავლა, ანდა მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად, ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, ანდა საერთო სასამართლოებში კონსულტანტად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, ან მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი.

5. სხდომის მდივანი

ა) იურიდიული განათლება;

ბ) სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის კარგი ცოდნა, საერთო სასამართლოების შესახებ ნორმატიული აქტების ცოდნა, კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე);

გ) სამოსამართლო სწავლების ცენტრში სასწავლო კურსის გავლა ან სხდომის მდივნად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება.

სისხლის სამართლის საქმეთა პალატა

6. მოსამართლის თანაშემწე

ა) უმაღლესი იურიდიული განათლება;

ბ) საქართველოს კონსტიტუციის, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ცოდნა, სასამართლო სისტემის შესახებ კანონმდებლობის ცოდნა, “ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის ცოდნა, ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ცოდნა, კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე);

